

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №9

## კერძო საჩივარი

### სამიუბელი

უწყებრივი ქვემდებარეობა

სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა

საპროცესო ხარჯები

სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება

უარი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებაზე

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

**სასამართლო შეტყობინება** სასამართლო უწყების ჩაბარება

სასამართლო უწყების ჩაბარება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

სარჩელის გამოხმობა

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

შეგებებული სარჩელის შეტანის ვადა

წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა

აღიარებითი სარჩელი

სარჩელის მიღებაზე უარის თქმა

დავის საგნის გადიდების დაუშვებლობა

ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება

## უწყებრივი ქვემდებარეობა

### განჩინება

№ას-691-648-2012

14 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

პ. ნ-ემ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ მიუღებელი ხელფასის – 720 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის განჩინებით დადგინდა, რომ პ. ნ-ის სარჩელი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და გადაეცა სასამართლოს თავმჯდომარეს განაწილების მიზნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით პ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, სსიპ შემოსავლების სამსახურს პ. ნ-ის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების სახით 720 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ შემოსავლების სამსახურმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს არ აღემატებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება სსიპ შემოსავლების სამსახურმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა და მიუთითა, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული წესით განსახილველი იყო, რის გამოც განსჯად სასამართლოს უნდა დაბრუნებოდა განსახილველად.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია სწორედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ საქმეზე მოპასუხე ორგანიზაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით (იხ. განჩინება №ზს-132-123(კ-07)), საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი

ორგანო). ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო აქტით, ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ამდენად, დიდი პალატის პოზიციით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში მხოლოდ ხელმძღვანელი პირის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული დავა ადმინისტრაციული წესით განსჯადი. განსახილველ შემთხვევაში ცალსახაა, რომ პ. ნ-ე ასეთ პირს არ წარმოადგენს, ამასთან იგი ხელშეკრულებით იყო დასაქმებული ოპერატორის თანამდებობაზე და სწორედ ამ შრომის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ანაზღაურება დავის საგანი, შესაბამისად, მოცემული საქმე სააპელაციო წესით განსჯადმა სასამართლომ განიხილა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესი დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლით. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელზე დავის საგნის ფასი განისაზღვრება გადასახდელი თანხით.

განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ დავის საგნის ღირებულება 720 ლარია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი განუხილველად მართებულად დატოვა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე, 420-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა**

#### **განჩინება**

№ას-972-1008-2011

14 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კომპენსაციის გადახდევინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 21 მარტს ა. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 აპრილის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ მოცემულ დავაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. ლ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ განჩინებაში დავის საგნად არასწორად მიუთითა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

სასამართლოს არ უმსჯელია მოსამართლე ხ. ა-ძის აცილებაზე. აღნიშნული მოსამართლის აცილების შემთხვევაში ა. ლ-შვილის განცხადება დასაშვებად იქნებოდა ცნობილი.

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე და 374-ე მუხლების 1-ლი ნაწილები, ვინაიდან სააპელაციო პალატის მომხსენებელი მოსამართლე უფლებამოსილია, ერთპიროვნულად მიიღოს საქმე წარმოებაში, ასევე დაადგინოს ხარვეზი, თუმცა, თუ სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის წინაპირობებს, მისი განუხილველად დატოვების საკითხს წყვეტს პალატა სამი მოსამართლის შემადგენლობით.

სასამართლომ არასწორად განიხილა დავის საგანი და განმცხადებელი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე არასწორად არ გაათავისუფლა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნევს, რომ ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო აღნიშნულ საქმეზე ა. ლ-შვილის მიერ სასამართლოში სამომავლოდ შემოტანილი ყველა განცხადება თუ საჩივარი უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი ადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს პირის მიერ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესახებ. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

კანონის დასახელებული დანაწესი გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას და ამ მიზნით გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციაში.

მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბარწილად იცავს ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს. ერთი მხარის მიერ უფლების გადამეტება (ბოროტად გამოყენება) პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს თუნდაც დავის გაჭიანურების თვალსაზრისით. სასამართლო ვალდებულია გონივრულ ვადაში გადაწყვიტოს დაწყებული დავა და დაუსვას მას საბოლოო წერტილი. მოცემულ შემთხვევაში კი მხარის დაუსრულებელი განცხადებებით თუ საჩივრებით ამ შედეგის მიღწევა სცილდება სასამართლოს შესაძლებლობებს. შესაბამისად, ილახება მეორე მხარის ინტერესები.

ზემოაღნიშნულის გამო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც კი (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – იედემსკი და იედემსკა პოლონეთის წინააღმდეგ) დასაშვებად მიიჩნევს, გარკვეულ შემთხვევაში პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.

სასამართლოს განმარტებით, დასაშვებია გამონაკლისი «ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის» მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლოს ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენებისას. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ ნაწილს, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული თანაფარდობა ამ საშუალებების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის.

მოცემულ შემთხვევაში ა. ლ-შვილმა სრულად ისარგებლა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. ლ-შვილის სარჩელი სს «თ-ის» მიმართ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კომპენსაციის გადახდევინების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულის შემდგომ მოსარჩელე განუწყვეტლივ მიმართავდა სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

2006 წლიდან დღემდე ა. ლ-შვილმა არა ერთი განცხადება შეიტანა მოცემული საქმის წარმოების განახლების შესახებ. სასამართლოს მიერ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით მისი განცხადებების განუხილველად დატოვების შემდეგ მხარე მიმართავდა სასამართლოს კერძო საჩივრებით, რომელთა დაუკმაყოფილებლობის თაობაზე სასამართლო განჩინებებს ა. ლ-შვილი კვლავ ასაჩივრებდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებების შეტანის გზით.

განსახილველი კერძო საჩივარიც ეხება სწორედ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 ივნისის განჩინებას, რომელთაც ა. ლ-შვილის განცხადება სააპელაციო პალატის 2010 წლის 27 მაისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად.

ა. ლ-შვილის ასეთი სახის მოქმედებები ემსახურება არა მართლმსაჯულების განხორციელების ამოცანას, არამედ იგი მიმართულია მისი მოწინააღმდეგე მხარისა და სასამართლო ორგანოების მიმართ აგრესიული დამოკიდებულების წარმოსაჩენად. ამასთან, სასამართლოსათვის მიმართული მისი განცხადებები შინაარ-

სობრივად ერთგვაროვანია და თითოეული მათგანი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დავის გაგრძელებისა და საქმის სასამართლოს წარმოებაში ყოფნის გახანგრძლივების მცდელობას. აღნიშნული კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სცილდება მართლმსაჯულების და მითუმეტეს, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ლ-შვილი ბოროტად იყენებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რადგან მისი განცხადებები და საჩივრები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მიზნად არ ისახავს მხარის კანონიერი უფლების დაცვას და ლახავს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ა. ლ-შვილი აწარმოებს არა ერთ დავას სასამართლოში, სადაც ანალოგიურად მიმართავს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილი და მართებულია ა. ლ-შვილის მიმართ განსახილველ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით მინიჭებული უფლების შეზღუდვა. აღნიშნული კი იმაში გამოიხატება, რომ ა. ლ-შვილის მიერ სასამართლოში მოცემულ დავაზე შეტანილი ნებისმიერი სახის კორესპოდენცია (განცხადება, საჩივარი) დარჩება რეაგირების გარეშე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე, მე-2 მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ა. ლ-შვილის მიერ სასამართლოში შეტანილი ნებისმიერი სახის კორესპოდენცია (განცხადება, საჩივარი) მოცემულ სამოქალაქო საქმეზე – ა. ლ-შვილის სარჩელის გამო სს «თ-ის» მიმართ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კომპენსაციის გადახდევინების შესახებ დარჩეს რეაგირების გარეშე.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საპროცესო ხარჯები**

#### **სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება**

№ას-880-923-2011

18 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სესხის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ჟ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ნ-შვილის მიმართ სესხის სახით მიღებული 4000 აშშ დოლარის, ბინის ქირის – 10 800 ლარისა და 2010 წლის ნოემბრიდან სესხის ძირითადი თანხის 4000 აშშ დოლარის დაბრუნებამდე ბინის ქირის სახით ყოველთვიურად 400 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ მას სესხი დაბრუნებული აქვს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ჟ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნ. ნ-შვილს ა. ჟ-იას სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 3600 აშშ დოლარის გადახდა, უარი ეთქვა ა. ჟ-იას ნ. ნ-შვილისთვის ბინის ქირის – 10 800 ლარის, ასევე 2010 წლის ნოემბრიდან სესხის ძირითადი თანხის 4000 აშშ დოლარის დაბრუნებამდე ბინის ქირის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 400 ლარის დაკისრების მოთხოვნაზე, ა. ჟ-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 118,20 ლარის, ხოლო ნ. ნ-შვილს ა. ჟ-იას სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 190,08 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. ნ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 აპრილის განჩინებით ნ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, ამავე პალატის 2011 წლის 15 აპრილის განჩინებით ასევე განუხილველად იქნა დატოვებული ა. ჟ-იას სააპელაციო საჩივარი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სააპელაციო საჩი-

ვარზე დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო. ა. ჟ-იას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად სააპელაციო პალატამ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 იანვრის განჩინებით ა. ჟ-იას სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა საპროცესო ვადა, ა. ჟ-იას დაევალა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 1008 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის ან ცნობის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნებოდა მის მიერ საარსებო შემწეობის მიღების გარემოება. სასამართლომ მიუთითა აპელანტ ა. ჟ-იას 2011 წლის 9 თებერვლის განცხადებაზე, რომლითაც მხარემ მოითხოვა საპროცესო ვადის 3 კვირით გაგრძელება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციისა და საარსებო შემწეობის მიღების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოსადგენად. სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტისა და «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის «მ» ქვეპუნქტის თანახმად, არ გაიზიარა 2011 წლის 11 მარტს ა. ჟ-იას მიერ წარმოდგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2011 წლის 9 მარტს გაცემული ცნობა ა. ჟ-იას სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის თაობაზე, რადგანაც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგად, ოჯახს 2011 წლის 23 თებერვალს მიენიჭა სარეიტინგო ქულა – 58 200, ამასთან, აპელანტს გაუგრძელა ხარვეზის გამოსორებისათვის დადგენილი ვადა 5 დღით სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოსადგენად.

სასამართლომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა აპელანტის ოჯახის წევრს – შვილს, გ.ჯ-შვილს 2011 წლის 31 მარტს, იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილით და განმარტა, რომ ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2011 წლის პირველი აპრილიდან და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამოიწურა 2011 წლის 5 აპრილს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი არ შეუვსია. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლებზე, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილზე და მიიჩნია, რომ, ვინაიდან ა. ჟ-იამ სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი არ შეავსო, მის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ჟ-იამ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპის ხელახლა შესამოწმებლად საქმის იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ ჰქონდა მატერიალური შესაძლებლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისა და მგზავრობისათვის, სააპელაციო სასამართლომ, მართალია, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ გაათავისუფლა იგი იმ საფუძველით, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური მარეგულირებელი 57001 ქულაზე მეტი იყო, თუმცა სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე, შეეძლო, მხარე გაეთავისუფლებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ის არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ და სასამართლოებრივ დასაბუთებას, ამასთან გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არასაკმარისადაა დასაბუთებული, რის გამოც არსებობს მისი გაუქმებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველები. ა. ჟ-იას განმარტებით, სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე, ასევე 103-ე-105-ე მუხლების დანაწესები, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჟ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემული საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 აპრილის განჩინებით ა. ჟ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი და, უპირველესად, ყურადღებას გაამახვილებს ამავე სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განჩინებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა აპელანტ ა. ჟ-იას შუამდგომლობა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფლდებიან მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, კანონმდებელმა დაადგინა, რომ სასამართლო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდისაგან თავისუფლდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი ტოლია ან ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე (მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის «მ<sup>1</sup>» ქვეპუნქტი).

დასახელებული საკანონმდებლო ცვლილება არ წარმოადგენს სიახლეს და პრაქტიკულად იმავე სამართლებრივ დატვირთვას ატარებს, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმის დებულება, რადგანაც საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 57001.

განსახილველი საქმის მასალებით კი უტყუარად დასტურდება, რომ ა. ჟ-ია კანონით დადგენილი წესით არ იყო გათავისუფლებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე (მის მიერ სასამართლოსთვის წარმოდგენილი დოკუმენტით ა. ჟ-იას სარეიტინგო მაჩვენებელი ამ დროისათვის 58200 ქულა იყო), ამასთან, აღნიშნულს სადავოდ კერძო საჩივრით არც მხარე ხდის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ა. ჟ-იას კერძო საჩივრის საფუძველს, რომ სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაეთავისუფლებინა იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რადგანაც, დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, კანონის მითითებული ნორმა მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. პირის უფლების შეზღუდვა ამ უფლებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში. ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სამართლებრივი მექანიზმები ყველა კატეგორიის პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლოს უფლება, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლოს მოქალაქე (სსკ 47-ე მუხლი), აგრეთვე, მხარეს შეუმციროს ასეთი ხარჯები ან გადაუვადოს მისი გადახდა (სსკ 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება თავისი მრავალფეროვანი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ამავდროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესებული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ ზღუდავს და არ ამცირებს ფიზიკური პირების ხელმისაწვდომობის უფლებას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და კანონით გათვალისწინებული შედავათების გამოუყენებლობა გამოიწვევს მხარის სადავოდ ქცეული უფლების სასამართლო წესით დაცვის მიღმა დატოვებას.

საქმეში წარმოდგენილი ა. ჟ-იას სააპელაციო საჩივრის შესწავლის საფუძველზე, პალატა ასკვნის, რომ მხარემ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის საფუძველზე, ისე, რომ მისი ქონებრივი მდგომარეობა სადავოდ არც კი გაუხდია, ამასთან, მას არც შემდგომ წარმოდგენილი განცხადებებით უშუამდგომლია სასამართლოს წინაშე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, ქონებრივი მდგომარეობის გამო, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ და, ბუნებრივია, სასამართლო საკუთარი ინიციატივით არ გამოიკვლევდა მხარის ქონებრივ მდგომარეობას, ასეც რომ იყოს, ა. ჟ-იას სასამართლოსათვის მისი მძიმე ქონებ-

რივი მდგომარეობის უტყუარად დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, სწორედ მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე, 103-ე–105-ე მუხლების მოთხოვნები.

დასახელებული ნორმებით მოწესრიგებულია მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების საკითხი, მტკიცებულებათა სასამართლოს მიერ შეფასებისა და გამოკვლევის წესი და პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტების გაზიარების შესაძლებლობა. საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებულ განჩინებასთან მიმართებით კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისას მიიჩნევს, რომ ა. ჟ-იას მიერ ზემოაღნიშნული ნორმების მითითების სამართლებრივი წინაპირობები არ არსებობდა (სასამართლო არ იყო ვალდებული, გამოეკვლია რაიმე არსებითი ხასიათის მტკიცებულება), ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მხარე მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოს მიერაა დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული ნორმები, მითითებული საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი ვერ გახდება კერძო საჩივრის განხილვისათვის კანონით გათვალისწინებული წესებიდან გამომდინარე. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამდენად, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სასამართლოს აქტის – სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების მიღების კანონიერებაა და არა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებული შესაძლო უსწორობები.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება ვინაიდან ჩაბარდა ა. ჟ-იას ოჯახის ქმედუნარიან წევრს – შვილს 2011 წლის 31 მარტს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე აღნიშნული სწორედ მხარისათვის ჩაბარებად მიჩნევის წინაპირობაა. სააპელაციო პალატამ ასევე სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლები, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი და სწორად ჩათვალა, რომ საპროცესო ვადა, რომლის განმავლობაშიც მხარეს უნდა გამოეწივებინა ხარვეზი ამოიწურა 2011 წლის 5 აპრილს. ვინაიდან მხარეს დაკისრებული საპროცესო მოქმედება დადგენილ ვადაში არ განუხორციელებია, არ არსებობდა ა. ჟ-იას სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. ჟ-იას კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ჟ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება**

#### **გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის ჩაბარება**

#### **გაჩინება**

№ას-1670-1658-2011

26 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

**კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**



**აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 13 მაისს ფოთის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ზ. რ-ამ მოპასუხე კომპანია «ს-ის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 2000 ლარის დაკისრება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. რ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. რ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ზ. რ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საპროცესო-სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულს ადასტურებდა შემდეგი გარემოებები:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით აპელანტ ზ. რ-ას ხარვეზის შესავსებად დაუდგინდა ვადა და კანონით დადგენილი წესით განემარტა, რომ ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინების ასლი აპელანტს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით, 2011 წლის 4 ოქტომბერს, საქმეში მის მიერვე მითითებულ მისამართზე: ქ.ფოთში, ... ქუჩის №64-ში;

გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ დასახელებული განჩინება აპელანტმა ზ. რ-ამ ჩაიბარა პირადად, სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე – ქ.ფოთში, ... ქუჩის №64-ში, 2011 წლის 8 ოქტომბერს. აღნიშნულს ცხადყოფს გზავნილზე აპელანტის ხელმოწერა;

აპელანტს სასამართლოს მიერ დაწესებული ხარვეზი შეეძლო შეევსო 2011 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლოს, ისე მხარეების მიმართ. ამასთან, დადგენილია სასამართლოს მიერ მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგები. კერძოდ, დადგენილია, რომ, თუ მხარემ სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე, 63-ე მუხლზე, რომელთა თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო; საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საქმეზე დადგინდა, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეუვსია განჩინებაში მითითებული ხარვეზი და არც ხარვეზისათვის დაწესებული ვადის გაგრძელების შესახებ არ მიუმართავს სასამართლოსათვის შუამდგომლობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ზ. რ-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინება ზ. რ-ამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნას წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან ფოთის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით სახელმწიფო ბაჟის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, შუამდგომლობის დასასაბუთებლად, მოსარჩელემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად სასამართლოს წარუდგინა: დევნილის მოწმობის, ასევე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის პოლისის ქსეროასლები, ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, საიდანაც დასტურდება, რომ მის ოჯახს აქვს დაბალი სარეიტინგო ქულა, იგი შეადგენს 14800-ს. მიუხედავად ამისა, ფოთის საქალაქო სასამართლომ ზ. რ-ა არ გაათავისუფლა ბაჟის გადახდისაგან. ამიტომ, იგი იძულებული გახდა გადაეხადა გადასახადი;

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს რომ მან 2011 წლის 19 აგვისტოს საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რა დროსაც იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს დაუდგინა ხარვეზი და დაავალა სახელმწიფო ბაჟის, 75 ლარის ოდენობით გადახდა. აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საფუძველი იყო მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გაითვალისწინოს ზემომითითებული გარემოებები, კერძოდ ის, რომ აპელანტი არის უმუშევარი, ლტოლვილი, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახსაც გააჩნია დაბალ სარეიტინგო ქულა – 14800 ქულა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. რ-ას კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ აპელანტმა არ შეავსო სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზი, კერძოდ, არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მითითებული საფუძვლით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას და მიიჩნევს, რომ მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრება არასწორია, რამდენადაც კანონით იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივარში მან სასამართლოს მიუთითა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლებზე, კერძოდ იმაზე, რომ ის არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი შეადგენს 14180 ქულას. გარდა ამისა, აპელანტმა აღნიშნა, რომ იგი არის უმუშევარი, იძულებით გადაადგილებული პირი (დევნილი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის «მ1» ქვეპუნქტი ითვალისწინებს საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან იმ პირების გათავისუფლების შესაძლებლობას, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი ტოლია ან ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე. «სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-7 მუხლი ადგენს, რომ საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 57001. ამ ნორმათა მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ის პირები, რომელთა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ზღვრული ქულის – 57001-ის ტოლია ან ნაკლებია მასზე.

საქმეში წარმოდგენილია ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომლის თანახმად, ზ. რ-ას ოჯახის სარეიტინგო ქულა (სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი) შეადგენს 14180-ს. აქედან გამომდინარე, არსებობს აპელანტის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი, რაც გათვალისწინებულია «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის «მ1» ქვეპუნქტით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ ზ. რ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი და ყოველთვის იღებს ლტოლვილის შემწეობას. «მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საარსებო შემწეობის მიღება გამოიცხადება «უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების» (შემდგომში საოჯახო დახმარება), აგრეთვე, დევნილის შემწეობის მიღებას. ოჯახს უფლება აქვს აირჩიოს საოჯახო დახმარების, შესაბამისად, დევნილის ყოველთვიური შემწეობის ან საარსებო შემწეობის მიღება. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, პირი, რომელსაც ერთდროულად გააჩნია როგორც საარსებო შემწეობის, ასევე დევნილის ყოველთვიური შემწეობის მიღების უფლება, უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს, თუ მითითებული შემწეობებიდან რომლის მიღება სურს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, დევნილის შემწეობის არჩევის შემთხვევაში, პირი არ კარგავს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შეღავათს, რაც გათვალისწინებულია «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის «მ1» ქვეპუნქტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტი ზ. რ-ა წარმოადგენს «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის «მ1» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტს, რომელსაც მითითებული კანონი ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მოთხოვა აპელანტს სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხოლო მისი გადაუხდელობის გამო არასწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. რ-ას კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინება და საქმე ზ. რ-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება

### გაჩინება

№ას-1069-1003-2012

3 აგვისტო, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

### აღწერილობითი ნაწილი:

თ. ბ-მ, ლ., ნ. და დ. დ-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში სსიპ „საქართველოს შემოსავლების სამსახურისა“ და გ. დ-ის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოვალე გ. დ-ის ვალდებულების გამო აღწერილი და დაყადაღებული მოსარჩელეთა კუთვნილი ნივთების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით.

მოპასუხე გ. დ-მ სარჩელი მთლიანად ცნო, ხოლო სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ მოსარჩელეთა მოთხოვნა არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოთხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ბ-ის, ლ. დ-ის, ნ. დ-ისა და დ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ყადაღისაგან გათავისუფლდა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს საგადასახადო საქმეთა ოფიცერ ო. ი-ის მიერ 2011 წლის 15 დეკემბრის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტით (შემოსავლების სამსახური №086-1628/1) აღწერილი და დაყადაღებული შემდეგი მოძრავი ნივთი: მაცივარი „ტოშიბა“ – ერთი ცალი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განჩინებით სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების თაობაზე, დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე, 372-ე, 369-ე, 259<sup>1</sup> მუხლებზე და, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება შეიცავდა მისი გასაჩივრების წესს, ასევე უდავოდ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ წარმომადგენელი მ. კ-ე, რომელსაც ბათუმის საქალაქო სასამართლოსათვის არ მიუმართავს დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არ უგვიანეს 30 დღისა. პალატის მოსაზრებით, უდავოდ დადგენილია, რომ სსიპ „შემოსავლების სამსახური“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტი არ არის და მის მიმართ გადაწყვეტილების გაგზავნის ვალდებულება სასამართლოს არ ეკისრებოდა, შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს უნდა დაწყებულიყო, კონკრეტულ შემთხვევაში აპელანტს გასაჩივრების 14-დღიანი ვადა უნდა ათვლოდა 2012 წლის 25 მაისიდან (2012 წლის 25 აპრილიდან 30-ე დღე) და ეს ვადა 2012 წლის 8 ივნისს ამოიწურებოდა, სააპელაციო საჩივარი კი, ბათუმის საქალაქო სასამართლოში ფოსტის მეშვეობით გაიგზავნა 2012 წლის 22 ივნისს და თვით სააპელაციო საჩივარსაც თარიღად დასმული

აქვს 20.06.2012 წელი. პალატის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლოსათვის, ასევე მხარეთათვის, ამასთან, დადგენილია სასამართლოს მიერ მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგები, კერძოდ: თუ მხარემ სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებისა. პალატამ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლზე და ჩათვალა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა ყოფილიყო დატოვებული.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სსიპ „შემოსავლების სამსახურმა«, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ სსიპ „შემოსავლების სამსახურის« სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად არასწორად მიიჩნია საპროცესო ვადის დარღვევის მოტივით, კერძოდ, სასამართლომ უდავო გარემოებად არასწორად ჩათვალა, რომ აპელანტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის სუბიექტს არ განეკუთვნებოდა და მის მიმართ, ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა, მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს უნდა დაწყებულიყო. ამავე ნორმის მე-2 ნაწილისა და 46-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე სსიპ „შემოსავლების სამსახურს« სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ამ გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ გაგზავნიდან წარმოემობოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ« საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ« და „ლ« ქვეპუნქტების, ასევე საგადასახადო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, სსიპ „შემოსავლების სამსახური« საგადასახადო ორგანოს წარმოადგენს და ის სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულია, რაც გასაჩივრებული განჩინების უსაფუძვლოდ მიჩნევის წინაპირობაა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა აპელანტს 2012 წლის 12 ივნისს და გადაეცა 15 ივნისს, შესაბამისად, საპროცესო ვადის ათვლა სწორედ ამ დროიდან დაიწყო, სააპელაციო საჩივარი კი მხარემ ფოსტის მეშვეობით დადგენილ ვადაში, გადაწყვეტილების გადაცემიდან მე-7 დღეს წარადგინა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ „შემოსავლების სამსახურის« კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« და „ბ« ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ სსიპ „შემოსავლების სამსახურის« სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტი ესწრებოდა საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ჩათვალა, რომ აპელანტი ვალდებული იყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადებულიყო საქალაქო სასამართლოში და ჩაებარებინა გადაწყვეტილება, აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო, სასამართლომ ჩათვალა, რომ საპროცესო ვადის დენა დაიწყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს – 2012 წლის 25 მაისიდან და 14-დღიანი ვადის დენა ამოიწურა 2012 წლის 8 ივნისს, სააპელაციო საჩივარი კი ფორტის მეშვეობით გაიგზავნა 2012 წლის 22 ივნისს. სასამართლომ ასევე უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ „შემოსავლების სამსახური« სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის რეგულაციაში არ მოიზრებოდა.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული განჩინების ზემოაღნიშნულ სამართლებრივ დასაბუთებას და გასაჩივრებული განჩინების საწინააღმდეგოდ მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კანონმდებელი ზემოაღნიშნულით ადგენს სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის დენის დაწყების ზოგად წესს და აღნიშნულს

უკავშირებს გადაწყვეტილების გადაცემის მომენტს, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად კი, განიხილავს გადაწყვეტილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაცემას, ასევე 259<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით მხარისათვის ჩაბარებას, ან ამავე ნორმის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლას. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი ზოგადია და ამ ვადის დენის სწორად გამოთვლისათვის, სავალდებულოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის სწორი ანალიზი.

მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი იმ მხარეს, რომელიც ესწრება და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ან ვისთვისაც ცნობილი იყო მისი გამოცხადების დღე, უდგენს ვალდებულებას, თავად გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა და ჩაიბაროს გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ვადი დენა მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაიწყება, თუმცა, ნორმის მიზნების სწორი განმარტებისათვის, სავალდებულოა მისი მე-2 ნაწილის დანაწესის სრულყოფილი ანალიზი, კერძოდ, დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი არეგულირებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მხარეთა უპირობო გათავისუფლების საფუძვლებს და ეს საფუძვლები ამავე ნორმის პირველ ნაწილშია ჩამოთვლილი, თუმცა კანონმდებლის მიერ ნორმაში შემოთავაზებული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და მისი მე-2 ნაწილით განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა კანონისმიერი შემთხვევის არსებობა.

საპროცესო ნორმით გათვალისწინებული ეს უკანასკნელი გამონაკლისი რეგულირებულია სპეციალური კანონით – „სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონით, რომელის მე-5 პუნქტი ადგენს როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ, ისე ამ ნორმისაგან განსხვავებულ კლასიფიკაციას. დასახელებული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ» ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან საგადასახადო ორგანოები – ყველა საქმეზე, ხოლო საგადასახადო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საგადასახადო ორგანოები არიან შემოსავლების სამსახური და მის შემადგენლობაში შემავალი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აპელანტი მხარეს, მოცემულ შემთხვევაში, სწორედ საგადასახადო ორგანო წარმოადგენდა, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესებიდან გამომდინარე, მის მიმართ სასამართლომ არასწორად გაავრცელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი, ნაცვლად ამავე ნორმის მე-2 ნაწილისა.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს კერძო საჩივარზე დართულ მტკიცებულებებზე: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გზავნილსა და საფოსტო კონვერტზე. დასახელებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ საქალაქო სასამართლომ სსიპ „შემოსავლების სამსახურს» სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების თანახმად გაუგზავნა გადაწყვეტილება ფოსტის მეშვეობით, სასამართლო გზავნილი, რომელსაც ხელს მოსამართლის თანაშემწე აწერს, დათარიღებულია 2012 წლის 30 აპრილით, ხოლო შემოსავლების სამსახურის მიერ დასმული შტამის თანახმად, შეტყობინება ადრესატს ჩაბარდა 2012 წლის 15 ივნისს, თუმცა საყურადღებოა ასევე საქმეში წარმოდგენილი კონვერტი, რომელიც უდავოდ მოწმობს, რომ სასამართლო გზავნილი ფოსტას მხარისათვის ჩასაბარებლად, გადაეცა 2012 წლის 12 ივნისს, ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებისა და გასაჩივრებული განჩინებით უდავოდ დადგენილი იმ ფაქტის ანალიზით, რომ მხარემ ფოსტის მეშვეობით სააპელაციო საჩივარი გააგზავნა 2012 წლის 22 ივნისს, პალატა თვლის, რომ სსიპ „შემოსავლების სამსახურს» სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა არ დაურღვევია მისი თუნდაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ფოსტისათვის გასაგზავნად გადაცემის დღიდან, აღნიშნული კი სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა» ქვეპუნქტისა და მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსიპ „შემოსავლების სამსახურის» კერძო საჩივარი საფუძვლიანია, რაც მისი დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენს, შესაბამისად, მოცემული საქმე სააპელაციო პალატას უნდა დაუბრუნდეს ხელახლა განსახილველად ქონებრივ დავაზე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შემოწმების მიზნით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ „შემოსავლების სამსახურის» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უარი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებაზე**

**განჩინება**

№ას-970-1006-2011

4 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ნ-ძის მიმართ დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე საპროცესო ხარჯების, სულ 41462.45 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2010 წლის 21 აპრილს ქ. ბორჯომში მოპასუხემ მოსარჩელის შვილს მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში მძიმე დაზიანება, რის შედეგადაც გარდაიცვალა კ. გ-მე.

დ. ნ-ძეს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, მას აღნიშნული ქმედებით მიადგა ფიზიკური, ქონებრივი და მორალური ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

მოპასუხე დაეთანხმა სარჩელს იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ფაქტი, ასევე საფლავის მოწყობა და ხარჯების გაწევა, თუმცა მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხები არ შეესაბამება რეალურად არსებულს, ასევე განმარტა, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე პირი არ არის და არც ზიანის მიყენების ფაქტი არ დაუსაბუთებია კანონით დადგენილი წესით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დ. ნ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის – კ. გ-ძის დაკრძალვისა და საფლავის მოწყობისათვის გაწეული ხარჯის – 8636.8 ლარის, აუდიტის მომსახურების – 50 ლარის, ადვოკატის მომსახურების – 600 ლარის, სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადების – 500 ლარის, სულ – 978.8 ლარის ანაზღაურება, ხოლო მორალური ზიანის – 5000 ლარის, ასევე გარდაცვლილის ვალის – 1675.65 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ნ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ნ-ძემ, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მაისის განჩინებით დ. ნ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა ასევე აპელანტის შუამდგომლობა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე. დ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძველებით:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ამავე სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის განჩინებით დ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა სახელმწი-

ფო ბაჟის – 392 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. 2011 წლის 6 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა დ. ნ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე და მხარეს გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორების ვადა. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა ხარვეზის გამოსწორებლობის შედეგები – სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში აპელანტმა (წარმომადგენელმა) კვლავ მიმართა სასამართლოს განცხადებით და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ამავე სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილისა და 6 მაისის განჩინებებზე და განმარტა, რომ 2011 წლის 18 მაისის განცხადებაში მითითებული გარემოება სასამართლოს მიერ განხილულია და ამ საფუძველით მას უარი ეთქვა როგორც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე, ისე მისი გადახდის გადავადებაზე, განცხადება არ შეიცავდა მითითებას ახალ ფაქტზე, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ განცხადება არც საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე იყო დასაშვები, ვინაიდან მხარეს, სასამართლოს ვარაუდით, საკმარისი ვადა მიეცა დადგენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის, ამასთან, ყურადღება გაამახვილა განცხადების მითითებაზე, რომ აპელანტის წარმომადგენლის დასაბუთებული ვარაუდით, დ. ნ-ძის ოჯახის წევრები ვერ მოახერხებენ სახელმწიფო ბაჟის გადახდას და დავის გაგრძელებაზე უარის თქმა მოუწევთ.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ 2011 წლის 24 მაისისათვის მხარეს დადგენილი ხარვეზი გამოსწორებული არ ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლებით, 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ჩათვალა, რომ აპელანტის წარმომადგენელს ხარვეზის გამოსწორებისთვის დადგენილი ვადის გაგრძელების თაობაზე განჩინება ჩაბარებული ჰქონდა 2011 წლის 11 მაისიდან, ამ დროიდან 10 დღის ვადაში – 2011 წლის 23 მაისისათვის, ვინაიდან 21 მაისი არასამუშაო დღე იყო, მხარეს ხარვეზი უნდა გამოეწორებინა, ამ ვადის გასვლის შემდეგ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 374-ე მუხლით და მიიჩნია, რომ დ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა დ. ნ-ძის წარმომადგენელმა მ. ყ-შვილმა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ, 2011 წლის 18 აპრილის განჩინებით განუმარტა აპელანტს, რომ პატიმრობაში ყოფნის ფაქტი არ წარმოადგენს მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე მსჯელობის საფუძველს, თუმცა აღნიშნული შესაძლებელია გამხდარიყო დავის დასრულებამდე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე მსჯელობის საგანი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი იყო ის გარემოებები, რომ აპელანტი იხდის სასჯელს, ჰყავს მცირეწლოვანი შვილები და მეუღლე, მისი ოჯახის წევრები თანხის მოძიებას ვერ მოახერხებდნენ, ამასთან, რადგანაც აპელანტი თანხის გადახდას ვერ მოახერხებდა, იძულებული გახდებოდა, უარი ეთქვა დავის გაგრძელებაზე, რაც დაარღვევდა მის უფლებებს.

მართალია, სასამართლო ხარჯების გადავადების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს უდავო პრეროგატივაა, თუმცა სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები და მხარისათვის უნდა გადაევადებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდა ან გაეგრძელებინა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ნ-ძის წარმომადგენელ მ. ყ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემული საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის განჩინებით დ. ნ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე გათავისუფლების თაობაზე

არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ განმარტა, რომ პატიმრობაში ყოფნის ფაქტი საკმარისი არ არის დასახე-  
ბული ნორმის საფუძველზე მხარის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებისათვის.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში აპელანტმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით  
სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე და მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დადასტუ-  
რების მიზნით კვლავ მიუთითა აპელანტის პატიმრობის ფაქტზე, ამავე განცხადებით განმარტებულია, რომ  
დ. ნ-მემ და მისმა ოჯახის წევრებმა სახელმწიფო ბაჟის თანხის მოძიება ვერ შეძლეს, აღნიშნულის გამო მხა-  
რე იძულებული გახდებოდა, უარი თქვას დავის გაგრძელებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 მაისის განჩინებით  
აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სასა-  
მართლოს განმარტებით, მხოლოდ პატიმრობაში ყოფნის ფაქტი არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველს, ამას-  
თან, სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, აპელანტს გაუგრძელა  
ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადა 7 დღით.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში აპელანტის წარმომადგენელმა კვლავ მიმართა სასა-  
მართლოს განცხადებით სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან საპროცესო ვადის გაგრძელების  
მოთხოვნით, რაც დააფუძნა იმ ფაქტს, რომ აპელანტის ოჯახის წევრებმა სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის  
საკმარისი თანხა ვერ მოიპოვეს.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ აღნიშნული წარ-  
მოდგენდა სასამართლოსათვის მნიშვნელოვან საფუძველს, დაეკმაყოფილებინა მხარის შუამდგომლობა სა-  
ხელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხ-  
ლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით,  
თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდ-  
გენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბი-  
უჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს  
მოტივირებული განჩინება, ამავე კოდექსის 48-ე მუხლი კი ადგენს, რომ სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი  
მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სა-  
სარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წა-  
რუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

დასახელებული ნორმები მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამარ-  
თლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. პირის უფლების შეზ-  
ღუდვა ამ უფლებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში.  
ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით,  
დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით  
დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სასამართლო მექანიზ-  
მები ყველა კატეგორიის პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღ-  
ნიშნულს ადასტურებს სასამართლოს უფლება, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო  
ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გაათავისუფლოს მოქალაქე (სსკ 47-ე მუხლი), აგრეთ-  
ვე, მხარეს შეუმცროს ასეთი ხარჯები ან გადაუვადოს მისი გადახდა (სსკ 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელ-  
მისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმი-  
საწვდომობის უფლება თავისი მრავალფეროვანი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირე-  
ბას, ამავდროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესე-  
ბული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ ზღუდავს და არ ამცირებს ფიზიკური პირების ხელმისაწვდო-  
მობის უფლებას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამოწვევები (სახელ-  
მწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვე-  
ბია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლო-  
ბის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის  
მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მი-  
მე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია  
გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოუყენებლობა გამოიწვევს  
მხარის სადავოდ ქცეული უფლების სასამართლო წესით დაცვის მიღმა დატოვებას.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტი სასამართლო ხარჯების გადახდასთან მიმართებით შუამდგომ-  
ლობას აფუძნებდა მხოლოდ იმას, რომ დ. ნ-მე იხდის სასჯელს, რაც დადასტურებულია როგორც საქმის მა-  
სალებით, ისე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, ხოლო მისი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის დამა-  
დასტურებელი მტკიცებულება მხარეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია, შემოიფარგლა მხოლოდ ზე-  
პირი მითითებით, რომ თ. ნ-მეს ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი და ოჯახმა ვერ შეძლო სახელმწი-  
ფო ბაჟის გადახდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ პირის პატიმრობაში ყოფნის  
ფაქტი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებისათვის თუ მისი გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი



არ არის, რადგანაც მხოლოდ იმის მტკიცება, რომ პირი პატიმარია, არ წარმოადგენს იმის უტყუარ დადასტურებას, რომ მას შემოსავალი არ გააჩნია და არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლი (საპროცესო ვადის გაგრძელება) არ განეკუთვნება იმპერატიულ ნორმათა კატეგორიას და ადგენს სასამართლოს შესაძლებლობას და არა ვალდებულებას საპროცესო ვადის გაგრძელებასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლო, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეს ორჯერ გაუგრძელდა ვადა ხარვეზის გამოსწორებისათვის, იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აპელანტს საკმარისი ვადა ჰქონდა დადგენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის და აღარ არსებობდა ამ ვადის კვლავ გაგრძელების აუცილებლობა. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი და სწორად მიიჩნია, რომ არ არსებობდა დ. ნ-ძის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ნ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **უარი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებაზე**

#### **განჩინება**

№ას-963-1001-2011

19 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. კვანტალიანი,**  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადაზიდვის საფასურისა და პირგასამტეხლოს დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ტ. ფ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ე-ის» მიმართ 2010 წელს მოპასუხის წერილობითი დაკვეთის საფუძველზე, მოსარჩელის მიერ განხორციელებული გადაზიდვის ხელშეკრულებების ღირებულების – 57 087 აშშ დოლარის, ასევე, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, 69 დღის პირგასამტეხლოს – 5 477,76 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის პირველი თებერვლის გადაწყვეტილებით ტ. ფ-ის სარჩელი შპს «ე-ის» მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს «ე-ის» ტ. ფ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 57 087 აშშ დოლარის, ასევე პირგასამტეხლოს სახით 2 738,88 აშშ დოლარის გადახდა, ტ. ფ-ის მოთხოვნა იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, ხოლო გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც დაკმაყოფილდა ტ. ფ-ის სარჩელი, სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს «ე-ამ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მაისის განჩინებით ტ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, ამავე პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით ასევე განუხილველად იქნა დატოვებული შპს «ე-ის» სააპელაციო საჩივარი შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 2011 წლის 25 მარტის განჩინებაზე, რომლითაც აპელანტს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა: სახელმწიფო ბიუჯეტში სა-

ხელმწიფო ბაჟის – 2393.03 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა და სასამართლოში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. 2011 წლის 27 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა აპელანტის წარმომადგენელმა ი. ჟ-ნმა, რომელმაც მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც ამავე სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა, აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა. 2011 წლის 6 მაისს ხარვეზის შესავსებად განსაზღვრულ ვადაში, შპს «ე-ის» წარმომადგენელმა ი. ჟ-ნმა კვლავ მიმართა სასამართლოს, რომელმაც წარმოადგინა სს «... ბანკის» მიერ 2011 წლის 6 მაისს გაცემული ცნობა, რომ 2011 წლის 6 მაისის მდგომარეობით შპს «ე-ას» ერიცხება დავალიანება შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციის მიმართ 612.31 ლარი, რაზედაც ანგარიშებს ადევს ინკასო. მთლიანი დავალიანება შეადგენს 620.00 ლარს, საიდანაც 7.69 ლარი უკვე გადაირიცხა ანგარიშიდან 2010 წლის 22 დეკემბერს, ასევე, სს «ბანკ ...» მიერ გაცემული ცნობა, რომ სს «ბანკ ...» შპს «ე-ის» გახსნილ ანგარიშებზე 2011 წლის 6 მაისის მდგომარეობით წარმოდგენილია საინკასო დავალუბა თანხით – 620 ლარი. ასევე შპს «ე-ის» პირადი ანგარიშების ამონაწერი სს «საქართველოს ბანკიდან» ნაერთი ამონაწერი პირადი ანგარიშიდან გახსნილი ეროვნული ვალუტით, აშშ დოლარით, ევროში და რუსული რუბლით – 2010 წლის პირველი დეკემბრიდან 2011 წლის 5 მაისამდე. პირადი ანგარიშის ამონაწერი სს «ბანკი ...»-დან ეროვნული ლარით, აშშ დოლარითა და ევროთი გახსნილ ანგარიშზე 2010 წლის პირველი იანვრიდან 2011 წლის 4 მაისამდე. წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით აპელანტის წარმომადგენელმა მოითხოვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება. სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 16 მაისის განჩინებით აპელანტ შპს «ე-ას» გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა 5 დღით და დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ბაჟის – 2393.03 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. 2011 წლის 23 მაისს ხარვეზის გამოსწორების მიზნით სააპელაციო სასამართლოს მიმართა აპელანტმა, წარმოადგინა შპს «ე-ის» გადახდის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადების დეკლარაციები 2011 წლის თებერვალ-მაისის მდგომარეობით, აგრეთვე, შპს «ე-ის» დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციები 2011 წლის თებერვალ-მაისის მდგომარეობით იმის დასადასტურებლად, რომ შპს «ე-ას» ეკონომიკური საქმიანობა არ უწარმოებია, ასევე 2011 წლის 20 მაისს სსიპ «შემოსავლების სამსახურის» მიერ გაცემული ცნობა, რომ შპს «ე-ას» ანგარიშსწორების ანგარიშები გახსნილი აქვს სს «... ბანკში», სს «კორ სტანდარტ ბანკში», სს «...ბანკსა» და სს «ბანკ ...», აპელანტის წარმომადგენელმა დამატებით წარმოადგინა ამონაწერი სს «კორ სტანდარტ ბანკიდან» პირადი ანგარიშიდან გახსნილი ეროვნული ვალუტით, აშშ დოლარითა და ევროთი გახსნილ ანგარიშზე – 2011 წლის პირველი იანვრიდან 2011 წლის 20 მაისამდე. პირადი ანგარიშის ამონაწერი სს «... ბანკიდან» ქართული ლარით, აშშ დოლარით, რუსული რუბლითა და ევროთი გახსნილ ანგარიშზე 2011 წლის პირველი იანვრიდან 2011 წლის 20 მაისამდე. აპელანტის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ერთადერთი უძრავი ქონება, რომელიც ირიცხება შპს «ე-ას» საკუთრებაში დაყადაღებულია მოწინააღმდეგე მხარის მიერ და დატვირთულია იპოთეკით ბანკის სასარგებლოდ. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გათვალისწინებით აპელანტის წარმომადგენელმა ითხოვა ხარვეზის შევსებულად მიჩნევა და საპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

სააპელაციო პალატამ იხემდგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით, 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება შპს «ე-ის» მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რადგან, მართალია მას სს «... ბანკში», სს «ბანკი ...», სს «...ბანკსა» და სს «... ბანკში» არსებულ კონკრეტულ ანგარიშზე არ აქვს თანხა, მაგრამ შესაძლებელია ანგარიში ჰქონდეს სხვა ბანკშიც გახსნილი, გააჩნდეს საკუთრებაში სხვა ქონება (მომრავი ნივთები, უძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არ მოიპოვება აპელანტის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც სასამართლოს შეუძლია, იმსჯელოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე, ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს «ე-ის» წარმომადგენელმა ი. ჟ-ნმა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის საბოლოო განხილვამდე შპს «ე-ისათვის» სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა ხარვეზის გამოსწორების მიზნით სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებდნენ აპელანტის რთულ ქონებრივ მდგომარეობას. შპს «ე-ის» განმარტებით, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევით, არასწორად არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე.

შპს «ე-ის» მითითებით, მის დადებით დამოკიდებულებას მითითებულ საკითხთან დაკავშირებით ადასტურებს ისიც, რომ აპელანტი, მიუხედავად რთული ქონებრივი მდგომარეობისა, მოითხოვდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას და არა მისი გადახდისაგან გათავისუფლებას, სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით კი, მან უფლების სასამართლო წესით დაცვის რეალიზება ვერ მოახდინა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ე-ის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავ კოდექსის 410-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

მოცემული საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით შპს «ე-ის» სააპელაციო საჩივარის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივრზე დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, რადგანაც ჩათვალა, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სს «... ბანკის» მიერ 2011 წლის 6 მაისის გაცემული ცნობით 2011 წლის 6 მაისის მდგომარეობით შპს «ე-ისათვის» შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციის მიმართ დავალიანების – 612.31 ლარის არსებობის შესახებ, სს «ბანკ ...» მიერ გაცემული ცნობით, «ბანკ ...» შპს «ე-ის» ანგარიშებზე 2011 წლის 6 მაისის მდგომარეობით წარმოდგენილი საინკასო დავალების თაობაზე, შპს «ე-ის» პირადი ანგარიშების ამონაწერი სს «... ბანკიდან» ნაერთი ამონაწერი პირადი ანგარიშიდან ეროვნულ ვალუტაში, აშშ დოლარში, ევროში და რუსულ რუბლში – 2010 წლის პირველი დეკემბრიდან 2011 წლის 5 მაისამდე, პირადი ანგარიშის ამონაწერით სს «ბანკი ...იდან» ლარში, აშშ დოლარში და ევროში 2010 წლის პირველი იანვრიდან 2011 წლის 4 მაისამდე, შპს «ე-ის» გადახდის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადების დეკლარაციებით 2011 წლის თებერვალ-მაისის მდგომარეობით, აგრეთვე, დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციებით 2011 წლის თებერვალ-მაისის მდგომარეობით იმის დასადასტურებლად, რომ შპს «ე-ის» ეკონომიკური საქმიანობა არ უწარმოებია, 2011 წლის 20 მაისის სსიპ «შემოსავლების სამსახურის» მიერ გაცემული ცნობით, რომ შპს «ე-ის» ანგარიშსწორების ანგარიშები გახსნილი აქვს სს «საქართველოს ბანკში», სს «კორ სტანდარტ ბანკში», სს «...ბანკში» და სს «ბანკი ...ი», ამონაწერით სს «კორ სტანდარტ ბანკიდან» ეროვნულ ვალუტაში, აშშ დოლარსა და ევროში გახსნილ ანგარიშზე – 2011 წლის პირველი იანვრიდან 2011 წლის 20 მაისამდე, პირადი ანგარიშის ამონაწერი სს «...ბანკიდან» ლარში, აშშ დოლარში, რუსულ რუბლსა და ევროში გახსნილ ანგარიშზე 2011 წლის პირველი იანვრიდან 2011 წლის 20 მაისამდე) არ დასტურდებოდა აპელანტის ქონებრივი მდგომარეობის სირთულე, ასევე არ იქნა გათვალისწინებული მითითება იმ გარემოებაზე, რომ ერთადერთი უძრავი ქონება, რომელიც ირიცხება შპს «ე-ის» საკუთრებაში, დაყადაღებულია მოწინააღმდეგე მხარის მიერ და დატვირთულია იპოთეკით ბანკის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. კანონის მითითებული ნორმა მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. პირის უფლების შეზღუდვა ამ უფლებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში. ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სამართლებრივი მექანიზმები ყველა კატეგორიის პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლოს უფლება, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გაათავისუფლოს მოქალაქე (სსკ 47-ე მუხლი), აგრეთვე, მხარეს შეუმციროს ასეთი ხარჯები ან გადაუვადოს მისი გადახდა (სსკ 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება თავისი მრავალფეროვანი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ამავდროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესებული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ ზღუდავს და არ ამცირებს მხარის ხელმისაწვდომობის უფლებას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გაათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადას-

ტუროს მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და სწორედ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოუყენებლობა გამოიწვევს სადავოდ მიჩნეული უფლების სასამართლოს წესით დაცვის რეალიზების შეზღუდვას მოდავე მხარის მიმართ.

«სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით კი განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუბიექტები და გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელეზად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დაწესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის 1-ლი წინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა.

ის გარემოება, რომ კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს მითითებული წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას, არ არის აბსოლუტური და წარმოადგენს უკიდურეს შემთხვევას, როდესაც სასამართლო მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ სავალდებულოა გამოიყენოს საგამონაკლისო ნორმა მხარის მიმართ.

თავის მხრივ, სასამართლო საქმეს იხილავს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით და ამა თუ იმ მხარის მიმართ რაიმე შეღავათის გავრცელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მეორე მხარის ინტერესები. სასამართლომ მეორე მხარის ინტერესებისა და განსახილველი შუამდგომლობის საფუძვლიანობის ბალანსის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს მითითებული საკითხი, რათა დაუსაბუთებლად არ შეილახოს მეორე მხარის უფლებები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე შუამდგომლობის საფუძვლიანობის მტკიცების ტვირთი შუამდგომლობის ავტორს ეკისრება, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, სასამართლო კი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე წყვეტს შუამდგომლობის მართებულობის საკითხს, რაც ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას აისახება.

საკასაციო სასამართლო მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ შპს «ე-ის» მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად ამსახველი არაა და მითითებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების ცალსახა საფუძველს არ წარმოადგენდა, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულებებით უტყუარად არ ირკვევა, რომ შპს «ე-ის» სააპელაციო საჩივრის შეტანის დროისათვის არ გააჩნდა შესაძლებლობა, გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი, ამასთან, პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად სააპელაციო სასამართლომ აპელანტს არაერთხელ გაუგრძელა ვადა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ მხარის კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ადასტურებს მის მიერ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, არამედ, მისი გადახდის გადავადების მოთხოვნა, საკასაციო სასამართლო აღნიშნულს შპს «ე-ის» კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველად ვერ მიიჩნევს და დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ გამოიყენება არა სამართალწარმოების ნებისმიერი მხარის მიმართ, არამედ მხოლოდ სპეციალური სუბიექტის – ფიზიკური პირის მიმართ, ვინაიდან თავად ნორმის დისპოზიციით კანონმდებელმა განმარტა, რომ ამ ნორმით დადგენილი შეღავათი ვრცელდება «მოქალაქის», ანუ ფიზიკური პირის მიმართ, შესაბამისად, ამ გარემოებაზე მითითება ასევე არ წარმოადგენს შპს «ე-ის» პოზიციის სისწორის დამადასტურებელ უტყუარ არგუმენტს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას აპელანტის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სასამართლო სააპელაციო საჩივარს აღარ მიიღებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს «ე-ის» კერძო საჩივარი უსაფუძველოა და არ ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ პირობებს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. შპს «ე-ის» წარმომადგენელ ი. ჟ-ნის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უარი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებაზე

### განჩინება

№ას-532-501-2012

24 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ი. ს-მა თელავის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხეების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის, ნოტარიუს გ. ბ-ის, ქ. ჯ-ის, ქ. ს-ისა და მ. მ-ის წინააღმდეგ. მოსარჩელემ მოითხოვა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ სანიორეს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის 2007 წლის 21 აგვისტოს ცნობის ყალბად მიჩნევა, საჯარო რეესტრის 2007 წლის 21 აგვისტოს ჩანაწერის ბათილად ცნობა, ნოტარიუს გ. ბ-ის მიერ დამოწმებული 2007 წლის 11 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულებისა და 2010 წლის 15 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ს-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის, ნოტარიუს გ. ბ-ის, ქ. ს-ის, ქ. ჯ-ის, მ. მ-ის მიმართ ცნობის სიყალბის აღიარების, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ი. ს-მა სააპელაციო წესით გასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ი. ს-ის სააპელაციო საჩივარი ხარვეზიანად მიიჩნია და 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით აპელანტ – ი. ს-ს და მის წარმომადგენელს, ლ. ჭ-ეს, დაევაალა განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარედგინათ: ა) სააპელაციო საჩივრის შემოტანის დროისათვის, დავის საგნის საბაზრო ღირებულების ამსახველი დოკუმენტი; ბ) სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. ამავე განჩინებით მხარეს განემარტა, რომ ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად, დაუშვებლობის გამო.

იმავე სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა 5 დღით გაგრძელდა.

2012 წლის 6 იანვარს, აპელანტის წარმომადგენელმა ლ. ჭ-ემ სახელმწიფო ბაჟის გადავადების თაობაზე იშუამდგომლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 16 იანვრის განჩინებით არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადავადების თაობაზე და აპელანტს ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა დამატებით 10 დღით გაუგრძელა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის განჩინების ი. ს-ის სააპელაციო საჩივარი, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის განჩინება აპელანტს 2012 წლის 5 თებერვალს ჩაბარდა. მისთვის სააპელაციო საჩივრის ხარვეზის გამოსწორების 10 დღიანი ვადის დენა დაიწყო განჩინების გადაცემის მომდევნო დღიდან, ე. ი 2012 წლის 6 თებერვლიდან და ამოიწურა 2012 წლის 15 თებერვალს, ხოლო ი. ს-სა და მის წარმომადგენელ ლ. ჭ-ეს, არც ხარვეზის ვადის ამოწურვამდე და არც აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, სასამართლოსათვის არ მიუშვრთავთ განცხადებით ხარვეზის გამოსწორების, ხარვეზის გამოსწორებისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გაგრძელების ან გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევისა და აღდგენის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე ი. ს-ის წარმომადგენელმა ლ. ჭ-ემ კერძო საჩივარი შეიტანა და აღნიშნა, რომ მხარეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის საშუალება არ გააჩნდა, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც სასამართლოს წარუდგინეს, სააპელაციო სასამართლომ კი, ისინი არ შეაფასა. აპელანტი ი. ს-ი სტუდენტი იყო, დედამისი ღია ელიზბარაშვილი უმუშევარი, ხოლო მამის, ნ. ს-ის დანაშთი ქონება – მთლიანად გასხვისებული მოპასუხეების მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 აპრილის განჩინებით ი. ს-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის განხილვისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა გადაევადებინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს საკუთარი დისკრეციის ფარგლებში შეუძლია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების გადავადების თაობაზე, რაც მხარის მძიმე ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან კანონით გათვალისწინებული სხვაგვარი შეღავათის გაწევის საფუძველი არის მხოლოდ მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა. მტკიცების ტვირთი აწევს მთლიანად იმ მხარეს, რომელიც აყენებს შუამდგომლობას.

განსახილველ შემთხვევაში, ი. ს-ს სააპელაციო სასამართლოსათვის საკუთარი ფინანსური მდგომარეობის სრულად ამსახველი მტკიცებულებები არ წარუდგენია, შესაბამისად, მისი შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ იმავდროულად ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა 10 დღით გაგრძელდა, შესაბამისად, მხარეს სრული შესაძლებლობა ჰქონდა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის გზით სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა დაემტკიცებინა, რაც მას არ განუხორციელებია და არც სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი შეუვსია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქორწილებულ კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის განჩინება აპელანტს 2012 წლის 5 თებერვალს ჩაბარდა, შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა იმავე წლის 15 თებერვალს ამოიწურა. ვინაიდან ი. ს-ს ხარვეზი დადგენილ ვადაში არ გამოუსწორებია, სააპელაციო სასამართლომ მისი საჩივარი განუხილველად მართებულად დატოვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე, 420-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 თებერვლის განჩინება
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უარი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებაზე

### განჩინება

№ას-1253-1273-2011

24 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეების: ნ. კ-ის, ნ. გ-ის, ნ. ბ-ის, ხ. ბ-ის, თ. დ-ის, ხ. თ-ის, ვ. კ-ის, მ. ლ-ის, მ. მ-ის, შ. თ-ის სარჩელი მოპასუხეების: ო. ა-ძის, მ. ლ-ის, ვ. ს-ძის, მ. ა-ძისა და ი.ბ.ა. «... XXI-ის» მიმართ, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

ო. ა-ძეს, მ. ლ-ს, ვ. ს-ძეს დაეკისრათ ნ. კ-ის სასარგებლოდ 44874 ევროს შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, ნ. გ-ის სასარგებლოდ 27160 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, ნ. ბ-ის სასარგებლოდ 10000 ევროს შესაბამისი ეკვივალენტი ლარის გადახდა;

მ. ლ-ს, ვ. ს-ძეს ო. ა-ძესთან სოლიდარულად დაეკისრათ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 აპრილის განაჩენით ხ. ბ-ის სასარგებლოდ დაკისრებული 25174 ევროს შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, თ. დ-ის სასარგებლოდ დაკისრებული 48000 აშშ დოლარი შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, ხ. თ-ის სასარგებლოდ დაკისრებული 27565 ევროს შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, ვ. კ-ის სასარგებლოდ დაკისრებული 23086 ევროს შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, მ. ლ-ის სასარგებლოდ დაკისრებული 16100 ევროს შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, მ. მ-ის სასარგებლოდ დაკისრებული 10000 აშშ დოლარი შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, შ. თ-ის სასარგებლოდ დაკისრებული 21574 ევროს შესაბამისი ეკვივალენტი ლარის გადახდა;

ნ. კ-ის, ნ. გ-ის, ნ. ბ-ის, ხ. ბ-ის, თ. დ-ის, ხ. თ-ის, ვ. კ-ის, მ. ლ-ის, მ. მ-ის, შ. თ-ის სარჩელი ი.ბ.ა. «... XXI-ისა» და მ. ა-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ო. ა-ძემ და მ. ლ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განჩინებით ო. ა-ძისა და მ. ლ-ის სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ აპელანტ მ. ლ-ს უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე, ვინაიდან მას საქმეზე არ წარუდგენია უტყუარი მტკიცებულებები სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდის შეუძლებლობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ აპელანტს განუმარტა, რომ მას უნდა წარედგინა უტყუარი მტკიცებულებები სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდის შეუძლებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპელანტებს სოლიდარულად უნდა გადაეხადათ სახელმწიფო ბაჟი კანონის შესაბამისად;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის განჩინებით აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდათ ხარვეზი და განჩინების ასლის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში ხარვეზის შევსების მიზნით დაევალოთ: ა. ო. ა-ძეს: მითითება იმ გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს, ამასთან სააპელაციო საჩივარის წარდგენა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით; ბ. აპელანტებს: ო. ა-ძეს და მ. ლ-ს დაევალოთ, სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 5000 ლარის სოლიდარულად გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარმოდგენა;

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტები წარმოადგენდნენ სოლიდარულ მოვალეებს, მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე გაასაჩივრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, სახელმწიფო ბაჟი მათ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ დაკისრებული მთლიანი თანხის შესაბამისად;

2011 წლის 24 მაისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა აპელანტმა მ. ლ-მა, რომელმაც წარადგინა ცნობა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან. ამ ცნობის შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მონაცემებით მოქალაქე მ. ლ-ის (დაბ. ... წელს, მცხ. თბილისი, .... IV შესახვევი №8) სახელზე, მექანიკური

სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული არ არის. განმცხადებელმა წარადგინა ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი (პასუხი), რომლის შესაბამისად საჯარო რეესტრში არსებული განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონულ წიგნში (აღნიშნული ბაზა საქართველოს მამულებზე მოქმედებს 2009 წლის მაისიდან) მ. ლ-ის (პ.ნ № ...) საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის. ამავე წერილში მითითებულია, რომ საჯარო რეესტრის წარმოების წესი და ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული დოკუმენტაცია არ იძლევა პიროვნებისა და იურიდიული პირის დასახელების მიხედვით მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სრულყოფილად ძებნის საშუალებას. გარდა ამისა, აპელანტმა წარადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისადმი 2011 წლის 10 მარტს წარდგენილი წერილი, რომლის შესაბამისად, სპს მ. ლ-ი და მსაჯული იურიდიულმა კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აპელანტმა მოითხოვა სახელწიფო ბაჟის გადახდის გადავადება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ივნისის განჩინებით მალახაზ ლ-ს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა 5 დღით და დაევალია ო. ა-მესთან ერთად, სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 5000 ლარის სოლიდარულად გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა;

ზემოაღნიშნული განჩინება აპელანტის ჩაბარდა 2011 წლის 9 ივნისს;

2011 წლის 13 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას კვლავ მიმართა აპელანტმა მ. ლ-მა, რომელმაც წარადგინა სახელმწიფო ბაჟის სახით 600 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი, ითხოვა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად დარჩენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის განაწილვადება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდის განაწილვადების ინსტიტუტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის განაწილვადებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლოს საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებას, რომელიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ ხარვეზის სრულად შეუვსებლობა სააპელაციო საჩივარის განუხილველად დატოვების საფუძველია.

განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არაერთხელ გაუგრძელა ვადა აპელანტს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად, თუმცა აპელანტის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტების – ო. ა-მის და მ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ლ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის ზემომითითებული მოთხოვნა დაფუძნებულია შემდეგ მოტივებზე:

აპელანტ მ. ლ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ განპირობებული იყო და არის იმით, რომ იგი განიცდის მძიმე მატერიალურ გაჭირვებას, რაიონში ჰყავს ხანდაზმული მშობლები, რომლებიც არიან მის კმაყოფაზე, ხოლო თავად აპელანტის შრომის ანაზღაურება შეადგენს ყოველთვიურად 200 ლარს. ეს თანხა დღევანდელ პირობებში საარსებო მინიმუმია. აპელანტს არ აქვს პირადი უძრავ-მომრავი ქონება თბილისში, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მათი გაყიდვის, გაქირავების ან დაგირავების გზით თანხის მოძიება. მიუხედავად შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენისა, სასამართლომ აპელანტს განუსაზღვრა 14-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ამის შემდეგ, მ. ლ-მა სასამართლოს დამატებით წარუდგინა ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დგინდება, რომ მას საქართველოს მამულებზე არ გააჩნია უძრავი ქონება საკუთრების უფლებით. გარდა ამისა, აპელანტმა წარადგინა მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომ საკუთრებაში არ გააჩნია მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, დამატებით წარადგინა ასევე ცნობა იმის შესახებ, რომ 2011 წლის 11 მარტამდე ჰქონდა იურიდიული ფირმა, საიდანაც ხელფასის გარდა გააჩნდა დამატებითი შემოსავალი, ხოლო დღეის მდგომარეობით მისმა ფირმამ შეწყვიტა ფუნქციონირება. შესაბამისად, აპელანტს შემოსავალი შეუწყდა;



მოცემულ შემთხვევაში, მ. ლ-ის მიერ გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 600 ლარის ოდენობით ანუ ის თანხა, რისი მოძიებაც მან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ მცირე დროში შეძლო. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ პრაქტიკულად ილახება მისი, როგორც საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლება, რამდენადაც დასახელებული ნორმატიული აქტით უზრუნველყოფილია მოქალაქის დარღვეული უფლების დაცვის შესაძლებლობა სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ლ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის განჩინებით ო. ა-ძისა და მ. ლ-ის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტებს დევალათ სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 5000 ლარის სოლიდარულად გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა. აღნიშნულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ აპელანტ მ. ლ-ის შუამდგომლობაზე და მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო მისი დაკმაყოფილების საფუძველი, რამდენადაც წარდგენილი მტკიცებულებების (ცნობა სამუშაო ადგილიდან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილობითი მიმართვა) საფუძველზე უტყუარად არ დასტურდებოდა აპელანტის მძიმე ქონებრივი მდგო.ეობა, რომ მას არ შეეძლო სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდა. სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ კვლავ არ დაკმაყოფილდა და მას გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა. ამავდროულად, აპელანტს განემარტა დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. საბოლოოდ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, მ. ლ-მა ხარვეზი მხოლოდ ნაწილობრივ შეავსო – დაკისრებული თანხიდან (5000 ლარი) სასამართლოს წარუდგინა მხოლოდ 600 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, ხოლო დარჩენილ თანხასთან მიმართებით იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის განაწილვადების თაობაზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში სწორად აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდის განაწილვადების ინსტიტუტს, რის გამოც აპელანტ მ. ლ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის განაწილვადებაზე მართებულად არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა კანონითაა გათვალისწინებული. კანონი განსაზღვრავს ასევე, თუ რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება. აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგო.ეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულების წარდგენა შეიძლება გახდეს მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი. სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელმა პირმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად უნდა უზრუნველყოს სასამართლოსათვის იმ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც მის გადახდისუუნარობას დაასაბუთებს. მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტის გადახდისუუნარობის დასაბუთებლად სააპელაციო სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. აღნიშნულს იზიარებს საკასაციო სასამართლოც, ვინაიდან ხსენებული მტკიცებულებები არასაკმარისია აპელანტის რეალური ქონებრივი მდგო.ეობის დასადგენად, ისინი სასამართლოს არ უქმნის რწმენას, რომ აპელანტს მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გამო არ შეუძლია დადგენილ ვადაში გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. ამდენად, აპელანტმა ვერ დაუდასტურა სასამართლოს მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რაც დასაბუთებულს გახდიდა შუამდგომლობას სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 20 აპრილისა და 3 ივნისის განჩინებებით მ. ლ-ს კანონშესაბამისად უთხრა უარი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალეს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, ამიტომ მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად იქნა დატოვებული განუხილველად.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე უარის თქმით, მას წაერთვა უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის კანონით გათვალისწინებული ხარჯების გადახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

### და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-728-684-2012 10 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მემკვიდრედ აღიარება, სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ., თ., თ. და ა. ს-ებმა სარჩელი აღმრეს სასამართლოში რ. ს-ის, ნოტარიუსების: ნ. უ-ის, ხ. კ-ისა და ამხანაგობა „მ. კ-ის“ მიმართ და მოითხოვეს მემკვიდრედ აღიარება და სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა შემდეგი დასაბუთებით: ჯ. ს-სა და შ. მ-ს ქ. ბათუმში, ... ქ. №13-ში გააჩნდათ კოოპერაციული ბინა №34, ბინა შვილებთან – მ. ს-სა და ა. ს-სთან ერთად მიღებულ იქნა 1976 წლის 18 ოქტომბერს, რაც დასტურდება №001668 ორდერით. შ. მ-ი 1994 წლის 16 ნოემბერს გარდაიცვალა, ხოლო ჯ. ს-ე – 2001 წლის 14 ოქტომბერს. მათი გარდაცვალების დროისათვის სადავო ბინა პრივატიზებული არ იყო და არც გარდაცვლილის შვილებს განუხორციელებიათ ბინის პრივატიზაცია. გარდაცვლილ ჯ. ს-ს ჰყავს ექვსი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილები – მ., ა., თ., თე., რ. და გ. ს-ები. მემკვიდრეები შეთანხმდნენ და სადავო ბინაზე პრეტენზია არ განუცხადებია რ. და გ. ს-ებს. მ., ა., თ. და თე. ს-ებმა, როგორც მემკვიდრეებმა, ფაქტობრივი ფლობით მიიღეს, არა მარტო მამის წილი ბინის j და დედის – შ. მ-ის, ასევე, თავისი წილი ქონება, რაც დღემდე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. სადავო ბინაზე პრეტენზიას აცხადებს ერთ-ერთი პირველი რიგის მემკვიდრე რ. ს-ე, რომელსაც 2004 წლის 1 ივნისს მამის, ჯ. ს-ის, გარდაცვალების შემდეგ მიუღია მემკვიდრეობა და მას ამჟამად ქალაქ ბათუმის ნოტარიუსთან – ნ. უ-სთან წარდგენილი აქვს საბუთები სადავო ბინის მთლიანად მიღების შესახებ. მას შემდეგ, რაც აღნიშნულის შესახებ მოსარჩელებმა გაიგეს, მათ მიმართეს

ნოტარიუს ხ. კ-ს, რომელმაც 2011 წლის 7 აპრილს მ. თ. და თე. ს-ებს უარი უთხრა მემკვიდრეობის მიღებაზე ექვსთვიანი ვადის გასვლის გამო, ხოლო ა. ს-ს უარი უთხრა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, ვინაიდან, 2004 წლის 1 ივნისს და 2010 წლის 30 დეკემბერს სამკვიდრო მოწმობები გაცემულია რ. ს-ის სახელზე.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ქ.ბათუმში, კ-ის ქ.№13-ში მდებარე ბინა №34 წარმოადგენს საბინაო სამშენებლო №.. კოოპერატივის საკუთრებას, ხოლო ჯ. ს-ე აღნიშნული კოოპერატივის მეპაიე წევრს წარმოადგენდა, შესაბამისად მოპასუხე მიიჩნევს, რომ ჯ. ს-ის სამკვიდრო მასაში (აქტივში) შედიოდა მთლიანი ბინა. ამასთან, მოპასუხე განმარტავს, რომ მან მამის გარდაცვალების შემდეგ 2004 წლის პირველი ივნისის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მიიღო მამის დანაშთი სამკვიდრო ქონება, რომელშიც შედიოდა შპს „პ-ს“ 50%-იანი წილი, შესაბამისად, მან მიიღო მამის დანაშთი სხვა ქონებაც, 2010 წლის 30 დეკემბრის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე კი, მიიღო მამის სამკვიდრო მასაში შემავალი აქტივები და პასივები. რაც შეეხება მოსარჩელებს, მოპასუხის მტკიცებით, მათ კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდრო ქონება არ მიუღიათ, რის გამოც მიიჩნევს, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით გ. ს-ე სარჩელს არ ცნო და მოითხოვა, მის მიერ მამის, ჯ. ს-ის, დანაშთი სამკვიდრო ქონების მიღების ფაქტის ფაქტობრივი ფლობით დადგენა და 2004 წლის 1 ივნისისა და 2010 წლის 30 დეკემბრის სამკვიდრო მოწმობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ჯ. ს-ის სამკვიდრო ქონების 1/2 ნაწილის მიკუთვნება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს 2011 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით მ., თ., თე. და ა. ს-ების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება; მ., თ., თე. და ა. ს-ების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დადგენილ იქნა, რომ ჯ. ს-ის გარდაცვალების შემდეგ, 2001 წლის 14 ოქტომბერს სამკვიდრო გაიხსნა ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე №34 ბინის 1/4 წილზე; მ. ს-ე აღიარებულ იქნა ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე №34 ბინაში ჯ. ს-ის კუთვნილი 1/4 წილის 1/3-ის, მთელი ბინის 1/12 წილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ; ა. ს-ე აღიარებულ იქნა ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე №34 ბინაში ჯ. ს-ის კუთვნილი 1/4 წილის 1/3-ის, მთელი ბინის 1/12 წილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ; სარჩელი, თ. და თე. ს-ების მიერ ჯ. ს-ის სამკვიდროს მიღებულად აღიარების ნაწილში, არ დაკმაყოფილდა; რ. ს-ს მ. ს-ისა და ა. ს-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 2115 ლარისა და 32 თეთრის გადახდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები იყვნენ ჯ. ს-ე, მ. მ-ი, ა. ს-ე და მ. ს-ე და მათ ეკუთვნოდათ ამ მისამართზე არსებული 100,2 კვ.მ სამოთახიანი ბინა №34. ჯ. ს-ე გარდაიცვალა 2001 წლის 14 ოქტომბერს. მისი მემკვიდრეები იყვნენ შვილები: მ., თ., თე., ა., რ. და გ. ს-ები. ამათგან ჯ. ს-ის სამკვიდროს დაეუფლნენ მ., ა. და რ. ს-ები. თ., თე. და გ. ს-ებს ჯ. ს-ის სამკვიდრო არ მიუღიათ.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ საბინაო-სამშენებლო ამხანაგობის წევრი იყო მხოლოდ ჯ. ს-ე. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ. სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს. ჯ. ს-ე საბინაო-სამშენებლო ამხანაგობის წევრი გახდა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, ამიტომ, ამ ურთიერთობათა მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს საბინაო კოდექსისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვალის №107 დადგენილებითა და 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილებით გათვალისწინებული წესები. საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვალის №107 დადგენილების მე-10 პუნქტის თანახმად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, რომელმაც მთლიანად გადაიხდა საცხოვრებელი ბინის ღირებულება, ჩაითვალოს ბინის მესაკუთრედ. საქართველოს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის რიცხული სახელმწიფო სესხის ჩამოწერისა და საბინაო – სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მობინადრე მოქალაქეთა მიერ დაკავებული ბინების მათ საკუთრებაში გადაცემის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, კი, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მობინადრეებს უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთრებაში ამ სახლებში მათ მიერ დაკავებული ბინები, მიუხედავად იმისა, გადახდილი ჰქონდათ თუ არა თავდაპირველი შესატანი საპაიო თანხა. ამ ნორმათა მიხედვით, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი (წევრები), ბინაზე უფლებამოსილებული პირები 1993 წლის 1 იანვრიდან ჩაითვალნენ ბინის მესაკუთრეებად, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა მათ გაფორმებული სათანადო ხელშეკრულება კოოპერატივის გამგეობასთან. ამგვარად, მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ ვის ჰქონდა უფლება სადავო ბი-

ნაზე 1993 წლის 1 იანვრისათვის. ამ დროისათვის მოქმედი საქართველოს საბინაო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის ბინებში ჩასახლება ხორციელდებოდა სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გაცემული ორდერების საფუძველზე. შესაბამისად, ამ ბინებზე უფლება ჰქონდათ და კოოპერატივის წევრად ითვლებოდნენ ორდერში მითითებული პირები. დადგენილი არის, რომ, ორდერის მიხედვით, სადავო ბინაზე უფლების მქონე პირებად მითითებული იყვნენ: ჯ. ს-ე, შ. მ-ი, ა. ს-ე და მ. ს-ე. აქედან გამომდინარე, 1993 წლის 1 იანვრიდან ეს პირები ჩაითვალებოდა ბინის თანამესაკუთრებად და თითოეულის წილი განისაზღვრა 1/4-1/4-ით. აქედან გამომდინარე, ჯ. ს-ს ეკუთვნოდა სადავო ბინის 1/4 წილი. დადგენილია, რომ შ. მ-ი გარდაიცვალა 1994 წლის 16 ნოემბერს. მხარეებს არ მიუთითებიათ, რომ ამ დროისათვის შ. მ-ი და ჯ. ს-ე იყვნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და ჯ. ს-მ მიიღო შ. მ-ის სამკვიდრო, ამიტომ, შ. მ-ის გარდაცვალების შემდეგ, ჯ. ს-ის წილი სადავო ბინაში არ გაზრდილა. როგორც აღინიშნა, ჯ. ს-ე გარდაიცვალა 2001 წლის 14 ოქტომბერს, ანუ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ. ამის გამო, მისი სამკვიდროს გახსნისა და მიღების საკითხი უნდა გადაწყდეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესებით. სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად კი, კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები. ამ ნორმათა შესაბამისად, ჯ. ს-ის სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების დღეს, 2001 წლის 14 ოქტომბერს და მისი მემკვიდრეები იყვნენ მ. ს-ე, თ. ს-ე, თე. ს-ე, ა. ს-ე, რ. ს-ე და გ. ს-ე. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივის) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტი-სათვის. ამ ნორმის მიხედვით, ჯ. ს-ის სამკვიდროს შეადგენდა სადავო ბინის 1/4 წილი, ამიტომ აპელანტთა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ჯ. ს-ის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო გაიხსნა სადავო ბინის 1/4 წილზე, დასაბუთებული და საფუძველიანია. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ ჯ. ს-ის სამკვიდრო არ მიუღია გ. ს-ს – მისი სარჩელი, ამ მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა, მას გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და, შესაბამისად, ამ ნაწილში, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არის შესული. მხარეები არ დავობენ მასზე, რომ ჯ. ს-ის სამკვიდრო მიიღო რ. ს-მ. შესაბამისად, დასადგენია, მიიღეს თუ არა ჯ. ს-ის სამკვიდრო აპელანტებმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. უდავოა, რომ ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე ბინაში ჯ. ს-ის გარდაცვალებამდე და მისი გარდაცვალების შემდეგაც, დღემდე ცხოვრობს ა. ს-ე. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ იგი დაეუფლა სადავო ბინას და ამ გზით მიიღო ჯ. ს-ის სამკვიდრო. საქმის მასალებით, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით დგინდება, რომ სადავო ბინით, მთელი ამ დროის განმავლობაში, სარგებლობდა მ. ს-ც. აღსანიშნავია ისიც, რომ მ. ს-ე არის ბინის თანამესაკუთრე, რაც თავისთავად, გულისხმობს მასზე სამართლებრივი ბატონობის განხორციელებას, ე. ი მის მართვას. ამიტომ, პალატამ დაადგინა, რომ ჯ. ს-ის სამკვიდრო მიიღო მ. ს-მა. თ. და თე. ს-ებს კი არ წარმოუდგენიათ არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა, რომ ისინი დაეუფლნენ ჯ. ს-ის სამკვიდროს ნაწილს მაინც.

პალატამ დაადგინა, რომ თ. და თე. ს-ებს ჯ. ს-ის სამკვიდრო არ მიუღიათ. შესაბამისად, დადგენილია, რომ სადავო ბინაში ჯ. ს-ის სამკვიდრო, 1/4 წილი, თანაბარწილად, მიიღეს მ., ა. და რ. ს-ებმა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. ეს ნიშნავს, რომ ჯ. ს-ის სამკვიდროს მიღები მემკვიდრეები: მ. ს-ე, ა. ს-ე და რ. ს-ე 2001 წლის 14 ოქტომბრიდან არიან ჯ. ს-ის სამკვიდრო ქონების, ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე ბინის 1/4 წილის 1/3-1/3 წილის, ანუ მთელი სახლის 1/12-1/12 წილის მესაკუთრენი. პალატამ მიიჩნევს, რომ სამკვიდროს მიღებულად ჩათვლისა და მოწინააღმდეგე მხარისათვის წილის მიკუთვნების მოთხოვნა მოიცავს წილის მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნას. სამკვიდროს მიღება, თავისთავად, გულისხმობს საკუთრების წარმოშობას, ხოლო მოპასუხისათვის წილის განსაზღვრა – მოსარჩელეთა წილის დადგენასაც. ამის გამო, პალატამ მიიჩნევს, რომ მ. ს-ე და ა. ს-ე აღიარებულ უნდა იქნენ ჯ. ს-ის სამკვიდრო ქონების, ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე ბინის 1/4 წილის 1/3-1/3 წილის, ანუ მთელი სახლის 1/12-1/12 წილის მემკვიდრეებად და მესაკუთრეებად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა რ. ს-მ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება ა. და მ. ს-ებზე წილის მიკუთვნების ნაწილში შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ სამართლებრივად არ შეაფასა ის გარემოება, რომ მხარეები ითხოვდნენ მხოლოდ ბინიდან წილის მიკუთვნებას და არა მთლიანად სამკვიდროს გაყოფას, რასაც საფუძველად დაედო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის

1435-ე მუხლის გამოუყენებლობა. მამის დანაშთი ქონება რ. ს-ის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მთლიანად იქნა მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და თ. და თე. ს-ებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ, სასამართლომ, მხარეების მიერ გაწეული საპროცესო ხარჯები სრულად დააკისრა კასატორს, რაც არასწორია, რადგან ამ შემთხვევაში საპროცესო ხარჯები იმ ოდენობით უნდა დაკისრებოდა, რა ნაწილშიც დაკმაყოფილდა მოთხოვნა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ს-ის საკასაციო საჩივარი, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 ივლისის განჩინებით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად, ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელებმა მ., თ., თე. და ა. ს-ებმა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას სახელმწიფო ბაჟი 907 ლარი გადაიხადეს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ., ა., თ. და თე. ს-ების სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრეს მოსარჩელებმა. საქმის სააპელაციო წესით განხილვის დროს მოსარჩელებმა (აპელანტებმა) სახელმწიფო ბაჟის სახით 1208.32 ლარი გადაიხადეს. აქედან გამომდინარე, მ., თ., თე. და ა. ს-ების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟმა ორივე ინსტანციის სასამართლოში 2115.32 ლარი შეადგინა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით თ. და თე. ს-ების სარჩელი სამკვიდროს მიღებულად აღიარების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რ. ს-ს მ. და ა. ს-ების სასარგებლოდ 2115.32 ლარის გადახდა სოლიდარულად დაეკისრა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებას სახელმწიფო ბაჟის არასწორად დაკისრებასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბაჟი – 2115.32 ლარი მოსარჩელებმა – მ., ა., თ. და თე. ს-ებმა ორივე ინსტანციის სასამართლოში სოლიდარულად გადაიხადეს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მ. და ა. ს-ების სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ხოლო თ. და თე. ს-ებს უარი ეთქვათ მის დაკმაყოფილებაზე. ვინაიდან, ორივე ინსტანციის სასამართლოში მხარეთა მიერ სოლიდარულად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის რაოდენობა იყო 2115.32 ლარი, ხოლო თ. და თე. ს-ების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რ. ს-ს მათ მიერ გადახდილი ბაჟის 1057.66 ლარის გადახდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, არ უნდა დაკისრებოდა.

რაც შეეხება, მ. და თ. ს-ების მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟს – 1057.66 ლარს, აღნიშნულის გადახდაზე მოთვალისწინებული ნორმის თანახმად, მოსარჩელების სასარგებლოდ მოპასუხე რ.ს-ს უნდა დაეკისროს.

ამასთან, მ. და ა. ს-ებს რ. ს-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს რ.ს-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 105.76 ლარის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

რ. ს-ის საკასაციო საჩივარი გასაჩივრებული გადაწყვეტილების სახელმწიფო ბაჟის დაკისრების გაუქმების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება რ. ს-ისათვის სახელმწიფო ბაჟის – 2115.32 ლარის მ. და ა. ს-ების სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

რ. ს-ს მ. და ა. ს-ების სასარგებლოდ დაეკისროს სასამართლო ხარჯის – 1057.66 ლარის გადახდა.

მ. და ა. ს-ებს რ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისროს რ. ს-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 105.76 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასამართლო შეტყობინება

### სასამართლო უწყების ჩაბარება

#### განჩინება

№ას-1513-1520-2011

7 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტისა და დამატებითი ხარჯების დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ტ. კ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. დ-ის მიმართ არასრულწლოვანი შვილის – ე. დ-ის სასარგებლოდ, მის სრულწლოვანებამდე ალიმენტის სახით ყოველთვიურად 300 ლარის, დამატებითი ხარჯების – 100 ლარისა და სასამართლო ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და განმარტა, რომ დროებით უმუშევარია, მის კმაყოფაზე იმყოფება მეუღლე რეგისტრირებული ქორწინებიდან და სამი არასრულწლოვანი შვილი, შესაბამისად, მოთხოვნილი ოდენობით თანხის გადახდას ვერ მოახერხებს, რის გამოც თანხმობა განაცხადა ალიმენტის სახით 50, ხოლო დამატებითი ხარჯების სახით 20 ლარის ანაზღაურებაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით ტ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ზ. დ-ეს 2011 წლის 17 მაისიდან შვილის სრულწლოვანებამდე ალიმენტის სახით დაეკისრა თვეში 70 ლარის გადახდა, ასევე დამატებითი ხარჯის – 100 ლარისა და იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 აგვისტოს განჩინებით ტ. კ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგინილი წესით. სასამართლოს გზავნილის თანმახმად, აპელანტ ტ. კ-ას წარმომადგენელ ა. ბ-ეს გადაწყვეტილება ჩაბარდა სამუშაო ადგილზე (ოფისმენეჯერს ი. მ-ეს) 2011 წლის 4 ივლისს. ტ. კ-ას სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილია 2011 წლის 19 ივლისს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 369-ე, 374-ე მუხლებით და განმარტა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის 2011 წლის 4 ივლისს მხარის წარმომადგენლისათვის ჩაბარების ფაქტიდან გამომდინარე, გასაჩივრების ბოლო ვადა 2011 წლის 18 ივლისს იყო. ვინაიდან, ტ. კ-ას სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილ იქნა 2011 წლის 19 ივლისს, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით, პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა ტ. კ-ას სააპელაციო საჩივრის დაშვების წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ტ. კ-ას წარმომადგენელმა ა. ბ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი საპროცესო ვადა, რადგანაც სასამართლო გადაწყვეტილება ჩაბარდა არა მხარის წარმომადგენელს, არამედ საადვოკატო ბიუროს ოფისმენეჯერს და გადაწყვეტილების უშუალოდ ა. ბ-ისათვის გადაცემა მოხდა 2011 წლის 6 ივლისს. აღნიშნული წარმომადგენს საპროცესო ვადის დენის დაწყების საფუძველს და მან სააპელაციო საჩივარი სწორედ კანონით დადგენილ ვადაში წარადგინა სასამართლოში.

კერძო საჩივრის ავტორმა ასევე წარმოადგინა ოფისმენეჯერ ინგა მ-ის ახსნა-განმარტება, რომლის თანახმადაც სასამართლო გადაწყვეტილება მან ა. ბ-ეს ჩააბარა 2011 წლის 6 ივლისს, ასევე წარმოდგენილია სპს «ჯ. დ-ის ჯგუფის» ხელმძღვანელ ჯ.დ-ის 2008 წლის 1 ივლისის №4 ბრძანება ოფისმენეჯერად ინგა მ-ის დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე ტ. კ-ა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, ხოლო მისი კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრებულის განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. კ-ას წარმომადგენელ ა. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დასტურდება და ამას არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაეზავნა მოსარჩელის წარმომადგენელს სამუშაო ადგილის მიხედვით სარჩელში მითითებულ მისამართზე და სასამართლოში დაბრუნებული სასამართლო შეტყობინებით დასტურდება, რომ გზავნილი 2011 წლის 4 ივლისს ჩაბარდა ოფისმენეჯერ ი. მ-ეს. დადასტურებულია და ამას არც მხარე უარყოფს, რომ სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში ა. ბ-ემ წარადგინა 2011 წლის 19 ივლისს. კერძო საჩივრის ანალიზისა და მასზე დართული მტკიცებულებებით დასტურდება ის გარემოებაც, რომ გზავნილის მიმღები ი. მ-ე ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომელია.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავზე, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების წესები და ამომწურავადაა რეგულირებული სასამართლო კორესპოდენციის მიღება-გაგზავნის წესები. ამავე თავის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია სასამართლო შეტყობინების ზოგადი წესი და დადგენილია, რომ მხარე ინფორმირებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება ჩაბარდა მას პირადად, მის წარმომადგენელს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კი განსაზღვრულია შემთხვევა, როდესაც შეტყობინება მხარეს ან მის წარმომადგენელს ეგზავნება სამუშაო ადგილის მიხედვით, კერძოდ, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩააბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩააბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო, თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

დასახელებული ნორმით დადგენილია ორგანიზაციის უფლებამოსილი წევრისა თუ ოჯახის ქმედუნარიანი წევრის ვალდებულება, უწყება დაუყოვნებლივ გადასცეს ადრესატს და კანონმდებელი შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობას უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს, კანონის სუბიექტთაგან ერთ-ერთისათვის ჩაბარებას და არა იმას, თუ როდის გადასცა შეტყობინება მიმღებმა ადრესატს. შესაბამისად, სავსებით უსაფუძ-

ვლოა ა. ბ-ის მოსაზრება, რომ საპროცესო ვადის დენა უნდა დაწყებულიყო არა ოფისმენეჯერისათვის შეტყობინების გადაცემიდან, არამედ ოფისმენეჯერის მიერ მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის უწყების გადაცემიდან.

ამ მიმართებით, საკასაციო პალატა არასათანადო მტკიცებულებად მიიჩნევს კერძო საჩივარზე დართულ ახსნა-განმარტებას და მიუთითებს, რომ კანონის ძალით დადგენილი ფაქტის გამაქარწყლებელს აღნიშნული მტკიცებულება არ წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, კერძო საჩივრის იმ არგუმენტს, რომ ვადის ათვლა ა. ბ-ისათვის პირადად ჩაბარებიდან უნდა დაწყებულიყო სამართლებრივად დასაბუთებულ პრეტენზიად მიჩნევას გამორიცხავს თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მოდავე მხარე, რომელიც არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას უფლებამოსილია, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მისი კანონით დადგენილი წესით გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლი ამოქმედებულია მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიმართ, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად უნდა ჩაითვალოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლო შეტყობინებას კანონმდებელი ჩაბარებულად მიიჩნევს 2011 წლის 4 ივლისს, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილისა, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 5 ივლისს და ამოიწურა ამავე წლის 18 ივლისს. საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი კი შეტანილია 2011 წლის 19 ივლისს, კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის დარღვევით, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, მისი განუხილველად დატოვების უტყუარი წინაპირობაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა, უსაფუძვლობის გამო არ იზიარებს ტ. კ-ას წარმომადგენელ ა. ბ-ის კერძო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ტ. კ-ას წარმომადგენელ ა. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სასამართლო უწყების ჩაბარება**

#### **განჩინება**

№ას-1078-1107-2011

19 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ი/მ თ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ა. მ-ს ი/მ თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 30960 აშშ დოლარის გადახდა; ამავდროულად,



დადგინდა, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მისი ანაზღაურება მოხდებოდა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, მ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით, რომელიც მდებარეობდა ქ.ქუთაისში, ... ქ.№2-ში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. და მ. მ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განჩინებით ა. და მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 მაისის განჩინებით აპელანტებს – ა. და მ. მ-ს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდათ ხარვეზი, რომლის შესავსებადაც მიეცათ შესაბამისი ვადა. ამასთან, მათ განემარტათ, რომ, თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებდნენ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

სააპელაციო სასამართლოს ზემოთ დასახელებული განჩინება აპელანტებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული გზავნილი ჩაბარდა აპელანტ ა. მ-ის მეუღლეს, ე. კ-ს, 2011 წლის 10 მაისს;

2011 წლის 17 მაისს აპელანტმა ა. მ-მა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება, რომელსაც თან დაურთო სააპელაციო საჩივარი ხუთ ეგზემპლარად. ამასთან, განმცხადებელმა სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის ითხოვა ხარვეზის შევსების ვადის 14 დღით გაგრძელება იმ მოტივით, რომ სახელმწიფო ბაჟის სახით მისთვის დაკისრებული თანხა იყო საკმაოდ სოლიდური;

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 მაისის განჩინებით ა. და მ. მ-ს ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა გაუგრძელდათ 10 დღით; მათ კანონით დადგენილი წესით განემარტათ, რომ ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად;

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 18 მაისის განჩინების ასლი აპელანტებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს აღნიშნული გზავნილი 2011 წლის 19 მაისს ჩაბარდა აპელანტების დედას, ნ. მ-ს;

2011 წლის 20 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა ნ. მ-ის განცხადება, სადაც ის აღნიშნავს, რომ: კაფე-ბარის თანამშრომელმა ამოუტანა «რალაგა საბუთი» ხელმოსაწერად; რადგან საბუთი მას მიუტანეს, ეგონა რომ ეს იყო პირადად მისთვის განკუთვნილი საბუთი თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოდან «მხერაპლიუსიდან»; მას მხედველობის პრობლემები აქვს, რის გამოც საბუთი წაუკითხა კაფე-ბარის თანამშრომელმა და გაიგო, რომ ეს საბუთი მას არ ეკუთვნოდა; იგი ვერც იმას მოახერხებს, რომ საბუთი გადასცეს მის შვილს, ანუ ადრესატს, რადგან დროებით ქალაქში არ იმყოფება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადის ქალაქიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, ამავე კოდექსის 71-ე მუხლზე, რომელთა თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით (გზავნილით) ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და აგილი. უწყება (გზავნილი) მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს; სასამართლო გზავნილი (უწყება) ადრესატს ბარდება მის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. გზავნილის (უწყების) მიმღები ვალდებულია, გზავნილის (უწყების) მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ მხარეს ნებისმიერი გზავნილი უნდა ჩაბარდეს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების (გზავნილის) ჩამბარებელმა ადრესატი ვერ ნახა მის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას (გზავნილს) აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების (გზავნილის) მიმღები ვალდებულია, უწყების (გზავნილის) მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი. უწყების (გზავნილის) მიმღები ვალდებულია, უწყება (გზავნილი) დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების (გზავნილის) ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების (გზავნილის) მეორე ეგზემპლარზე უწყების (გზავნილის) მიმღების ხელმოწერით.

მოცემულ შემთხვევაში, საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ საქმეში არსებული შეტყობინების ბარათით (2011 წლის 18 მაისის განჩინების გზავნილზე) დასტურდებოდა, რომ 2011 წლის 19 მაისს გზავნილი ჩაბარდა აპელანტების დედას ანუ ოჯახის წევრს, ნ. მ-ს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული გულისხმობდა ა. და მ. მ-ისათვის გზავნილის ჩაბარებას 2011 წლის 19 მაისს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე აპელანტებისათვის ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა ამოიწურა 2011 წლის 30 მაისს, რომელიც იყო სამუშაო დღე ორშაბათი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აპელანტებს განჩინებაში მითითებული ხარვეზი არ შეუვსიათ და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავთ სააპელაციო სასამართლოსათვის ხარვეზის ვადის გაგრძელების შესა-

ხეზ. რაც შეეხებოდა აპელანტების დედის, ნ. მ-ის მიერ 2011 წლის 20 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებას, სააპელაციო სასამართლომ იგი არ მიიჩნია იმის საფუძველად, რომ აპელანტებს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლი არ ჩაბარებიათ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლზე, 374-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის განჩინება ა. და მ. მ-მა კერძო საჩივრით გაასაჩივრეს. მათ მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ ნ. მ-ი ვერანაირად ვერ ჩაითვლება აპელანტებთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრად და მასზე გზავნილის ჩაბარება ავტომატურად არ ნიშნავს ამავე გზავნილის ა. და მ. მ-ისათვის ჩაბარებას. მართალია, ნ. მ-ი არის აპელანტების დედა, რომელიც რეგისტრირებულია ქუთაისში, ... №7ზ/25-ში მცხოვრებად (სადაც ასევე გააჩნია რეგისტრაცია ა. მ-ს), მაგრამ ნ. მ-ი, რომელიც ხანდახმული პიროვნებაა, ფაქტობრივად ცხოვრობს ქუთაისში, ... ქ.№6-ში ნათესავებთან. სწორედ ამ მისამართზე ჩაბარდა მას 2011 წლის 18 მაისის განჩინების გზავნილი. ა. მ-ი ფაქტობრივად ცხოვრობს ქუთაისში, ... №7ზ/25-ში, ხოლო მ. მ-ი ცხოვრობს და რეგისტრირებულია ქუთაისში, ... ქ.№2ზ/3-ში.

კერძო საჩივრის ავტორებმა ზემოთხსენებული გარემოების დასადასტურებლად საჩივარს თან დაურთეს ა., მ. და ნ. მ-ის პირადობის მოწმობების ასლები, აგრეთვე, ქ.ქუთაისის მერიის ... ტერიტორიული ორგანოს 2011 წლის 23 ივნისის №439 ცნობა მ. მ-ის საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. და მ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალბებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი აწესრიგებს შემთხვევას, როდესაც ადგილი აქვს მხარის მოუძიებლობას მის მიერ მითითებულ მისამართზე. ასეთ დროს კანონი ადგენს, რომ სასამართლო უწყების ჩამბარებელი პირი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დგინდება ის გარემოება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 მაისის განჩინებით ა. და მ. მ-ს გაუგრძელდათ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსებისათვის დაწესებული ვადა განჩინების ასლის გადაცემიდან 10 დღით. მითითებული განჩინების ასლი აპელანტებს გაეგზავნათ სააპელაციო საჩივარში მათ მიერ მითითებულ მისამართზე: ქუთაისი, ...ქ.№12, ... ქ.№1. დასახელებულ მისამართზე სასამართლო გზავნილი ჩაბარდა აპელანტების დედას, ნ. მ-ს. გზავნილის ჩაბარების თარიღია 2011 წლის 19 მაისი (125). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, აღნიშნული მიიჩნევა ხარვეზის განჩინების აპელანტებისათვის ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსებისათვის დაწესებული 10-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2011 წლის 20 მაისს. ეს ვადა დასრულდა 2011 წლის 30 მაისს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ორშაბათი. დროის ამ მონაკვეთში აპელანტებს ხარვეზი არ შეუვსიათ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო საჩივარი სწორად დარჩა განუხილველად.

ის გარემოება, რომ აპელანტები რეგისტრირებულნი არ არიან სააპელაციო საჩივარში დასახელებულ მისამართზე, ვერ აქარწყლებს სასამართლო გზავნილის მათთვის ჩაბარებულად მიჩნევის ფაქტს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უწყება (გზავნილი) ადრესატს ბარდება მის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამდენად, კანონით გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ გზავნილის მხარისათვის ჩაბარების შესაძლებლობა მის მიერ მითითებულ მისამართზე. შესაძლებელია, რომ ამ მისამართზე მხარე საერთოდ არც იყოს რეგისტრი-

რებული. აღნიშნული უკავშირდება მხარისათვის სასამართლო გზავნილის დროულად ჩაბარების უზრუნველყოფას მისთვის მოსახერხებელ მისამართზე.

მოცემულ შემთხვევაში არსებითია ის, რომ სააპელაციო საჩივარში ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება აპელანტებს გაეგზავნათ სწორედ მათ მიერ მითითებულ მისამართზე და იგი ჩაბარდა მათი ოჯახის წევრს, დედას. ამასთან, აპელანტების დედის სხვა მისამართზე რეგისტრაცია უტყუარად ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი რეგისტრაციის მისამართზე ცხოვრობს და არ წარმოადგენს აპელანტების ოჯახის წევრს. მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ფიზიკური პირის შესაძლებლობა, ჰქონდეს არაერთი საცხოვრებელი ადგილი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, განსაზღვრულ მისამართზე პირის რეგისტრაცია არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს უკანასკნელი ფაქტობრივად ცხოვრობდეს არა რეგისტრირებულ, არამედ სხვა მისამართზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. და მ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სასამართლო უწყების ჩაბარება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში**

### **განჩინება**

№ას-153-147-2012

22 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. და გ. გ-ებმა, ს. დ-ემ და შ. მ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. უ-ისა და თ. გ-ის წინააღმდეგ და მოითხოვეს მოპასუხეებისათვის, მათ სასარგებლოდ, სოლიდარულად ვალის – 35000 ლარისა და 73 284 აშშ დოლარის ეკვივალენტი – 120 918 ლარის, სულ – 155 418 ლარის დაკისრება, ასევე სახელმწიფო ბაჟის – 3000 ლარის და ადვოკატის მომსახურების – 1500 ლარის, სულ – 4500 ლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელებს: ა. გ-ის, გ. გ-ის, ს. დ-ისა და შ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს: ნ. უ-ესა და თ. გ-ეს, მოსარჩელების სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრა 35000 ლარისა და 73 284 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ასევე მოსარჩელეთა მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3000 ლარისა და იურიდიული მომსახურების ხარჯის – 1500 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. უ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება მისთვის თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით ნ. უ-ეს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში, 1400 ლარისა და 2931 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის (მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა) ოდენობით გა-

დახდილი სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის (დედნის სახით) სასამართლოში წარმოდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის განჩინებით, სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, ნ. უ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტს გაეგზავნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ორჯერ მის მიერ მითითებულ მისამართზე, საიდანაც დაბრუნდა მინაწერთი: „ნამდვილად ცხოვრობს, სახლში არ იყო, შეტყობინებას არ გამოეხმაურა სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, ასევე 73-ე მუხლის 11 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ მხარისათვის ჩაბარებულად ჩათვალიდა და ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში აპელანტმა ხარვეზი არ გამოასწორა და არც ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების თაობაზე რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის, სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. უ-ე და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ, მართალია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, მაგრამ დღის განმავლობაში სახლში არ იმყოფება და გვიან ბრუნდება სამსახურიდან, შესაბამისად, გზავნილის ჩამბარებელი მას არ შეხვედრია და ამასთან, არც კურიერის შეტყობინება დახვედრია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ ნ. უ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ნ. უ-ეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში, 1400 ლარისა და 2931 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის (მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა) ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის (დედნის სახით) სასამართლოში წარმოდგენა. აღნიშნული განჩინებითვე აპელანტს განემარტა, რომ თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტს გაეგზავნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ორჯერ მის მიერ მითითებულ მისამართზე, საიდანაც დაბრუნდა მინაწერთი: „ნამდვილად ცხოვრობს, სახლში არ იყო, შეტყობინებას არ გამოეხმაურა«. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, ასევე 73-ე მუხლის 11 ნაწილის მიხედვით, სასამართლომ განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ მხარისათვის ჩაბარებულად ჩათვალიდა და, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში აპელანტმა ხარვეზი არ გამოასწორა და არც ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების თაობაზე რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის, სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად და ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, მაგრამ დღის განმავლობაში სახლში არ იმყოფება და გვიან ბრუნდება სამსახურიდან, შესაბამისად, გზავნილის ჩამბარებელი მას არ შეხვედრია და ამასთან, არც კურიერის შეტყობინება დახვედრია.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და ვერ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებულ ძირითად მისამართზე, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ბარდება ამ კოდექსის 73-ე მუხლის 11 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული 73-ე მუხლის 11 ნაწილით კი, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

ამდენად, სასამართლოს მხრიდან მხარის მიერ მითითებულ მისამართზე სასამართლო უწყებისა თუ გზავნილის ორჯერ გაგზავნის შედეგად გზავნილი ჩაბარებულად ჩაითვლება მაშინაც, თუ იგი, სასამართლოსაგან დამოუკიდებელი მიზეზით, მხარეს არ ჩაბარდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინება ნ. უ-ეს გაეზავნა სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, მაგრამ განმეორებით გაეზავნილი შეტყობინებაც არ ჩაბარდა ბინაზე არყოფნისა და შენახვის ვადის გასვლის გამო, ამდენად, მითითებული მუხლების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. უ-ეს სასამართლო გზავნილი ჩაბარდა, თუმცა მას სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის. აღნიშნული კი, მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობით ნ. უ-ემ დაკარგა მისთვის მინიჭებული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნ. უ-ის სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. უ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს**

#### **განჩინება**

№ას-497-471-2011

16 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. კვანტალიანი,**  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** დავალიანების გადახდევინება, ქონების რეალიზაცია

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს «... ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. ჩ-ასა და შპს «...ს» მიმართ ჯ. ჩ-ასათვის №77828 საბანკო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 41327.78 აშშ დოლარის, ოვერდრაფტით მიღებულ თანხაზე 7850,42 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების, 41327.78 აშშ დოლარისა და 7850.42 აშშ დოლარის დაფარვის მიზნით, ჯ. ჩ-ას სახელზე რიცხული გირავნობის საგნის (ავტომანქანა «ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო 2.7», სანომრე ნიშანი «...») რეალიზაციის, ჯ. ჩ-ასა და შპს «...სათვის» №523550-190479 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სოლიდარულად დავალიანების – 98594.16 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებისა და აღნიშნული დავალიანების დაფარვის მიზნით, ჯ. ჩ-ას საკუთრებაში არსებული მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე (საკადასტრო კოდი №...) იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ჯ. ჩ-ას მოსარჩელე სს «... ბანკის» სასარგებლოდ დაეკისრა 2006 წლის პირველი სექტემბრის №77828 საბანკო მომსახურების ხელშეკრულებიდან გა-

მომდინარე დავალიანების – 41327.78 აშშ დოლარის და ოვერდრაფტით მიღებულ თანხებზე დავალიანების – 7850,42 აშშ დოლარის გადახდა, 2006 წლის პირველი სექტემბრის საბანკო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 41327.78 აშშ დოლარისა და ოვერდრაფტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების – 7850.42 აშშ დოლარის დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა ჯ. ჩ-ას სახელზე რიცხული გირავნობის საგანი – ავტომანქანა, «ტოიოტა ლენდკრუიზერი პრადო 2.7», (ფერი – რუხი 1/8, გამოშვების წელი – 2006, სანომრე ნიშანი – ..., საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა – ...), მოპასუხეებს: ჯ. ჩ-ასა და შპს «...ს» მოსარჩელე სს «... ბანკის» სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2007 წლის 2 მაისის იპოთეკური კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 98594.16 აშშ დოლარის გადახდა, აღნიშნული დავალიანების დაფარვის მიზნით, სარეალიზაციოდ მიექცა ჯ. ჩ-ას სახელზე რეგისტრირებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება (მდებარე მცხეთის რაიონის სოფელ ..., 950 კვ.მ დაზუსტებული ფართობის შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი ლიტერ «ა», საცხოვრებელი ფართი: 54.00 კვ.მ და დამხმარე ფართი: 99.00 კვ.მ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი ...).

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე ჯ. ჩ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინებით ჯ. ჩ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება ჯ. ჩ-ას გაეგზავნა შესაგებელში მითითებულ მისამართზე – ქ.თბილისში, ..... 14, ბინა №1 და 2011 წლის 20 იანვარს აღნიშნულ მისამართზე სასამართლო კორესპოდენცია ჩაბარდა აპელანტის შვილს – გ. ჩ-ას.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 74-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ჯ. ჩ-ას ოჯახის ქმედუნარიანი წევრისათვის სასამართლო შეტყობინების 2011 წლის 20 იანვარს ჩაბარება მიიჩნევა ჯ. ჩ-ასათვის ამავე დღეს ჩაბარებად.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლზე და განმარტა, რომ კანონმდებლობით დადგენილი სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 21 იანვარს და ამოიწურა ამავე წლის 3 თებერვალს, ხოლო ჯ. ჩ-ამ სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა 2011 წლის 7 თებერვალს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ჯ. ჩ-ამ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შემოწმება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ 2011 წლის 20 იანვარს ჯ. ჩ-ას შვილისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება ჯ. ჩ-ასათვის ჩაბარებად მიიჩნია არასწორად, რადგანაც 2010 წლის დეკემბრიდან ჯ. ჩ-ა წამოსულია ოჯახიდან, აღარ ცხოვრობს ამ მისამართზე, ამასთან, გამოცვალა მობილური ტელეფონის ნომერი, რაც გამორიცხავს ოჯახის წევრის მიერ ჯ. ჩ-ასათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების თაობაზე დროულ ინფორმირებას. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლო შეტყობინების გადაცემის მეორე დღესვე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ჩ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

მოცემული საქმის მასალების მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება მოპასუხე ჯ. ჩ-ას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა მოპასუხის მიერ შესაგებელში მითითებულ მისამართზე და 2011 წლის 20 იანვარს აღნიშნული შეტყობინება ჩაბარდა ჯ. ჩ-ას ოჯახის ქმედუნარიან წევრს, შვილს – გ. ჩ-ას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კი ადგენს, რომ, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, რაც უწყების ადრესატისათვის ჩაბარებულად მიჩნევისა და საპროცესო ვადის დენის დასაწყებად საკმარისი საფუძველია.

ამდენად, დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, კანონმდებელი სასამართლო შეტყობინების მხარისათვის ჩაბარებულად მიიჩნევს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი საქმეში არსებულ მისამართზე ჩაბარდა კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სუბიექტს, მათ შორისაა ოჯახის ქმედუნარიანი წევრი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ მან შეიცვალა მისამართი და ტელეფონის ნომერი და ოჯახის წევრი ჯ. ჩ-ას დროულად ვერ აცნობებდა სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების თაობაზე, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლით რეგლამენტებულია მხარისა და მის წარმომადგენლის ვალდებულება, მისამართის შეცვლის თაობაზე აცნობოს სასამართლოს. დასახე-

ლებული ნორმის თანახმად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. დასახელებული ნორმა იმპერატიულად მოითხოვს სამოქალაქო პროცესის სუბიექტებისაგან საქმის წარმოების განმავლობაში მისამართის შეცვლის თაობაზე სასამართლოს ინფორმირების სავალდებულობას. იმ შემთხვევაში, თუ მხარე დროულად არ აცნობებს მისამართის შეცვლის თაობაზე სასამართლოს, სასამართლო ამ მისამართზე შეტყობინების თუნდაც სხვა პირისათვის ჩაბარებას ადრესატისათვის ჩაბარებად მიიჩნევს. თავის მხრივ, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი გამომდინარეობს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან, რათა სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარის მიერ მისამართის შეტყობინებლობას შედეგად არ მოჰყვეს მართლმსაჯულების გაჭიანურება და ამავე დავის მეორე მხარის ინტერესების დაუსაბუთებელი შელახვა.

დასახელებული მსჯელობიდან გამომდინარე, პალატა საპატიოდ ვერ მიიჩნევს ჯ. ჩ-ას მითითებას მისამართისა და ტელეფონის ნომრის შეცვლის თაობაზე, რადგანაც სასამართლოს ინფორმირების ფაქტი, რომ მოპასუხემ მისამართი შეიცვალა, საქმის მასალებით არ დასტურდება და ამის თაობაზე არც კერძო საჩივრის ავტორს მიუთითებია, უფრო მეტიც, საპროცესო ვადის დარღვევით წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და კერძო საჩივარშიც ჯ. ჩ-ა სწორედ იმ მისამართს მიუთითებს, სადაც მას გაეგზავნა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქალაქო სასამართლოსათვის უცნობი იყო ჯ. ჩ-ას ახალი მისამართის თაობაზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესაგებელში მითითებულ მისამართზე გაგზავნა მხარის კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ინფორმირებას გულისხმობს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დაიწყო ადრესატის ოჯახის ქმედუნარიანი წევრისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარების დღის მომდევნო დღეს – 2011 წლის 21 იანვარს და ამოიწურა 3 თებერვალს. საქმეში წარმოდგენილი კერძო საჩივარი საფოსტო განყოფილებას გადაეცა 2011 წლის 7 თებერვალს, სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, რაც ჯ. ჩ-ას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვნის უტყუარი საფუძველი იყო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჯ. ჩ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საპროცესო უფლებამონაცვლეობა**

#### **განჩინება**

№ას-591-559-2011

10 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 31 ივლისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ზ. ს-ამ მოპასუხე ვ. ს-ას მიმართ და მოითხოვა:

ა. ნოტარიუს მ. ს-ის მიერ 2008 წლის 7 მაისს ვ. ს-ას სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა;

ბ. ცვლილების შეტანა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებში, სადაც ნ. ს-ას სამკვიდრო ქონების, კერძოდ, ქ.ბათუმში, ...ში მდებარე ბინა 42-ის მესაკუთრედ რეგისტრირებულია ვ. ს-ა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. ს-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს მ. ს-ის მიერ ვ. ს-ას სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა; ზ. ს-ა ცნობილ იქნა აწ გარდაცვლილი ნ. ს-ას დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრედ; დადგინდა, რომ შესაბამისი ცვლილება შესულიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, მითითებული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე განხორციელებულ ჩანაწერში, სადაც ბათუმში, ...ში მდებარე ბინა 42-ის მესაკუთრედ აღრიცხული იყო ვ. ს-ა.

სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მამკვიდრებელი ნ. ს-ა გარდაიცვალა 1999 წლის 20 აპრილს;

ნ. ს-ას გარდაცვალების დღიდან გაიხსნა სამკვიდრო ქონებაზე, რომელიც მდებარეობდა ბათუმში, ...ის ბინა 42-ში, საერთო ფართობით 90.30კვ.მ;

მოსარჩელე ზ. ს-ა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვლილ ნ. ს-ასთან 1961 წლიდან;

ვ. ს-ა (დაბადებული 1962 წლის 19 მარტს) და ე. ს-ა (დაბადებული 1964 წლის 7 ივლისს) არიან ნ. ს-ას შვილები;

ნოტარიუს მ. ს-ის მიერ 2008 წლის 7 მაისს გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, ნ. ს-ას დანაშთ ქონებაზე პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრედ ითვლება ვ. ს-ა. სამკვიდრო შედგება უძრავი ქონებისაგან, რომლსაც წარმოადგენს ბათუმში, ...ში მდებარე ბინა 42, საერთო ფართობით 90.30კვ.მ. ამ უძრავი ქონების მესაკუთრეა ვ. ს-ა.

მოსარჩელე ზ. ს-ა წარმოადგენს პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს აწ გარდაცვლილი ნ. ს-ას დანაშთ ქონებაზე.

მართალია, ნ. ს-ას გარდაცვალებიდან გასული იყო საკმაოდ დრო და ზ. ს-ას კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში არ მიუძღვარა ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მიღების შესახებ, მაგრამ სასამართლოს მითითებით, სადავოს არც ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ ზ. ს-ა მეუღლის ნ. ს-ას გარდაცვალების დღიდან ფაქტობრივად ფლობდა დანაშთ სამკვიდრო ქონებას, მას სხვა ადგილზე საცხოვრებელი არ ჰქონია და შესაბამისად, არც უცხოვრია. სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნული გარემოება უდავოდ ადასტურებდა მის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად მიღებას.

ზემოთ დასახელებული ფაქტობრივი გარემოების მხედველობაში მიღებით სასამართლომ მოთხოვნა, რომ 2008 წლის 7 მაისის სამკვიდრო მოწმობაში შესულიყო ცვლილება, საფუძველიანად მიიჩნია. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული დადასტურებიდან გამომდინარე საფუძველიანად უნდა ჩათვლილიყო ასევე მოთხოვნის მეორე ნაწილი, რომელიც შეეხებოდა საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის ცვლილებას, სადაც მესაკუთრედ აღრიცხული იყო მხოლოდ ვ. ს-ა, რამდენადაც სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანა თავისთავად იწვევდა მესაკუთრედ აღრიცხვის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანას.

მოგვიანებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართეს ე. ს-ამ და ი. კ-ი-ს-ამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 თებერვლის განჩინებით ე. ს-ასა და ი. კ-ი-ს-ას განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი აღნიშნული სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, დაინიშნა საქმის ხელახალი განხილვა.

საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 მარტის განჩინება უცვლელად დარჩა ზემდგომი სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მარტის განჩინებით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით:

მოსარჩელების, ზ. ს-ასა და ე. ს-ას მოთხოვნა დაკმაყოფილდა: ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 7 მაისის ნოტარიუს მ. ს-ის მიერ ვ. ს-ას სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა; ზ. ს-ა და ე. ს-ა ცნობილ იქნენ აწ გარდაცვლილი ნ. ს-ას დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრედ; დადგინდა, რომ შესაბამისი ცვლილება შესულიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში 2008 წლის 7 მაისის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე განხორციელებულ ჩანაწერში, სადაც სამკვიდრო ქონების, ბათუმში, ...ში მდებარე ბინა 42-ის მესაკუთრედ აღრიცხული იყო ვ. ს-ა.

ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩელე ი. კ-ს აწ გარდაცვლილ ნ. ს-ას დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნაზე, ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლომ როგორც ზ. ს-ას, ისე ე. ს-ას შემთხვევაში, დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ დასახელებული მოსარჩელები ნ. ს-ას გარდაცვალების შემდეგ უწყვეტად ფლობდნენ მამკვიდრებლის დანაშთ ქონებას. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება უდავოდ ადასტურებდა მათ მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად მიღებას და სარჩელის მოთხოვნას მათ ნაწილში დასაბუთებულს ხდიდა.



რაც შეეხებოდა ი. კ-ი-ს-ას მიერ სამკვიდროს ფლობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამკვიდრო ქონებაზე მისი თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნა არ დასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოებებით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. კ-ის ნაწილში მოთხოვნა სამკვიდრო მოწმობის ბათილობაზე – უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი იყო და არ ქვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ნ. ს-ას დანაშთ ქონებაზე ე. ს-ას მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში, ასევე, ზ. ს-ას სამკვიდრო ქონების წილის 1/4 ნაწილამდე შემცირება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 აგვისტოს განჩინებით მოცემულ საქმეზე წარმოება შეჩერდა მოსარჩელე ე. ს-ას გარდაცვალების გამო, მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, რვა თვის ვადით.

2011 წლის 7 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. კ-ის წარმომადგენელმა მ. ა-მა, რომელმაც მოითხოვა განსახილველ საქმეზე ე. ს-ას უფლებამონაცვლედ მისი ანდერძისმიერი მემკვიდრის (შვილიშვილის) გ. კ-ის ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინებით განცხადება უფლებამონაცვლის დადგენის შესახებ დაკმაყოფილდა, საქმეში ე. ს-ას უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა გ. კ-ი, საქმის წარმოება განახლდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეზე წარდგენილ, ნოტარიუსის მიერ გაცემულ ცნობაზე, რომლითაც დგინდება, რომ: ა. გ. კ-მა განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს ე. ს-ას სამემკვიდრეო ქონების მისაღებად; ბ. ე. ს-ას ქონებაზე სამკვიდრო გახსნილია; გ. გ. კ-ი ითვლება ანდერძისმიერ მემკვიდრედ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლებამონაცვლე შეიძლება იყოს კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრე. გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძველით.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. კანონის დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამონაცვლედ ცნობისათვის საჭიროა პირის მიერ სამკვიდროს მიღება კანონით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, გ. კ-ი, როგორც ე. ს-ას ანდერძისმიერი მემკვიდრე, ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლედ. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ე. ს-ა იყო გარდაცვლილი, გ. კ-მა განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს ე. ს-ას სამკვიდრო ქონების მისაღებად.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ს-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ე. ს-ას უფლებამონაცვლედ გ. კ-ის ცნობით, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მოთხოვნა. ამ მუხლით, საპროცესო უფლებამონაცვლეობა განისაზღვრება სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში. აწ გარდაცვლილ ე. ს-ას სადავოდ არ გაუხდია სამკვიდრო ქონება და აღნიშნულთან დაკავშირებით სარჩელი არ შეუტანია სასამართლოში. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ე. ს-ა მხარეს არ წარმოადგენდა მოცემულ დავაში, ამიტომ მის მიმართ უფლებამონაცვლეობის საკითხიც ვერ დადგებოდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ს-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დგინდება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელეების – ზ. ს-ასა და ე. ს-ას მოთხოვნა: ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 7 მაისის ნოტარიუს მ. ს-ის მიერ ვ. ს-ას სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა; ზ. ს-ა და ე. ს-ა ცნობილ იქნენ აწ გარდაცვლილი ნ. ს-ას დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრედ; დადგინდა, რომ შესაბამისი ცვლილება შესულიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში 2008 წლის 7 მაისის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე

განხორციელებულ ჩანაწერში, სადაც სამკვიდრო ქონების, ბათუმში, ...ში მდებარე ბინა 42-ის მესაკუთრედ აღრიცხული იყო ვ. ს-ა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ნ. ს-ას დანაშთ ქონებაზე ე. ს-ას მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში, ასევე, ზ. ს-ას სამკვიდრო ქონების წილის 1/4 ნაწილამდე შემცირება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 აგვისტოს განჩინებით მოცემულ საქმეზე წარმოება შეჩერდა მოსარჩელე ე. ს-ას გარდაცვალების გამო, მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, რვა თვის ვადით.

სადავო განჩინებით აწ გარდაცვლილი ე. ს-ას უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი ანდერძისმიერი მემკვიდრე გ. კ-ი და საქმის წარმოება განახლდა.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გარდაცვლილი ე. ს-ა მოცემულ საქმეზე სათანადო მხარეს არ წარმოადგენდა, ვინაიდან მას არ აღუძრავს სარჩელი სამკვიდრო ქონების მიკუთვნების მოთხოვნით. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი პროცესში უფლებამონაცვლის დაშვებას ითვალისწინებს სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში, ხოლო ე. ს-ა ამ საქმეში მხარეს არ წარმოადგენს, ამიტომ მის მიმართ უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ე. ს-ა მოცემულ საქმეში მხარეს არ წარმოადგენს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ე. ს-ა, ზ. ს-ასთან ერთად, ცნობილია სადავო სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრედ. მითითებული გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება ე. ს-ას უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს, კერძოდ, ამ გადაწყვეტილებით მას, როგორც მოსარჩელეს, მიეკუთვნა სადავო სამკვიდრო ქონების ნაწილი. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ ე. ს-ა განსახილველ დავაში მხარეს არ წარმოადგენს. სხვა საკითხია სათანადო მხარეა თუ არა იგი, ან საერთოდ არის თუ არა მხარე (მოსარჩელე). მთავარია, რომ ე. ს-ა, რომელიც მოცემულ საქმეში წარმოადგენს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს, გარდაიცვალა. ამ იურიდიულ ფაქტს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი უკავშირებს გარდაცვლილი მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით, რაც განხორციელა კიდევ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი მოწინააღმდეგე მხარის უფლებამონაცვლით შეცვლას სადავოდ ხდის მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ გარდაცვლილი პირი (აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე) არ წარმოადგენდა მოსარჩელეს, ვინაიდან მას არ ჰქონდა შეტანილი სარჩელი კანონით დადგენილი წესით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საკითხი უნდა გაირკვეს ვ. ს-ას სააპელაციო საჩივრის განხილვისას, რომელიც სწორედ იმას ეფუძნება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ ე. ს-ა არასწორად მიიჩნია მოსარჩელედ და არასწორად მიაკუთვნა მას სადავო სამკვიდროს ნაწილი, ვინაიდან მას არ აღუძრავს სარჩელი კანონით დადგენილი წესით.

ამდენად, კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და იგი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. ს-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **საპროცესო უფლებამონაცვლეობა**

#### **განჩინება**

№ას-223-215-2012

3 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

განიხილა სს „ს. რ-ის« წარმომადგენელ დ. ს-ის შუამდგომლობა შპს „ს. რ-ის« უფლებამონაცვლედ სს „ს. რ-ის« ცნობის თაობაზე.

#### **გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 აპრილის განჩინებით შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი, შპს „ბ. კ-ს“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად; კასატორ შპს „ს. რ-ას“ დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) 70% – 210 ლარი.

2012 წლის 3 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა სს „ს. რ-ის“ წარმომადგენელმა დ. ს-მა და აღნიშნა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის საწარმოთა მართვის სააგენტოს 2012 წლის 12 აპრილის ბრძანებით შპს „ს. რ-ა“ გარდაიქმნა სააქციო საზოგადოება „ს. რ-ად“, რომელიც წარმოადგენს შპს „ს. რ-ის“ სამართალმემკვიდრეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოითხოვა დასახელებულ საქმეში სს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ ჩართვა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. (სარჩელის წარმოებაში მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე; გადაწყვეტილების გამოტანიდან მის კანონიერ ძალაში შესვლამდე; გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე).

საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლება მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე თავისი წინამორბედის უფლებებსა და მოვალეობებს.

რამდენადაც სს „ს. რ-ის“ წარმომადგენელმა დ. ს-მა სასამართლოს წარუდგინა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საწარმოთა მართვის სააგენტოს 2012 წლის 12 აპრილის ბრძანება, რომლის თანახმადაც, შპს „ს. რ-ა“ გარდაიქმნა სააქციო საზოგადოება „ს. რ-ით“, რომელიც წარმოადგენს შპს „ს. რ-ის“ სამართალმემკვიდრეს, საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულება საკმარისი საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92.1 მუხლის თანახმად, შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ სს „ს. რ-ის“ ცნობისა.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს. რ-ის“ წარმომადგენელ დ. ს-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნას სს „ს. რ-ა“;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საპროცესო უფლებამონაცვლეობა**

#### **განჩინება**

№ას-1710-1694-2011

26 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** უფლებამონაცვლედ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ო. წ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ბ-ოს“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქ.თბილისში, ა-ის ქ№18-ში ბინათმშენებლობის მე-4 ბლოკის პირველ სართულზე მდებარე ბინაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც მოჩვენებითი გარიგების ბათილად ცნობა და ამ ბინის მისთვის საკუთრებაში გადაცემა.

საქმეში მოპასუხედ შპს «ბ-ოსთან» ერთად ჩაბმულ იქნა მარიამ სამხარაძე. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ო. წ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. წ-ემ.

მოცემული საქმე არაერთხელ განიხილეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინებით ო. წ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ნ. დ-ე.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება შემდეგნაირად დაასაბუთა:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და განმარტა, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მატერიალური სამართლით უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, კერძოდ, მოცემულ საქმეში სამართალურთიერთობა ითვალისწინებს მატერიალური უფლებებისა და მოვალეობების გადასვლას და საქმეში წარმოდგენილია სანოტარო აქტი – სამკვიდრო მოწმობა სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ო. წ-ის სამკვიდრო მიიღო ნ. დ-ემ. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტ ო. წ-ის უფლებამონაცვლედ საქმეში უნდა ჩამბულიყო მისი მემკვიდრე ნ. დ-ე.

დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. კ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, უსაფუძვლოა ო. წ-ის მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. მით უფრო უსაფუძვლოა საქმეში ო. წ-ის უფლებამონაცვლედ მისი მეუღლის ჩაბმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ის და დედამისი არიან კეთილსინდისიერი შემძენები, მას აღარანაირი კავშირი არ აქვს შპს «ბ-ოს» დირექტორ ჯ. კ-ესთან. მათ მიმართ ო. წ-ის უფლებამონაცვლეს არანაირი პრეტენზიის უფლება არ აქვს. ამასთან, არსებობს სათანადო აუდიო-ჩანაწერი, სადაც ო. წ-ე აღიარებს, რომ მას საგარანტიო ხელწერილში მითითებული თანხა არ გადაუხდია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დგინდება, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ო. წ-ის სარჩელი, რომლითაც მან მოითხოვა ქ.თბილისში, ა-ის ქ№18-ში ბინათმშენებლობის მე-4 ბლოკის პირველ სართულზე მდებარე ბინაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც მოჩვენებითი გარიგების ბათილად ცნობა და აღნიშნული ბინის მისთვის საკუთრებაში გადაცემა, არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. წ-ემ.

სადავო განჩინებით – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეზე ო. წ-ის უფლებამონაცვლედ ჩაება ნ. დ-ე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს გარდაცვლილი ო. წ-ის უფლებამონაცვლედ ნ. დ-ის დაშვებას და ამ საფუძვლით საქმეზე წარმოების განახლებას, რამდენადაც ამ უკანასკნელმა სასამართლოს წარუდგინა სამკვიდრო მოწმობა, საიდანაც ირკვევა, რომ 2010 წლის 23 ნოემბერს გარდაცვლილი ო. წ-ის სამკვიდრო მიიღო ნ. დ-ემ. აღნიშნული მტკიცებულება საკმარისი საფუძველია მასში მითითებული ფაქტის დადასტურებულად მიჩნევისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92.1 მუხლის შესაბამისად ნ. დ-ის მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ცნობისათვის.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე: ო. წ-ის უფლებამონაცვლეს მოპასუხის მიმართ არანაირი პრეტენზიის უფლება არ აქვს; მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, სადაც მიუთითა, რომ ნ. ს-მ რეალურად მართლაც შეიძინა სადავო ბინა შპს «ბ-ოსაგან», მაგრამ მათ შორის არანაირი მოჩვენებითი გარიგება არ დადებულია; ამდენად, უსაფუძვლოა ო. წ-ის მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, ასევე უსაფუძვლოა საქმეში ო. წ-ის უფლებამონაცვლედ მისი მეუღლის ჩაბმა; არსებობს სათანადო აუდიო-ჩანაწერი, სადაც ო. წ-ე აღიარებს, რომ მას საგარანტიო ხელწერილში მითითებული თანხა არ გადაუხდია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ სადავოდ გამხდარი საკითხები ვერ გახდება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის განჩინების კანონიერებას, რომლითაც მოსარჩელე ო. წ-ის გარდაცვალების გამო საქმეში მის უფლებამონაცვლედ ჩაება ნ. დ-ე. კერძო საჩივარში სადავოდ გამხდარი საკითხები კი წარმოადგენს დავის არსებითი განხილვის პროცესში შესაფასებელ საკითხს, შესაბამისად, ეს საკითხები უნდა გაირკვეს ო. წ-ის სააპელაციო საჩივრის განხილვისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **საპროცესო უფლებამონაცვლეობა**

### **განჩინება**

№ას-957-899-2012

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიჭვილი,

ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობა, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

კოოპერატივ «ქ. ქ-ის» დირექტორებმა ა. ხ-მა და თ. კ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში კოოპერატივის ყოფილ დირექტორ ა. პ-ისა და შპს «ა-ს» მენაბრეთა რწმუნებულ ნ. გ-ის მიმართ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობისა და ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა შესაგებლად სარჩელი არ ცნეს.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე კოოპერატივ «ქ. ქ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შემოსავლების სამსახურის და ლ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. გ-მ, ე. ბ-მა, დ. წ-მ, ქ. ჯ-მა, ზ. წ-მ, ნ. მ-მა, ნ. ბ-მ, ა. პ-მ, გ. ჩ-მ, ო. ლ-მ, მ. ბ-მა, მ. ს-მ და ა. პ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 ივნისის განჩინებით მ. ბ-ის, მ. ს-ის, ზ. წ-ის, ნ. მ-ის, გ. ბ-ის, ნ. გ-ის, დ. წ-ს, ქ. ჯ-ის, გ. ჩ-ის, ო. ლ-ისა და ზ. ლ-ის უფლებამონაცვლის სააპელაციო საჩივარი დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, დაუშვებლობის გამო, დატოვებულ იქნა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის განჩინებით აპელანტებს: ნ. გ-ს, ე. ბ-ს, ზ. წ-ს, ნ. მ-ს (შ. ხ-ის უფლებამონაცვლე) ნ. ბ-ს და წ. ჯ-ს, ქ. ჯ-ს, ა. პ-ს, გ. ჩ-ს, ო. ლ-ს, მ. ბ-ს, მ. ს-ს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდათ ხარვეზი და, ხარვეზის შევსების მიზნით, დაევალოთ: კოოპერატივ «ქ. ქ-ის» ბალანსზე რიცხული ქონების საბაზრო ღირებულების მითითება (აუდიტის დასკვნის წარმოდგენა) და სახელმწიფო ბაჟის აღნიშნული თანხის 4%-ის ოდენობით გადახდა, მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი 150 ლარის გამოკლებით; აპელანტებს: ე. ბ-ს, ზ. წ-ს, ნ. მ-ს (შ. ხ-ის უფლებამონაცვლე), ნ. ბ-ს დაევალოთ სასამართლოში ცნობის წარმოდგენა (დღეის მდგომარეობით), რომ არიან სოციალურად დაუცველები და იღებენ სარსებო შემწეობას ან მითითება კოოპერატივ «ქ. ქ-ის» ბალანსზე რიცხული ქონების საბაზრო ღირებულები-სა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა აღნიშნული თანხის 4%-ის ოდენობით, მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი 150 ლარის გამოკლებით.

2012 წლის 26 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა აპელანტმა და ამავე დროს აპელანტების წარმომადგენელმა ნ. გ-მ, რომელმაც განმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის შესრულება აპელანტების ძალებს აღემატება, რადგან 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით აპელანტებისათვის გადაცემული ქონება იმყოფება კოოპერატივი «ქ. ქ-ის» მფლობელობაში». კოოპერატივი «ქ. ქ-ი» არის მათი მოწინააღმდეგე მხარე, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ არავინ არ მისცემს იმის უფლებას, რომ მოიწვიონ აუდიტი და მოახდინონ ქონების შეფასება. ამასთან, აპელანტების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოოპერატივ ქვემო ქედის მთლიანი ქონება მათ არ გადასცე-

მიათ. მათ სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების უზრუნველსაყოფად კოოპერატივმა «ქ. ქ-მა» თანხის სანაცვლოდ გარიგების საფუძველზე მის სახელზე რიცხული ქონების ნაწილი გადასცა მათ, რაზეც შედგა 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი. აპელანტმა და აპელანტების წარმომადგენელმა ნ. გ-მ მიუთითა, რომ ნ. ბ-ე და ზ. წ-ე არიან ინვალიდები. წარმოადგინა საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ გაცემული მოწმობა №07489, რომლის თანახმად ნ. ბ-ე 1987 წლის 5 ივლისიდან არის მე-2 ჯგუფის ინვალიდი უვადოდ, ასევე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ვაკე-საბურთალოს ფილიალის მიერ 2007 წლის 26 თებერვალს გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც პ-ე არის ინვალიდი უვადოდ. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2009 წლის 29 იანვარს გაცემულია ცნობა ზ. წ-ის სოციალურად დაუცველობის შესახებ. აპელანტების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნ. მ-ი არის პირველი ჯგუფის ინვალიდის, ომის ვეტერან შ. ხ-ის უფლებამონაცვლე და ითხოვა მისი, როგორც ინვალიდის უფლებამონაცვლის, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება. ასევე განმარტა, რომ ე. ბ-ი და ა. პ-ც არიან ინვალიდები, თუმცა ვერ შეძლო მარწმუნებულებისგან შესაბამისი ცნობების მიღება და წარმოდგენა. ხოლო ნ. გ-ე, წ-ჯ-ი, ე. ბ-ი და სხვები არიან დაზარალებულები და სამოქალაქო მოსარჩელები კორპორაცია «ქ-ის» და შპს «ა-ს» მიმართ აღძრულ საქმეში, რომელშიც კოოპერატივი «ქ. ქ-ი» არის ერთ-ერთი მოვალე. ამასთან, წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთაწმინდის რაიონის საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის 1998 წლის 6, 9 და 11 იანვრისა და თბილისის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის 2001 წლის დადგენილებები ქ. ჯ.-წ-ს, დ. წ-ს, ე. ბ-ის, ნ. ბ-ისა და ნ. გ-ის დაზარალებულად ცნობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტების წარმომადგენელმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის საფუძველზე იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით აპელანტებს: ნ. გ-ს, ე. ბ-ს, ზ. წ-ს, ნ. მ-ს, დ. წ-ჯ-ს, ქ. ჯ-ს, გ. ჩ-ს, ო. ლ-ს, მ. ბ-ს, მ. ს-ს დაევალით მითითება 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით აპელანტებისათვის გადაცემული, ამჟამად კოოპერატივი «ქ. ქ-ის» ბალანსზე რიცხული ქონების საბაზრო ღირებულებისა (წარმოადგინონ აუდიტის დასკვნა) და სახელმწიფო ბაჟის, აღნიშნული თანხის 4%-ის, გადახდა მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი 150 ლარის გამოკლებით; აპელანტებს: ე. ბ-ს, ზ. წ-ს დაევალით სასამართლოში ცნობის წარმოდგენა (დღეის მდგომარეობით), რომ არიან სოციალურად დაუცველები ან/და ინვალიდები, იღებენ საარსებო შემწეობას ან – მითითება 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით აპელანტებისათვის გადაცემული, ამჟამად კოოპერატივი «ქ. ქ-ის» ბალანსზე რიცხული ქონების საბაზრო ღირებულების და სახელმწიფო ბაჟის გადახდა თანხის 4%-ის ოდენობით, მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი 150 ლარის გამოკლებით.

2012 წლის 30 აპრილს განჩინებით დადგენილ ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა აპელანტმა და ამავე დროს აპელანტების წარმომადგენელმა ნ. გ-მ, რომელმაც კვლავ განმარტა, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით აპელანტებისათვის გადაცემული ქონება იმყოფება კოოპერატივი «ქ. ქ-ის მფლობელობაში». კოოპერატივი «ქ. ქ-ი» არის მათი მოწინააღმდეგე მხარე, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ არავენ მისცემს იმის უფლებას, რომ მოიწვიონ აუდიტი და ქონება შეაფასონ. აპელანტების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ შეუძლიათ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით აპელანტებისათვის გადაცემული დღეს არსებული ქონების შეფასება. აპელანტების წარმომადგენელმა კვლავ აღნიშნა, რომ ნ. მ-ი არის პირველი ჯგუფის ინვალიდის, ომის ვეტერან შ. ხ-ის უფლებამონაცვლე და ითხოვა მისი, როგორც ინვალიდის უფლებამონაცვლის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება. აპელანტების წარმომადგენელმა იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში არც ერთ მოსარჩელეს არ გადაუხდია სახელმწიფო ბაჟი. ამასთან, მან წარმოადგინა ე. ბ-ის საპენსიო მოწმობის ასლი, გ. ჩ-ის საპენსიო მოწმობის ასლი და ზ. წ-ის მარტოხელობის ცნობა. აღნიშნულის გათვალისწინებით აპელანტების წარმომადგენელმა ითხოვა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდისაგან განთავისუფლება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განჩინებით აპელანტებს: ნ. გ-ს, ე. ბ-ს, ზ. წ-ს, ნ. მ-ს, დ. წ-ჯ-ს, ქ. ჯ-ს, გ. ჩ-ს, ო. ლ-ს, მ. ბ-ს, მ. ს-ს დაევალით სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ბაჟის 5 000 ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარმოდგენა, მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი 150 ლარის გამოკლებით. აპელანტებს: ე. ბ-ს, ზ. წ-ს დაევალით სასამართლოში ცნობის წარმოდგენა, რომ არიან სოციალურად დაუცველები ანდა ინვალიდები, იღებენ საარსებო შემწეობას ან – სახელმწიფო ბაჟის გადახდა 5 000 ლარის ოდენობით მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი 150 ლარის გამოკლებით.

2012 წლის 24 მაისს განჩინებით დადგენილ ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა აპელანტების წარმომადგენელმა ნ. გ-მ, რომელმაც ითხოვა ნ. მ-ის, როგორც ინვალიდის უფლებამონაცვლის, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება. მ. ბ-ისა და მ. ს-ის, როგორც დაზარალებულების, ზ. წ-ის, როგორც ინვალიდისა და სოციალურად დაუცველის სა-

ხელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლება. ამასთან, წარმოადგინა 2012 წლის 23 მაისს გაფორმებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ნ. გ-მ, დ. წ-მ, ქ. ჯ-მა, გ. ჩ-მ, ო. ლ-მ და ზ. ლ-მ, როგორც მოთხოვნის დამთმობებმა, მოთხოვნის შემძენს გ. ბ-ს დაუთმეს ყველა სახის მოთხოვნა, როგორც უძრავ-მოდრავ ქონებაზე, ისე თანხებზე კორპორაცია «ქ-დან», შპს «ა-დან» და კორპორაცია «ქ. ქ-დან» მიუღებელ და შეუსრულებელ მოთხოვნებზე, რაც მოთხოვნის დამთმობებს ეკუთვნით კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით და აღნიშნულის საფუძველზე წარმოშობილი გარიგებების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, აპელანტებმა ითხოვეს სააპელაციო საჩივრის ავტორად მოთხოვნის მიმღების გ. ბ-ის დაშვება.

2012 წლის 24 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მომართა გ. ბ-მ, რომელმაც განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის საფუძველზე კორპორაცია «ქ-ისა» და შპს «ა-ს» მენაბრეთა ჯგუფის წევრებმა ნ. გ-მ, ქ. ჯ-მა, დ. წ-მ, ო. ლ-მ და სხვებმა, რომლებიც არიან კოოპერატივ «ქ. ქ-ის» კრედიტორები, დაუთმეს ყველა სახის მოთხოვნა, როგორც კრედიტორებმა და როგორც მოწინააღმდეგე მხარეებმა. აღნიშნულის გათვალისწინებით მოცემულ სამოქალაქო საქმეზე აპელანტებთან: ნ. ბ-სა და ა. პ-სთან ერთად ითხოვა აპელანტად დაშვება. ამასთან განმარტა, რომ არის II ჯგუფის ინვალიდი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უვადოდ და, როგორც ინვალიდმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან განთავისუფლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა. მოცემულ შემთხვევაში, უფლებამონაცვლისათვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ მოთხოვნის დამთმობებს უნდა გადაეხადათ სახელმწიფო ბაჟი. მან მიიღო მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში მასზე ვერ გავრცელდება უფრო მეტი შეღავათი, ვიდრე მოთხოვნის დამთმობ პირებს ჰქონდათ.

ამასთან, აპელანტების წარმომადგენლის შუამდგომლობასთან დაკავშირებით ნ. მ-ის, როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდის უფლებამონაცვლის, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ სასამართლო მიუთითებს, «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის «მ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმო ორგანიზაციები და გაერთიანებები ყველა სარჩელზე. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ინვალიდობის მოტივით საერთო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ ის მხარეები, რომლებიც თავად წარმოადგენენ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრულ პირებს და, შესაბამისად, ინვალიდი მხარის უფლებამონაცვლე ვერ იქნება გათავისუფლებული სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

რაც შეეხება აპელანტების წარმომადგენლის შუამდგომლობას მ. ბ-ისა და მ. ს-ის, როგორც დაზარალებულების, ზ. წ-ის, როგორც ინვალიდისა და სოციალურად დაუცველის, სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლების თაობაზე, სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შუამდგომლობას არ ერთვის შუამდგომლობაში მითითებული ფაქტობრივი გარემოების, მოცემულ საქმეზე დაზარალებულად ცნობის, ინვალიდობის, სოციალურად დაუცველობისა ან მძიმე ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მტკიცებულებებით დაზარალებულად ცნობის, ინვალიდობის, სოციალურად დაუცველობის და მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დადასტურება კანონისმიერი პირობაა და სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში, დააკმაყოფილოს ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ნ. გ-მ, დ. წ-მ, ქ. ჯ-მა, გ. ჩ-მ, ო. ლ-მ, ზ. ლ-მ, მ. ბ-მა, მ. ს-მ, ზ. წ-მ, ნ. მ-მა, ნ. ბ-მ, ე. ბ-მა და გ. ბ-მ შემდეგი დასაბუთებით: მოთხოვნის დათმობა განხორციელდა კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე გ. ბ-ე თავდაპირველად უფლებამონაცვლედ უნდა ეცნო და შემდეგ უნდა მიეთითებინა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ნ. გ-ის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი თანხა, სახელმწიფო ბაჟი – 150 ლარი დაუბრუნა არა მარტო მას, არამედ ყველა აპელანტს, რაც არასწორია. სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა მხოლოდ ნ.გ.მ. გ. ბ-ე, როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდი, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან, რის გამოც, სააპელაციო საჩივარი არასწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-ის, დ. წ-ს, ქ. ჯ-ის, გ. ჩ-ის, ო. ლ-ის, ზ. ლ-

ის, მ. ბ-ის, მ. ს-ის, ზ. წ-ის, ნ. მ-ის, ნ. ბ-ის, ე. ბ-ისა და გ. ბ-ის კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: აპელანტმა და აპელანტების წარმომადგენელმა ნ. გ-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2012 წლის 23 მაისს გაფორმებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება წარადგინეს, რომლის თანახმად, ნ.გ-მ, დ.წ-მ, ქ.ჯ-მა, გ.ჩ-მ, ო.ლ-მ და ზ.ლ-მ, როგორც მოთხოვნის დამთმობებმა მოთხოვნის შემძენ გ. ბ-ს დაუთმეს ყველა სახის მოთხოვნა, როგორც უძრავ-მოდრავ ქონებაზე, ისე თანხებზე კორპორაცია «ქ-დან», შპს «ა-დან» და კორპორაცია «ქ. ქ-დან» მიუღებელ და შეუსრულებელ მოთხოვნებზე, რაც მოთხოვნის დამთმობებს ეკუთვნით კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით და აღნიშნულის საფუძველზე წარმოშობილი გარიგებების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, აპელანტებმა ითხოვეს სააპელაციო საჩივრის ავტორად მოთხოვნის მიმღების – გ. ბ-ის დაშვება. 2012 წლის 24 მაისს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადებით გ. ბ-მ, როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდდა და უვადოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონემ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან განთავისუფლება მოითხოვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგზე: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალების, იურიდიული პირის რეორგანიზაციის, მოთხოვნის დათმობის, ვალის გადაცემისა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა ესაა საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების ერთი სუბიექტიდან მეორე გადასვლა, უფლებამონაცვლის მიერ წინამორბედი სუბიექტის საპროცესო მდგომარეობის იმ მოცულობით დაკავება, როგორც ეს უფლების თავდაპირველ მფლობელთან იყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი წინაპირობა არის მოთხოვნის დათმობა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა შეიძლება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ხოლო მოთხოვნის დათმობა კი, შეიძლება მანამ, სანამ მოთხოვნა ჯერ კიდევ არსებობს და ვალდებულება არ არის შესრულებული მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე.

ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. დადგენილია, რომ 2012 წლის 8 მაისის განჩინებით აპელანტებს დაუდგინდათ ხარვეზი და დაევალათ სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 5 000 ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარმოდგენა და შემდგომში სასამართლოს მიერ არაერთხელ გაგრძელდა. 2012 წლის 23 მაისს ნ. გ-მ, დ. წ-მ, ქ. ჯ-მა, გ. ჩ-მ, ო. ლ-მ, ზ. ლ-მ, მ. ბ-მა, მ. ს-მ, ზ. წ-მ, ნ. მ-მა, ნ. ბ-მ და ე. ბ-მა მოთხოვნა დაუთმეს გ. ბ-ს.

ამდენად, ვინაიდან მოთხოვნის დათმობა განხორციელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის და არაერთხელ გაგრძელების შემდეგ, აღნიშნული განჩინების შესრულება სავალდებულო იყო გ. ბ-ისათვის, როგორც მოთხოვნის შემძენისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან.

უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრება, რომ სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე გ. ბ-ე თავდაპირველად უფლებამონაცვლედ უნდა ეცნო და შემდეგ უნდა მიეთითებინა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ძველი მფლობელი ვალდებულია ახალ მფლობელს გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ყველა საბუთი, რომლებიც ეხება მოთხოვნებსა და უფლებებს, და ყველა ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია ამ მოთხოვნებისა და უფლებების გამოყენებისთვის. ამდენად, გ.ბრელიძისათვის მოთხოვნის მიღებისას მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია მოთხოვნის თავდაპირველი მფლობელებისაგან ცნობილი უნდა ყოფილიყო, რაც დასტურდება კიდევაც გ. ბ-ის განცხადების შინაარსით.

ასევე უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორთა მითითება, რომ სასამართლომ ნ. გ-ს მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი თანხა, სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი დაუბრუნა არა მას, არამედ ყველა აპელანტს, რაც არასწორია. საქმეში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დოკუმენტით დასტურდება, რომ ბაჟი გადახდილია დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე შესატან სააპელაციო საჩივარზე. ამ დოკუმენტით არ დასტურდება, რომ ბაჟი მხოლოდ ერთი აპელანტის ვალდებულების ფარგლებშია და ასეთს არც გადამხდელის ვინაობა არ ადასტურებს, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟის ვალდებულები პირის მიერ პირადად გადახდა დადგენილი არ არის.



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნ. გ-ის, დ. წ-ს, ქ. ჯ-ის, გ. ჩ-ის, ო. ლ-ის, ზ. ლ-ის, მ. ბ-ის, მ. ს-ის, ზ. წ-ის, ნ. მ-ის, ნ. ბ-ისა და ე. ბ-ის უფლებამონაცვლე გ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. გ-ის, დ. წ-ს, ქ. ჯ-ის, გ. ჩ-ის, ო. ლ-ის, ზ. ლ-ის, მ. ბ-ის, მ. ს-ის, ზ. წ-ის, ნ. მ-ის, ნ. ბ-ის, ე. ბ-ისა და გ. ბ-ის კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სარჩელის გამოხმობა**

#### **განჩინება**

№ას-912-857-2012

16 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ე. გ-ის სარჩელი მოპასუხეების – თ. დ-ის, ნ. თ-ისა და ქ. ხ-ის მიმართ გამოსყიდვის უფლებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინებით ე. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით აპელანტ ე. გ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვადის გაგრძელების თაობაზე დაკმაყოფილდა, აპელანტს დაევალა ამ განჩინების ასლის გადაცემიდან 5 დღის ვადაში შეევესო ხარვეზი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში წარედგინა სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამ ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთის დედანი.

2012 წლის 20 აპრილს დასახელებული განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა აპელანტს. 2012 წლის 20 აპრილს ე. გ-მ შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის გამოხმობა. მოგვიანებით, მან სააპელაციო სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული განცხადება სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

2012 წლის 8 მაისს მოწინააღმდეგე მხარეებმა: თ. დ-მა, ნ. თ-მა და ჟ. ხ-მა განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადეს სარჩელის გამოხმობის შესახებ ე. გ-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, არსებული ფაქტობრივი ვითარება განაპირობებდა ე. გ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას, რამდენადაც მისთვის ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 21 აპრილს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ამოიწურა 2012 წლის 25 აპრილს. შესაბამისად, აპელანტს ხარვეზი უნდა შეეცხო 2012 წლის 25 აპრილის ჩათვლით, რაც არ განუხორციელებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა, რა დროსაც იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით, ამავე კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლებით.

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. გ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831 მუხლზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლოს მიმართა განცხადებით სარჩელის გამოხმობის თაობაზე, თუმცა მოწინააღმდეგე მხარეებმა უარი განაცხადეს ხსენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება კანონსაწინააღმდეგოა, საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს და აპელანტს უნდა მიეცეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის უფლება.

2012 წლის 10 ივლისს ე. გ-მ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831 მუხლის საფუძველზე იშუამდგომლა სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. გ-ის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი კერძო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობისათვის აუცილებელია მოსარჩელის შუამდგომლობა და მოპასუხის თანხმობა. ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში კი, საკასაციო სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ ე. გ-მ ანალოგიური შინაარსის განცხადებით მანამდე მიმართა სააპელაციო სასამართლოს, თუმცა მოწინააღმდეგე მხარეებმა – ნ. თ-მა, ჟ. ხ-მა და თ. დ-მა შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირეს, მათ სარჩელის გამოხმობის შესახებ აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადეს, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი მათი წერილობითი განცხადება. ამდენად, ვინაიდან მოპასუხეები არ ეთანხმებიან სარჩელის გამოხმობას, ამიტომ ე. გ-ის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მისი კერძო საჩივარი განხილულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალეს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დგინდება ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით ე. გ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვადის გაგრძელების თაობაზე დაკმაყოფილდა, აპელანტს დაევალა ამ განჩინების ასლის გადაცემიდან 5 დღის ვადაში შეეცხო ხარვეზი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში წარედგინა სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამ ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთის დედანი. დასახელებული განჩინების ასლი აპელანტს გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში მის მიერ მითითებულ მისამართზე და 2012 წლის 20 აპრილს ჩა-

ბარდა აპელანტის ოჯახის წევრს – შვილს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, აღნიშნული მიიჩნევა განჩინების აპელანტისათვის ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსებისათვის დაწესებული 5-დღიანი ვადის ათვლა, მოცემულ შემთხვევაში, დაიწყო 2012 წლის 21 აპრილს და ამოიწურა 2012 წლის 25 აპრილს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ოთხშაბათი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ დროის ამ მონაკვეთში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო საჩივარი სწორად დარჩა განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, ამიტომ ე. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. გ-ის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. ე. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა**

#### **განჩინება**

№ას-626-589-2012

30 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რ. ო-მა სასამართლოში სს „ბანკი ...ს“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა ქ. თელავში ზ. კ-ის შესხვევის №10-ში მდებარე მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან მოპასუხის ელექტროგამტარი კაბელის გადატანა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „ბანკი ...ს“ დაევალა ქ. თელავში ზ. კ-ის შესახვევის №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთიდან ელექტროენერჯის გამტარი კაბელის გადატანა.

სს „ბანკმა ...მ“ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევის გამო. სასამართლოს მითითებით, სს „ბანკი ...ს“ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება 2012 წლის 14 თებერვალს ჩაბარდა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 28 თებერვალს ამოიწურა, სააპელაციო საჩივარი კი, სასამართლოში 1 მარტსაა შეტანილი.

აღნიშნულ განჩინებაზე სს „ბანკმა ...მ“ კერძო საჩივარი შეიტანა და მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი ვადის ბოლო დღეს, 2012 წლის 28 თებერვალს, ჩაბარდა ფოსტას, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც სააპელაციო წარმოების მასალებში არ აღმოჩნდა. კერძო საჩივარს ერთვის თნთ-ს №001295328 გზავნილის ბილი, შპს „სკს“-ს ცნობა, რომლის თანახმადაც, სს „ბანკმა ...მ“ 2012 წლის 28 თებერვალს შპს „სკს“-ს მეშვეობით თელავის რაიონულ სასამართლოში გააგზავნა №001295328 გზავნილი, ასევე თელავის რაიონულ-

ლი სასამართლოს კანცელარიის წერილი, რომლის მიხედვითაც 2012 წლის 1 მარტს შპს „სკს“-ს თანამშრომელმა 15:40 საათზე სასამართლოში მიიტანა სს „ბანკი ...ს“ სააპელაციო საჩივარი №2/584-11 სამოქალაქო საქმეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 აპრილის განჩინებით სს „ბანკი ...ს“ კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის განხილვისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ბანკი ...ს“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ სს „ბანკმა ...მ“ სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა დაარღვია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალები ადასტურებს, რომ სს „ბანკი ...ს“ თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება 2012 წლის 14 თებერვალს ჩაბარდა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იმავე წლის 28 თებერვალს ამოიწურა.

სს „ბანკი ...ს“ კერძო საჩივარს ერთვის მტკიცებულებები, კერძოდ, თნთ-ს №001295328 გზავნილის ბილი, შპს „სკს“-ს ცნობა, რომლის თანახმადაც, სს „ბანკმა ...მ“ 2012 წლის 28 თებერვალს შპს „სკს“-ს მეშვეობით თელავის რაიონულ სასამართლოში გააგზავნა №001295328 გზავნილი, ასევე თელავის რაიონული სასამართლოს კანცელარიის წერილი, რომლის მიხედვითაც 2012 წლის 1 მარტს შპს „სკს“-ს თანამშრომელმა 15:40 საათზე სასამართლოში მიიტანა სს „ბანკი ...ს“ სააპელაციო საჩივარი №2/584-11 სამოქალაქო საქმეზე. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, იმ გარემოებას, რომ სს „ბანკი ...ს“ სააპელაციო საჩივარი ვადის ამოწურვამდე გადაეცა ფოსტას, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მომხსენებლ მოსამართლეს არ დასცემია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ბანკი ...ს“ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე, 420-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ბანკი ...ს“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე პალატას; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა**

#### **განჩინება**

№ას-930-873-2012

10 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ქ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-ისა და პოლიტიკური გაერთიანება „ხ. პ-ის“ მიმართ დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: მ. ქ-ა არის ქ.თბილისში, ... №52-ში, პირველ სართულზე მდებარე მზა ტანსაცმლის მაღაზია „თ. ს-ის“ მესაკუთრე. 2007 წლის 9 ივნისს მაღაზიის გაღების დროს აღმოჩნდა, რომ მაღაზიის მთელი ფართობი წყლით იყო დაფარული. მიყენებული ზიანის დადგენისა და მისი დაფიქსირების მიზნით მოსარჩელემ გადაიღო დაზიანებული ქონების ფოტოსურათები და მოიწვია დამოუკიდებელი აუდიტი, რომელმაც შეაფასა წყლის ჩამოშვებით მიყენებული ზიანი. აუდიტის დასკვნაში დეტალურად არის დაანგარიშებული სავარაუდო ზარალის ოდენობა, რაც 33 918 ლარს შეადგენს. ფართი, რომელშიც განთავსებულია პოლიტიკური გაერთიანება „ხ. პ-ის“ ოფისი ეკუთვნის მ. კ-ს.

მ. კ-მ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ქ.თბილისში, ... გამზირზე მდებარე ბინა №2 და №4 ქირავნობის ხელშეკრულებით პირდაპირი მფლობელობით გადაცემული ჰქონდათ სახალხო პარტიის საინიციატივო ჯგუფს და ისინი ახორციელებდნენ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას ზიანის მიყენების მომენტში, რაც გამორიცხავს მ.კ-ის პასუხისმგებლობას დამდგარ ზიანში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ქ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. კ-ს მის სასარგებლოდ დაეკისრა 33918 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ა. მ-ს მ. ქ-ს სასარგებლოდ დაეკისრა საწარმოო ფართის დაზიანებით მიყენებული ზიანის (სარემონტო სამუშაოები) 11 490 ლარის ანაზღაურება. ა. მ-ს მ. ქ-ს სასარგებლოდ დაეკისრა სარეალიზაციო საქონლის დაზიანებით მიყენებული ზიანის – 16 875 ლარის ანაზღაურება. დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით მ. ქ-ს უარი ეთქვა მ.კ-ის, ჯ. თ-ის, კ. დ-ის, რ. ხ-ის, ა. ფ-ის, დ. კ-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მ. ქ-მ და ა. მ-მა გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის განჩინებით მ. ქ-ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 იანვრის განჩინებით მ. ქ-ს დაუდგინდა ხარვეზი და დაევა სახელმწიფო ბაჟის – 1035.00 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ხარვეზის შესასვლელად საჩივრის ავტორს განესაზღვრა 5 დღე განჩინების ასლის ჩაბარებიდან. მასვე განემარტა ამ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შედეგები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 იანვრის ხარვეზის შესახებ განჩინება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აპელანტ მ. ქ-ს ტელეფონის საშუალებით 2012 წლის 30 იანვარს ჩაჰბარდა, შესაბამისად, ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა 6 თებერვალს ამოიწურა (4–5 თებერვალი იყო დასვენების დღეები).

საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ქ-მ ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოს მიერ დავალებული საპროცესო მოქმედება არ შეასრულა. კერძოდ, მან არ წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის 1035.00 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე და 368-ე მუხლების თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ქ-მ შემდეგი დასაბუთებით: კერძო საჩივრის ავტორს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 იანვრის განჩინება ხარვეზის შესახებ 2012 წლის 30 იანვარს ტელეფონის მეშვეობით ჩაჰბარდა. მ. ქ-ს სატელეფონო საუბრის დროს ხმა კარგად არ ესმოდა, ვინაიდან, იმყოფებოდა მეტროში, თუმცა, სახელმწიფო ბაჟი 1035 ლარი იმავე დღეს გადაიხადა. მ. ქ-მ არ იცოდა, რომ გადახდილი ქვითარი უნდა წარედგინა სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ქ-ს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ

იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ამდენად, დასახელებული მუხლებიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია, განახორციელოს მისთვის დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ დაკარგა ინტერესი დავის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. სასამართლო შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადის დენის დაწყების საფუძველს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად კი, საჩივარი და საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, მ. ქ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 იანვრის განჩინებით მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად, რაც ტელეფონის საშუალებით 2012 წლის 30 იანვარს ეცნობა და განემართა, რომ სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში უნდა წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამატურებული ქვითრის დედანი და, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსებოდა, წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. დასახელებული ნორმების თანახმად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ხუთდღიანი ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 31 იანვარს და ამოიწურა ამავე წლის 6 თებერვალს.

სახელმწიფო ბაჟი კერძო საჩივრის ავტორის მიერ გადახდილია 2012 წლის 30 იანვარს, მიუხედავად ამისა, მას აღნიშნული ქვითარი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად არ წარუდგენია საქმის განმხილველი სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად მითითებულ გარემოებას, რომ მან არ იცოდა გადახდილი ქვითარი წარედგინა უნდა თუ არა სასამართლოში. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხარვეზი გამოსწორებულად ჩაითვლებოდა, თუ მხარე შეავსებდა მას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში და აღნიშნულს წარმოადგენდა სასამართლოში ან ამავე ვადის დაცვით გამოგზავნიდა ფოსტის მეშვეობით, რაც კერძო საჩივრის ავტორს არ განუხორციელებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მ. ქ-ს სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სასამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ქ-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

№ას-1382-1218-2010

28 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის საკუთრებაში დაბრუნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 12 ივლისს თელავის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ჰ. მ-შვილმა მოპასუხე ბ. ი-შვილის მიმართ და მოითხოვა მასა და მოპასუხეს შორის 2007 წლის 28 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და უძრავი ნივთის უკან დაბრუნება.

თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჰ. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელსა და მოპასუხე ბ. ი-შვილს შორის 2007 წლის 28 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ცნობილ იქნა ბათილად და აღიარებულ იქნა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებად, მოსარჩელეს უარი ეთქვა ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჰ. მ-შვილმა (წარმომადგენელი დ. ა-ური), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინებით ჰ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას გამოარკვია, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება 2010 წლის 27 ოქტომბერს ჩაბარდა ჰ. მ-შვილის დისშვილს ა. ბ-შვილს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადრესატის არყოფნის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია ბარდება ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ასეთად მიიჩნია ჰ. მ-შვილის დისშვილი – ა. ბ-შვილი, რომელსაც პირადად ჩაბარდა გზავნილი. აქვე, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მისამართზე, სადაც მოსარჩელის დისშვილს სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა, თავად მოსარჩელეს პირადად ჰქონდა ჩაბარებული სასამართლოს მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჰ. მ-შვილის დისშვილის, ა. ბ-შვილის მიერ მოსარჩელისათვის გადასაცემი კორესპონდენციის ჩაბარება უნდა მიჩნეულიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარებად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს, ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

კანონის დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჰ. მ-შვილს სადავო გადაწყვეტილება შეეძლო გაესაჩივრებინა ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, 2010 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით. სააპელაციო საჩივარი მან სასამართლოში შეიტანა 2010 წლის 16 ნოემბერს. ამდენად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჰ. მ-შვილმა (წარმომადგენელი დ. ა-ური), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჰ. მ-შვილის დისშვილს არ ჩაბარებია. აღნიშნულის დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორმა საჩივარს თან დაურთო მტკიცებულებები, რომლებითაც ირკვევა, რომ პიროვნება სახელით და გვარით ა. ბ-შვილი, საერთოდ არ ცხოვრობს არც ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში (ჰ. მ-შვილის ძირითადი საცხოვრებელი ადგილი) და არც სოფელ ბირკიანში (ჰ. მ-შვილის დროებითი ადგილსამყოფელი). გარდა ამისა, წარდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება სოფლის ფოსტაში ჩაბარდა სოფელ დუისში მცხოვრებ ა. ბ-შვილს, რომლის პირადი ნომერია 08001003656. ეს პიროვნება არ არის აპელანტის დისშვილი და არავითარი ნათესაური კავშირი არ გააჩნია მასთან. ა. ბ-შვილი თავის განცხადებაში, რომელიც კერძო საჩივარს თან ერთვის, განმარტავს, რომ მას ნათესაური კავშირი არა აქვს ჰ. მ-შვილთან, იგი ამ უკანასკნელის

თანასოფლელობა. სოფელ დუისის ფოსტაში მას გადასცეს საფოსტო კონვერტი და თხოვეს, რომ იგი გადაეცა ჰ. მ-შვილისათვის. მითითებული გზავნილი მან ადრესატს გადასცა 2010 წლის 3 ნოემბერს.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, პირი, რომელსაც სინამდვილეში გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაბარდა, არ წარმოადგენს აპელანტის ოჯახის წევრს ან ნათესავს, იგი მხოლოდ მისი თანასოფლელობა, რაც გამორიცხავს იმის მტკიცებას, რომ ადრესატს გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესით.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ არსებულ ვითარებაში სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველი.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ჰ. მ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინება და ჰ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლის დასაწყისად მიიჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების აპელანტის დისშვილის – ა. ბ-შვილისათვის ჩაბარების დღე – 2010 წლის 27 ოქტომბერი. აღნიშნული საკითხის შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი დანაწესი, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას და განმარტავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მისი ოჯახის წევრს არ ჩაბარებია. ხსენებული გადაწყვეტილება სინამდვილეში ჩაბარდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში მცხოვრებ ა. ბ-შვილს, რომელიც არ არის აპელანტის დისშვილი.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად კერძო საჩივარს თან ერთვის: სოფელ ბირკიანის მაცხოვრებლების მიერ ხელმოწერილი აქტი, რომელიც დამოწმებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯოჯოხოს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ; სოფელ დუისის მაცხოვრებლების მიერ ხელმოწერილი აქტი, რომელიც ასევე დამოწმებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის დუისის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ და ა. ბ-შვილის განცხადება. დასახელებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ა. ბ-შვილის სახელითა და გვართ მცხოვრები პიროვნება ჯოჯოხოს ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფლებში არ ირიცხება, ასეთი არც სოფელ დუისის ტერიტორიაზე ცხოვრობს, თუმცა ამ უკანასკნელში ცხოვრობს ა. ბ-შვილი, რომელიც არ არის ჰ. მ-შვილის დისშვილი, მათ ერთმანეთთან არანაირი ნათესაური კავშირი არ აქვთ. თავად ა. ბ-შვილი თავის განცხადებაში განმარტავს, რომ ჰ. მ-შვილი არის მისი თანასოფლელობა და მეზობელი, ნათესაური კავშირი მასთან არა აქვს, 2010 წლის 27 ოქტომბერს სოფელ დუისის ფოსტაში მას ჩააბარეს საფოსტო გზავნილი, რომლის დანიშნულებაც დღემდე არ იცის, ფოსტის მუშაკმა მას აუხსნა, რომ იგი უნდა ჩაებარებინა ჰ. მ-შვილისათვის, მან აღნიშნული გზავნილი ჰ. მ-შვილს გადასცა 2010 წლის 3 ნოემბერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ზემოხსენებული მტკიცებულებები ასაბუთებენ იმ გარემოებას, რომ პიროვნება, რომელმაც თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების ჰ. მ-შვილისათვის განკუთვნილი ასლი ჩაიბარა, არ წარმოადგენს ამ უკანასკნელის ოჯახის წევრს (დისშვილს). გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გარემოების გასაქარწყლებლად კერძო საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარეს – ბ. ი-შვილს სასამართლოსათვის რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, მიუხედავად იმისა, რომ მას გაეგზავნა და პირადად ჩაბარდა ჰ. მ-შვილს კერძო საჩივრის ასლი. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტისათვის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის 2010 წლის 27 ოქტომბერს ჩაბარების ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება. თავად კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი მას გადასცა ა. ბ-შვილმა 2010 წლის 3 ნოემბერს. ამ მომენტიდან კი გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადა გასული არაა, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2010 წლის 16 ნოემბერს, ანუ გასაჩივრების ვადის გასვლამდე ერთი დღით ადრე. ამდენად, მითითებული საფუძველით ჰ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა არ არსებობს, თუმცა სააპელაციო სასამართლომ



საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. 3. მ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინება და საქმე 3. მ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

**განჩინება**

№ას-1223-1074-2010

20 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით ც. ი-შვილის სარჩელი, დ. ბ-ევისა და ხ. ა-ევას მიმართ უკანონო ხელშეშლის ადკვეთის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ი-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის განჩინებით ც. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების, კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ც. ი-შვილს პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2010 წლის 20 სექტემბერს, მან კი სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2010 წლის პირველ ნოემბერს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის დარღვევით, ვინაიდან გასაჩივრების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, იყო 2010 წლის 4 ოქტომბერი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ც. ი-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაეწყო არა 2010 წლის 20 სექტემბრიდან, როდესაც მას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა, არამედ 2010 წლის 18 ოქტომბრიდან (უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების ჩაბარების თარიღი), ვინაიდან საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ც. ი-შვილის ნაცვლად შეცდომით მითითებული იყო ც. ი-შვილი და, შესაბამისად, იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას გაესაჩივრებინა აღნიშნული გადაწყვეტილება, რადგან მასში მხარედ არ იყო მითითებული, ხოლო, როდესაც გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ განჩინება ჩაჰბარდა, მან ვადაში წარადგინა სააპელაციო საჩივარი. ამდენად, ც. ი-შვილმა მოითხოვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილება და საქმის წარმოების განახლება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ც. ი-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხა-

რისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 აგვისტოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ც. ი-შვილს პირადად ჩააბარდა 2010 წლის 20 სექტემბერს; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 21 სექტემბერს და ამოიწურა ამავე წლის 4 ოქტომბერს. ამდენად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა იყო 2010 წლის 4 ოქტომბერი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2010 წლის პირველ ნოემბერს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, რომლის აღდგენაც დაუშვებელია.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს ვადის ათვლა უნდა დაეწყო არა 2010 წლის 20 სექტემბრიდან, როდესაც მას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩააბარდა, არამედ 2010 წლის 18 ოქტომბრიდან (უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების ჩაბარების თარიღი), ვინაიდან საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ც. ი-შვილის ნაცვლად შეცდომით იყო მითითებული ც. ი-შვილი და, შესაბამისად, იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას გაესაჩივრებინა აღნიშნული გადაწყვეტილება, ვინაიდან მასში მხარედ არ იყო მითითებული, ხოლო, გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების ჩაბარების შემდგომ, წარადგინა სააპელაციო საჩივარი. ამდენად, სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია, რის გამოც მოითხოვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილება.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, ვინაიდან კანონმდებელი მხარეს პირდაპირ ავალდებულებს, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, მოცემულ შემთხვევაში კი, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, როგორც უკვე აღნიშნა, ც. ი-შვილს ჩააბარდა 2010 წლის 20 სექტემბერს. ამასთან, საგულისხმოა, რომ ც. ი-შვილი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღესვე, ზემოაღნიშნული უსწორობის თაობაზე, მოსამართლის თანაშემწეს ტელეფონით დაუკავშირდა და მოითხოვა გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომის გასწორება. აღნიშნული ცხადყოფს, რომ მას სადავოდ არ გაუხადია ის გარემოება, რომ გადაწყვეტილებაში მხარედ არ იყო მითითებული, არამედ მოითხოვა მხოლოდ, თავის გვარის მითითებისას სასამართლოს მიერ დაშვებული უსწორობის გასწორება, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრების ვადა უნდა ათვლილიყო უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების ჩაბარების თარიღიდან (2010 წლის 18 ოქტომბერი) და არა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (2010 წლის 20 სექტემბერი) საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან აღნიშნული ეწინააღმდეგება გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში შეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ც. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. ი-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის განჩინება.

### 3. განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### განჩინება

№ას-962-1000-2011 11 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 1 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა გ. მ-მა მოპასუხე ნოტარიუს ნ. ბ-ს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მის მიერ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის საპატიოდ ჩათვლა, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება და მამკვიდრებელ გ. მ-ის დანაშთი ქონების, კერძოდ, შპს «...» მამკვიდრებლის კუთვნილი 50% წილის მემკვიდრედ ცნობა.

ხარვეზის შევსების მიზნით 2008 წლის 12 ნოემბერს წარდგენილ განცხადებაში მოსარჩელემ მოპასუხედ დაასახელა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო მესამე პირებად მიუთითა ნოტარიუსი ნ. ბ-ე და შპს «...».

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 იანვრის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა გ. მ-ის უფლებამონაცვლის დადგენამდე, ხოლო 2009 წლის 23 ივნისის განჩინებით გ. მ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ვ. მ-ი, საქმის წარმოება განახლდა.

2009 წლის 31 ივლისს ვ. მ-მა იმავე სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხე მ. ს-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ვ. მ-ის მიერ მ. ს-იას სახელზე შედგენილი შინაურული ანდერძის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის საოქმო განჩინებით ზემოაღნიშნული სარჩელებით აღძრული საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 სექტემბრის სხდომაზე მოსარჩელე ვ. მ-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორივე სარჩელში მოპასუხედ უნდა დარჩენილიყო მხოლოდ მ. ს-ია, რამდენადაც მოთხოვნა გააჩნდა მხოლოდ მის მიმართ, ხოლო მესამე პირებად მან მიუთითა საქართველოს ... სამინისტრო და მ. რ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ვ. მ-ის სარჩელი მოპასუხე მ. ს-იას, მე-3 პირების – ...სამინისტროსა და მ. რ-ის მიმართ, დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი გ. მ-ის სახელით 2007 წლის 19 დეკემბერს შედგენილი ანდერძი; გ. მ-ის უფლებამონაცვლე ვ. მ-ს გაუგრძელდა 2007 წლის 24 დეკემბერს გარდაცვლილი გ. მ-ის დანაშთი სამკვიდროს მიღების ვადა; ვ. მ-ი ცნობილ იქნა სამეწარმეო რეესტრში გ. მ-ის სახელზე რიცხული შპს «...» 50% წილის მფლობელად; მ. ს-იას ვ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ სარჩელზე ბაჟის სახით გადახდილი 200 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი გ. მ-ის სახელით შედგენილი ანდერძი და ვ. მ-ი ცნობილ იქნა სამეწარმეო რეესტრში გ. მ-ის სახელზე რიცხული შპს «...» 50% წილის მფლობელად, სააპელაციო წესით გასაჩივრა მ. ს-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით მ. ს-იას სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის განჩინებით აპელანტ მ. ს-იას დაევალა შპს «...» სადავო 50% წილის ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულების, აგრეთვე, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ზემოაღნიშნული წილის ღირებულების 4%-ისა და 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა, ამ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში;

2011 წლის 2 მაისს მ. ს-იას წარმომადგენელმა დ. ღ-ემ ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რა დროსაც წარადგინა 150 ლარის ოდენობით თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 მაისის განჩინებით, აპელანტს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 3 დღით (იმის გამო, რომ მ. ს-იამ ხარვეზი სრულად არ გამოასწორა) და ამ ვადაში კვლავ დაევალა შპს «...» სადავო 50% წილის ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულების და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ზემოაღნიშნული წილის ღირებულების 4%-ის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა;

2011 წლის 16 მაისს აპელანტის წარმომადგენელმა დ. ლ-ემ ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებითამიმართა სააპელაციო სასამართლოს, რა დროსაც წარადგინა 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი და განმარტა, რომ საქმეში წარდგენილი იყო შპს «...» წესდება, ასევე ხელშეკრულება შპს «...» 50% წილის ნასყიდობის შესახებ, სადაც მითითებული იყო, რომ შპს «...» კაპიტალი არის 2000 ლარი, ხოლო 50% წილის ღირებულება შეადგენდა 1000 ლარს. ამდენად, განმცხადებლის მითითებით აპელანტის მიერ ხარვეზი შევსებულად უნდა მიჩნეულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, როგორც ზემომითითებული ხარვეზის განჩინებებით დგინდება, აპელანტს ორჯერ დაევალა შპს «...» 50% წილის ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა. სასამართლომ აპელანტისათვის დასახელებული მტკიცებულების წარდგენის დავალდებულება მიზანშეწონილად მიიჩნია იმისათვის, რომ ზუსტად განესაზღვრა სადავო საგნის ღირებულება გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან. კანონის ამ ნორმის თანახმად, დავის საგნის ფასი ნივთის (ქონების) გადაცემის ან მიწოდების შესახებ სარჩელებზე განისაზღვრება ამ ნივთის (ქონების) საბაზრო ღირებულებით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარდგენილი იყო 2005 წლის 28 აპრილის დათმობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს «...» 50% წილის ღირებულება შეადგენდა 1000 ლარს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილი იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას – საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქმეში წარდგენილ 2005 წლის 28 აპრილის დათმობის ხელშეკრულებაში აღნიშნული 50% წილის ფასი, რადგან აპელანტმა ვერ დაადასტურა რა ღირებულების ქონება გააჩნდა შპს «ხ-ს», რაც განსაზღვრავდა წილის საბაზრო ღირებულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა ხარვეზი სრულად ვერ გამოასწორა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მ.ს-იას უნდა დაბრუნებოდა დ.ლ-ის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი დანაწესი.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ს-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივარი შემდეგ არგუმენტებზეა დაფუძნებული:

სააპელაციო სასამართლომ მ. ს-იას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად მიუთითა აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობაზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე, 41-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო საჩივარი მიიჩნია დაუშვებლად. სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი შემდეგში მდგომარეობდა: აპელანტს სასამართლოსათვის უნდა წარედგინა შპს «...» სადავო 50% წილის ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულება და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღნიშნული წილის ღირებულების 4%-ის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი. აღნიშნული ხარვეზის შეუვსებლობად სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა ის გარემოება, რომ აპელანტმა ხარვეზის ვადის გაგრძელების განჩინებით დადგენილ ვადაში შპს «...» 50% წილი შეაფასა 1000 ლარად და გადაიხადა შესაბამისი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ არსებული ფაქტობრივი გარემოება შეაფასა, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. დასახელებული ნორმის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამავე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება და დარჩება განუხილველი. კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობას, ვინაიდან აპელანტმა განსაზღვრა სადავო მოთხოვნის ფასი და გადაიხადა შესაბამისი ბაჟი. ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილ განცხადებაში აპელანტის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ შპს «...» სადავო 50% წილს აფასებდა 1000 ლარად, დღევანდელი მონაცემებით. მან აღნიშნული შეფასების საფუძველად მიუთითა საქმეში არსებულ შპს-ს წესდებასა და წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულებაზე;

მოსარჩელის მიერ დავის საგნის არასწორად განსაზღვრის შემთხვევაში სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განუხილველად დატოვება არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლიდან. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა;

მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც შპს «...» 50% წილის მესაკუთრედ ცნობის, ასევე ანდერძის ბათილად ცნობის ნაწილში. მეორე მოთხოვნაზე აპელანტმა ბაჟი სწორად გადაიხადა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს სააპელაციო საჩივარი დასახელებულ ნაწილში მაინც უნდა მიეღო წარმოებაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-იას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება და მ. ს-იას სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობა. აღნიშნული ხარვეზი შემდეგში მდგომარეობდა: განჩინებით დადგენილ ვადაში მ. ს-იას სააპელაციო სასამართლოში უნდა წარედგინა შპს «...» სადავო 50% წილის ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულება, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ზემოაღნიშნული წილის ღირებულების 4%-ისა და 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხარვეზის შესავსებად აპელანტის წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ, რომელსაც თან დაურთო 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 მაისის განჩინებით, აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტს დადგენილი ხარვეზი სრულად არ შეუვსია, შესაბამისად, მას დაევალა შპს «...» სადავო 50% წილის ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულების და ამ ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

2011 წლის 16 მაისის აპელანტის წარმომადგენელმა წარადგინა ახალი განცხადება, რომელსაც თან დაურთო 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. ამავდროულად, განმცხადებელმა განმარტა, რომ საქმეში წარდგენილი იყო შპს «...» წესდება, ასევე ხელშეკრულება შპს «...» 50% წილის ნასყიდობის შესახებ, რომელთა თანახმად, შპს «...» საწესდებო კაპიტალი იყო 2000 ლარი, ხოლო შპს «...» 50% წილის ღირებულება შეადგენდა 1000 ლარს, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენდა 1000 ლარის 4%-ს, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ვერ იქნებოდა 150 ლარზე ნაკლები. აქედან გამომდინარე, აპელანტმა სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 150 ლარი და მოითხოვა მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ არ არსებობდა მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოება ანდერძის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, ვინაიდან ამ ნაწილში აპელანტმა შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, კერძოდ, გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება შპს «...» 50% წილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლზომიერებას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივარი საჭიროებს დასაშვებობის ხელახლა შემოწმებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. აღნიშნული ნორმა ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც დავის საგნის (სარჩელის საგნის) ღირებულების განსაზღვრის მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს, ხოლო აღნიშნული ფასის სადავო ქონების რეალურ ღირებულებასთან შეუსაბამობის შემთხვევაში შემდგომ საპროცესო მოქმედებად გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ დავის საგნის ფასის თავად განსაზღვრა და არა სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განუხილველად დატოვება. ასეთი რამ არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებაში მიუთითა შპს «...» 50% წილის ღირებულებაზე, რაც მან განსაზღვრა საზოგადოებაში წილის დათმობის ხელშეკრულებაში მითითებული ფასით – 1000 ლარით. ამდენად, აპელანტმა ხარვეზის შესავსებად დადგენილ საპროცესო ვადაში შეასრულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით მის მიერ შესასრულებელი საპროცესო მოქმედება. თუკი სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ აპელანტის მიერ მითითებული დავის საგნის ღირებულება – 1000 ლარი (შპს «...» 50% წილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის ნაწილში) არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნა-



გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისთვის გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2011 წლის 15 აპრილი. მიუხედავად ამისა, ა. რ-ამ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2011 წლის 26 აპრილს, ანუ სააპელაციო საჩივრის 14-დღიანი ვადის დარღვევით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის დანაწესიდან და განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 მაისის განჩინება ა. რ-ამ გაასაჩივრა კერძო საჩივრით, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მისაღებად საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორი არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ აპელანტმა დაარღვია სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა. რაიონული სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება ა. რ-ას ჩაჰბარდა 2011 წლის 1 აპრილს, რაზეც მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა ფოსტის მეშვეობით, 2011 წლის 15 აპრილს. აღნიშნულს ადასტურებს მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ქვითარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია სააპელაციო საჩივრის ფოსტის მეშვეობით წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო საჩივრის ფოსტაში დროულად ჩაბარების შემთხვევაში ვადა დაცულად ითვლება. აქედან გამომდინარე, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაშია შეტანილი, რის გამოც იგი განუხილველად არ უნდა დარჩენილიყო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. რ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 მაისის განჩინება და ა. რ-ას სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლის დასაწყისად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აპელანტ ა. რ-ასათვის ჩაბარების დღე – 2011 წლის 1 აპრილი, ხოლო ამ ვადის დასრულების დღედ – 2011 წლის 26 აპრილი. აღნიშნული თარიღის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ შეხედულობაში მიიღო ა. რ-ას სააპელაციო საჩივარზე დასმული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შტაბში, რომელშიც სააპელაციო საჩივრის შემოსვლის თარიღად მითითებულია 2011 წლის 26 აპრილი. მითითებული დროისათვის აპელანტის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადა უკვე გასული იყო.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით ა. რ-ა სადავოდ ხდის სააპელაციო საჩივრის შეტანის ზემოაღნიშნულ თარიღს, რომელსაც გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობა და განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სააპელაციო საჩივრის ფოსტის მეშვეობით გაგზავნას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არსებულ სააპელაციო საჩივრის ასლს, რომელიც არაა ჩაკერებული საქმეში, თან ერთვის საფოსტო კონვერტი, რომლითაც დასტურდება ის გარემოება, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გააგზავნა ფოსტის მეშვეობით 2011 წლის 15 აპრილს. აღნიშნული მტკიცებულების საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ა. რ-ას მიერ სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით სწორედ 2011 წლის 15 აპრილს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტმა სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე, კერძოდ, 2011 წლის 15 აპრილს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მას სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა არ გაუშვია. ამდენად, არ არსებობს გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების საფუძველით ა. რ-ას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, თუმცა სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. რ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ნოემბრის განჩინება და საქმე ა. რ-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### განჩინება

№ას-1786-1763-2011

20 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალაფიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 2 თებერვალს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ზ. ჭ-ემ მოპასუხე ა. ჭ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 10235 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

მოგვიანებით, იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი შეიტანა ა. ჭ-ემ. შეგებებულმა მოსარჩელემ მოითხოვა მის მიერ 2010 წლის 5 მარტსა და 2010 წლის 5 დეკემბერს დაწერილი ხელწერილების ბათილად ცნობა.

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ. ჭ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ა. ჭ-ეს მოსარჩელე ზ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 8000 აშშ დოლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ჭ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ა. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა ა. ჭ-ეს; გზავნილი ჩაბარდა აპელანტის ბიძაშვილს ნ. ვ-ეს (ოჯახის წევრს) 2011 წლის 17 ოქტომბერს; ა. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში შეტანილ იქნა 2011 წლის 1 ნოემბერს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 70-ე, 74-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა, რადგან იგი სასამართლოში წარდგენილი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით, კერძოდ, გასაჩივრებისათვის კანონმდებლის მიერ დაწესებული 14-დღიანი ვადის ერთი დღის დაგვიანებით.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებაზე ა. ჭ-ემ წარადგინა კერძო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება, შემდეგი საფუძველებით:

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება მას ჩაბარდა 2011 წლის 18 ოქტომბერს. აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი აპელანტს გადასცა მეზობელმა, მ. თ-მემ, ხოლო ამ უკანასკნელს – ადრესატისათვის ჩასაბარებლად სოფელ ფ-ის რწმუნებულმა. მითითებული გადაწყვეტილება აპელანტმა გაასაჩივრა კანონით გათვალისწინებული 14 დღის ვადაში. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია, რამდენადაც ადრესატის მიერ გზავნილის ჩაბარების თარიღად ჩათვალა 17 და არა 18 ოქტომბერი. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება არასწორია, ვინაიდან ნ. ვ-ე, რომელსაც ვითომ 17 ოქტომბერს ჩაბარდა სასამართლოს გზავნილი, არ არის მისი ოჯახის წევრი. კერძო საჩივრის ავტორმა ზემომითითებული გარემოებების დასადასტურებლად საჩივარს თან დაურთო ნ. ვ-ის, მ. თ-მისა და სოფელ ფ-ის რწმუნებულ მ. ჩ-მის განმარტებები, რომლებითაც დგინდება, რომ აპელანტს გზავნილი ჩაბარდა 2011 წლის 18 ოქტომბერს. შესაბამისად, მას არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჭ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის



სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის განჩინება და ა. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი 2011 წლის 17 ოქტომბერს ჩაბარდა აპელანტის ოჯახის წევრს (ბიძაშვილს) ნ. ვ-ეს და, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლაც ამ თარიღიდან უნდა მომხდარიყო.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი მას ჩაბარდა 2011 წლის 18 ოქტომბერს მისი მეზობლის მარინა თუთბერიძის მეშვეობით. ამ უკანასკნელს კი სასამართლოს გზავნილი აპელანტისათვის გადასაცემად გადასცა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ფ-ის რწმუნებულმა მ. მ-მ. რაც შეეხება გზავნილზე ხელმოწერ პირს ნ. ვ-ეს, იგი არ წარმოადგენს აპელანტის ოჯახის წევრს.

ზემოხსენებულ გარემოებათა დასადასტურებლად კერძო საჩივარს ერთვის ნ. ვ-ისა და მ. თ-ის სანოტარო წესით დამოწმებული განმარტებები, ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ფ-ის რწმუნებულ მ. მ-ის განმარტება. დასახელებული მტკიცებულებებით, კერძოდ, ნ. ვ-ის განმარტებით ირკვევა, რომ იგი მუშაობს სოფელ ფ-ის ს/ამბულატორიაში ექთნად. 2011 წლის 17 ოქტომბერს მასთან სამსახურში მივიდა სასამართლოს თანამშრომელი და სოფლის რწმუნებულისათვის გადასაცემად დაუტოვა გაუხსნელი კონვერტი. აღნიშნული გზავნილი მან მეორე დღეს გადასცა სოფლის რწმუნებულს. იგი აპელანტის არც ნათესავია და არც ოჯახის წევრი. მ. თ-ის განმარტებით ირკვევა, რომ იგი არის აპელანტის მეზობელი. 2012 წლის 18 ოქტომბერს იგი პენსიის ასაღებად იმყოფებოდა სოფლის საკრებულოში, სადაც მას სოფლის რწმუნებულმა აპელანტისათვის გადასაცემად გადასცა კონვერტი, რომელიც იმავე დღეს ჩააბარა აპელანტს. სოფლის რწმუნებულის განმარტებით კი ირკვევა, რომ მან 2012 წლის 18 ოქტომბერს მ. თ-ს აპელანტისათვის გადასაცემად გადასცა სასამართლოს გზავნილი, რომელიც სოფლის ამბულატორიის ექთნის, ნ. ვ-ისათვის დაუტოვებია ფოსტის თანამშრომელს. ნ. ვ-ე და აპელანტი ა. ჭ-ე ცხოვრობენ სოფლის სხვადასხვა უბნებში და მათ ნათესაური კავშირი არა აქვთ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ზემოხსენებული მტკიცებულებები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ნ. ვ-ე, რომელმაც ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების ა. ჭ-ისათვის განკუთვნილი ასლი ჩაიბარა, არ წარმოადგენს ამ უკანასკნელის ოჯახის წევრს. საგულისხმოა ასევე ის გარემოებაც, რომ თავად გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში არაა აღნიშნული, რომ გზავნილის მიმღები პირი ნ. ვ-ე ადრესატის ოჯახის წევრია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

მითითებული ნორმის მიხედვით, უწყების (გზავნილის) მიმღები პირი ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს არამარტო თავისი სახელი და გვარი, არამედ ადრესატთან მისი დამოკიდებულებაც. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში არაა აღნიშნული, რომ გზავნილის მიმღები პირი აპელანტის ოჯახის წევრია. კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი უდავოდ დასტურდება, რომ სასამართლოს გზავნილის მიმღები პირი არ არის აპელანტის ოჯახის წევრი. აღსანიშნავია, რომ მითითებული გარემოების გასაქარწყლებლად კერძო საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარეს – ზ. ჭ-ეს სასამართლოსათვის რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, მიუხედავად იმისა, რომ მას გაეგზავნა და პირადად ჩაბარდა ა. ჭ-ის კერძო საჩივრის ასლი. აქედან გამომდინარე, საქმეზე არ დგინდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2011 წლის 17 ოქტომბერს ჩაბარდა აპელანტის ოჯახის წევრს. თავად კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით (რაც გამყარებულია კერძო საჩივარზე თანდართული მტკიცებულებებით), გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი მას გადაეცა 2011 წლის 18 ოქტომბერს. ამ მომენტიდან კი გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადა გასული არაა, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2011 წლის 1 ნოემბერს, ანუ გასაჩივრების ვადის ბოლო დღეს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საფუძვლით ა. ჭ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა არ არსებობს, თუმცა სააპელაციო სასა-

მართლმ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ჭ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის განჩინება და საქმე ა. ჭ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

№ას-285-274-2012 19 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. თ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა., დ. და გ. ო-ების მიმართ დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის – 10 000-10 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 თებერვლის განჩინებით ი. თ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათით გზავნილის ჩაბარების შესახებ დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენელ ხ. მ-ას 2012 წლის 20 იანვარს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გზავნილის თავად მხარისათვის ჩაბარებას უთანაბრდება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 7-დღიანი ვადის ათვლა იწყება 2012 წლის 21 იანვრიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. აღნიშნული ვადა ამოიწურა 2012 წლის 27 იანვარს.

სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აპელანტს გააჩნდა 2012 წლის 27 იანვრის ჩათვლით, თუმცა პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2012 წლის 30 იანვარს, კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ი. თ-მა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შემოწმება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ი. თ-მა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2012 წლის 27 იანვარს ფოსტის მეშვეობით. გაგზავნის №001297760 ბარათზე აღინიშნა საქმის ნომერი 2/358, თუმცა დაიკარგა ქვიტარი, სადაც მითითებულია გზავნილის გაგზავნის თარიღი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. თ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე

სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>21</sup> მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებზე შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 7 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება და დარჩება განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა აპელანტ ი. თ-ს და საქმის მასალებში წარმოდგენილი შპს „სკს-ს“ გზავნილების ჩაბარების თაობაზე შეტყობინების ბარათის თანახმად, ჩაბარდა 2012 წლის 20 იანვარს, რაც სადავოდ არ გამხდარა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის 7-დღიანი ვადის ათვალა დაიწყო 2012 წლის 21 იანვარს და ამოიწურა 27 იანვრის 24 საათზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. 61-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ ი. თ-მა სააპელაციო საჩივარი საფოსტო განხყოფილებას ჩააბარა კანონით განსაზღვრულ 7-დღიან ვადაში, 2012 წლის 27 იანვარს, თუმცა სააპელაციო საჩივარს საქმეში კონვერტი არ დაერთო. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს თავად სააპელაციო საჩივარზე მცხეთის რაიონული სასამართლოს ბეჭედში არსებული მითითება, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა ერთ კონვერტთან ერთად, ასევე კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი შპს „სკს-ს“ ქვითრები, რომლითაც დასტურდება ი. თ-ის მიერ 2012 წლის 27 იანვარს მცხეთის რაიონული სასამართლოსათვის №2/358 საქმეზე გზავნილის გაგზავნის ფაქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით ი. თ-ის სააპელაციო საჩივარი არასწორად დარჩა განუხილველად, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ი. თ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 თებერვლის განჩინება და და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

№ას-604-570-2012

14 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ნივთების დაბრუნება ან შესაბამისი ღირებულების თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს «კ. 2008»-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „ე. კ-ის“ წინააღმდეგ, მესამე პირებად დაასახელა მ. გ-ე და სხვები და მოითხოვა გარიგების ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ნივთების დაბრუნება ან შესაბამისი ღირებულების თანხის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „კ. 2008“-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „კ. 2008“-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით შპს „კ. 2008“-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან შპს „კ. 2008“-ის წარმომადგენელ რ. პ-ს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2012 წლის 24 თებერვალს (1 თვეზე მეტი დაგვიანებით), ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით, სსსკ-ის 369-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „კ. 2008“-ის წარმომადგენელმა რ. პ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო განჩინების გამოტანისას დაეყრდნო ბათუმის საქალაქო სასამართლოს გზავნილზე მის მიერ შესრულებულ ხელმოწერას, სადაც მან შეცდომით გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღად ნაცვლად 2012 წლის 8 თებერვლისა, მიუთითა 2012 წლის 8 იანვარი. აღნიშნული დასტურდება იმ გარემოებით, რომ სასამართლოს გზავნილი დათარიღებულია 2012 წლის 13 იანვრით, რაც ცხადყოფს, რომ იგი გზავნილს 2012 წლის 8 იანვარს ვერ ჩაიბარებდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რ. პ-მ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ შპს „კ. 2008“-ის წარმომადგენელ რ. პ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით შპს „კ. 2008“-ის სააპელაციო საჩივარი როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად იმ მოტივით, რომ შპს „კ. 2008“-მ, რომელსაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2012 წლის 8 იანვარს, ხოლო მან სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2012 წლის 24 თებერვალს, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილი სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხარის მიერ გასაჩივრებული დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან მხოლოდ 14 დღის განმავლობაში. ამდენად, კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს და მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტი, საიდანაც უნდა აითვალოს ზემოხსენებული 14-დღიანი ვადა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა 2012 წლის 9 იანვრიდან არასწორად აითვალა, ვინაიდან როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება მხარეებს კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ 2012 წლის 13 იანვარს. საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ რ. პ-ს სასამართლო გზავნილზე გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღად შეცდომით აქვს მითითებული აქვს 2012 წლის 8 იანვარი, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ სასამართლოს გზავნილი დათარიღებულია 2012 წლის 13 იანვრით, აღნიშნული კი, ცხადყოფს, რომ იგი 2012 წლის 13 იანვარს გაგზავნილ გადაწყვეტილებას 2012 წლის 8 იანვარს ვერ ჩაიბარებდა. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოწინააღმდეგე მხარეს, ასევე მესამე პირებს გზავნილზე გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღად მითითებული აქვთ 2012 წლის 7-13 თებერვალი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით შპს „კ. 2008“-ს სააპელაციო საჩივარი არასწორად იქნა განუხილველად დატოვებული, რადგან ორგანიზაციის წარმომადგენელ რ. პ-ს პირველი ინსტანციის სასამართლო გა-

დაწყვეტილების ასლი ფაქტობრივად ჩაჰბარდა 2012 წლის 8 თებერვალს, სააპელაციო საჩივარი კი წარადგინა 2012 წლის 24 თებერვალს, ანუ კანონით დადგენილ ვადაში, ვინაიდან გასაჩივრების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, იყო 2012 წლის 22 თებერვალი. აღნიშნული კი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

განჩინებით შპს „კ. 2008“-ს წარმომადგენელ რ. პ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

№ას-809-762-2012

28 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. ხ. ო. პ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ჯ-ის მიმართ ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანის – 8300 ლარის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 8300 ლარის გადახდა, რაც ა. ჯ-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2012 წლის 2 აპრილს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა ა. ჯ-ის წარმომადგენელ შ. ბ-ს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 74-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლო გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარებას უთანაბრდება.

პალატამ ასევე დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივრით ა. ჯ-მ სასამართლოს მიმართა 2012 წლის 18 აპრილს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მხარემ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა დაარღვია, რის გამოც სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. ჯ-მ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიანგარიშა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა, რომელიც ფაქტობრივად აპელანტს არ დაურღვევია. გარდაბნის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება ა. ჯ-ს ჩაბარდა 2012 წლის 2 აპრილს, თუმცა სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2012 წლის 14 და არა 18 აპრილს, როგორც ამას სასამართლო უთითებს. აღნიშნული გარემოება დასტურდება კერძო საჩივარზე დართული შპს „ს. ფ-ს“ ქვითრით.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება და დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და სადავოდ არ გამხდარა ის ფაქტი, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ჯ-ის წარმომადგენელ შ. ბ-ს ჩაბარდა 2012 წლის 2 აპრილს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამდენად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 3 აპრილიდან და ამოიწურა ამავე წლის 17 აპრილს (16 აპრილი იყო დასვენების დღე).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ა. ჯ-მ სააპელაციო საჩივრით სასამართლოს მიმართა 2012 წლის 18 აპრილს, ვინაიდან სააპელაციო საჩივარს თან ერთვის კონვერტი, რომელზეც დასმული ბეჭდით დასტურდება, რომ მხარემ სააპელაციო საჩივარი ფოსტას 2012 წლის 14 აპრილს ჩააბარა.

ამდენად, გასაჩივრებული განჩინებით არასწორად იქნა მიჩნეული, რომ ა. ჯ-მ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაარღვია და საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პოზიციას მისი გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ა. ჯ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

№ას-847-795-2012

9 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**პ. ქათამაძე,**

**ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მინდობილობის ბათილად ცნობა, ჩუქები-სა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ქონების მესაკუთრედ აღიარება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ს. რ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. ე-ის, პ-ა ჯ-ის, გ. ს-ის, ი. ს-ისა და სს „პ. ბ-ის“ მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების, მინდობილობის, ჩუქებისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და ქონების მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: ს. რ-ს 2007 წლის 20 ოქტომბერს გარდაეცვალა დედა ი. რ-ა, ი. რ-მ 1994 წელს ც. ე-ისაგან ისესხა 300 აშშ დოლარი, რომლის საგარანტიოდ ამ უკანასკნელის სახელზე გასცა გენერალური მინდობილობა, მის საკუთრებაში არსებულ ბინაზე. თანხის დაბრუნ-

ნების შემდეგ, ი. რ-ს მინდობილობა უკან არ გამოუთხოვია, რითაც ისარგებლა ც. ე-მა და აღნიშნულ უძრავ ქონებაზე დადო ჩუქების ხელშეკრულება პ. ჯ-თან. მშობლის გარდაცვალების შემდეგ ს. რ-ს მზრუნველად დაენიშნა ი. რ-ს და – ი. ს-ი, რომელმაც სამკვიდროს გახსნის შემდეგ აღმოაჩინა რომ ბინა გაჩუქებული იყო. 2008 წლის 22 იანვარს აღნიშნული ბინა გადავიდა ი. ს-ის მეუღლე გ. ს-ის საკუთრებაში, რომელმაც სადავო ბინა დატვირთა იპოთეკით. 2010 წლის 21 ივლისს ი. ს-სა და მ. დ-ს შორის დაიდო სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულება.

მოპასუხეებმა ც. ე-მა, პ. ჯ-მა, ი. ს-მა, გ. ს-მა და სს „პ-მა“ წარმოდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ს. რ-ს კანონიერი წარმომადგენლის ნ. რ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, არ დაკმაყოფილდა სარჩელის მოთხოვნა ი. რ-ს მიერ ც. ე-ის სახელზე 1994 წლის 13 დეკემბერს გაცემული გენერალური მინდობილობის ბათილად ცნობის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი 1995 წლის 9 მარტის ჩუქების ხელშეკრულება ი. რ-ს წარმომადგენელ ც. ე-სა და პ. ჯ-ს შორის; ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 22 იანვარს პ. ჯ-სა და გ. ს-ს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება; არ დაკმაყოფილდა სარჩელის მოთხოვნა გ. ს-სა და სს «პ-ს» შორის 2010 წლის 9 ივნისს დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ; ს. რ-ა ცნობილ იქნა ი. რ-ს სამკვიდრო ქონების, მდებარე, ქ.თბილისში, ქ-ის ქ.№12, ბინა №61, საკადასტრო კოდით: ... მესაკუთრედ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა გ. ს-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 23 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების ასლი აპელანტ გ. ს-ის წარმომადგენელ თ. ბ-ს ჩაბარდა 2012 წლის 28 მარტს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აპელანტისათვის სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა დაიწყო 2012 წლის 29 მარტიდან და ამოიწურა 2012 წლის 12 აპრილს. დადგენილია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით – 2012 წლის 17 აპრილს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 23 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ს-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო საჩივარი ქ. ს-ის საფოსტო განყოფილებას 2012 წლის 11 აპრილს ჩაჰბარდა. აღნიშნული ფაქტი დასტურდება საქმეზე დართული საფოსტო ბარათით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება კერძო საჩივრის ავტორს ჩაჰბარდა 2012 წლის 28 მარტს, შესაბამისად, გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 29 მარტს და ამოიწურა ამავე წლის 11 აპრილს. კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად ასახელებს იმ ფაქტს, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტას წარუდგინა კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში, რასაც ადასტურებს საფოსტო გზავნილის ქვითრით, რომელზეც მითითებულია მიმღები – თბილისის საქალაქო სასამართლო, დასმული აქვს ბეჭედი და შესრულებულია ხელმოწერა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოში წარდგენის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. აღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში წარდგენილად მიიჩნევა, თუ მხარე აღნიშნულს წარადგენს სასამართლოში ან ამავე ვადის დაცვით გააგზავნის ფოსტის მეშვეობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესს. დასახელებული ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილია, რომ სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის ქვითრის შეფასების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენა განხორციელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ ვადაში. ამასთან, სააპელაციო საჩივარზე დასმულ ბეჭედზე მითითებულია, რომ იგი წარდგენილია 15 ფურცლად კონვერტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ს-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 23 მაისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გ. ს-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 23 მაისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

№ას-873-819-2012

12 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის მოქმედების უკანონოდ ცნობა, სარდაფის საკუთრებაში გადაცემის უკანონოდ ცნობა, სარდაფის გამოყოფა, სარდაფში ჩასასვლელი კარის გახსნა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ფ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ხ-ის, ნ. ა-სა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნ-ის“ თავმჯდომარე ი. ზ-ს მიმართ და მოითხოვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნ-ის“ თავმჯდომარის მოქმედების უკანონოდ ცნობა, ნ. ა-ს სარდაფის საკუთრებაში გადაცემის უკანონოდ ცნობა, მოსარჩელისათვის 15 კვ.მ სარდაფის გამოყოფა და სარდაფში ჩასასვლელი კარის გახსნა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის განჩინებით გ. ფ-ის სააპელაციო საჩივრის ის ნაწილი, რომელიც შეეხება სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს: «გამოეყოს 15 კვ.მ ფართის მისი საცხოვრებელი შენობის ნებისმიერი თავისუფალი საერთო ფართიდან და ი. ზ-ს მოქმედებების უკანონოდ ცნობაში მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს, რომ სურს აინაზღაუროს ის მატერიალური და მორალური ზარალი, რაც მისმა საქმისადმი გულგრილმა, დაუდევარმა დამოკიდებულებამ მიაყენა» – დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით გ. ფ-ს დაევალა სადავო უძრავი ქონების – 15 კვ.მ სარდაფის საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულებისა და აღნიშნული ღირებულების 4%-ის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენა. ასევე, მას უნდა განემარტა, რას გულისხმობდა „ამხანაგობის თავმჯდომარის მოქმედების უკანონოდ ცნობაში“, ასევე რომელი კონკრეტული „მოქმედება უნდა ყოფილიყო უკანონოდ ცნობილი“ და მიეთითებინა ამ მოთხოვნის მიმართ მის იურიდიულ ინტერესზე. ამასთანავე, აპელანტს უნდა დაეზუსტებინა მოთხოვნა – „გამოეყოს კიბის ქვეშ მდებარე თავისუფალი ფართიდან წილი».

2012 წლის 23 აპრილს აპელანტის წარმომადგენელმა მ. ფ-მა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომელმაც განმარტა, რომ აპელანტმა მიმართა ამხანაგობის თავმჯდომარეს, რითაც იგი ითხოვდა 15 კვ.მ ფართს თავისი ბინის ქვეშ გათავისუფლებულ სარდაფში ან მისი საცხოვრებელი შენობის საერთო ფართიდან. განმცხადებელმა ასევე განმარტა, რომ უკანონოდ უნდა იქნეს ცნობილი ი. ზ-ს მოქ-



მედებები, კერძოდ, სადავო ფართში თავისუფალი ფართის არსებობის არცოდნა და უფლებამოსილების გულგრილად განხორციელება, უარი კრების ოქმის ხელმოწერაზე და ამხანაგობის სხვა წევრებისათვის მოწოდება, არ მოეწერათ ხელი ოქმზე, ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ჭორის გავრცელება, თითქოს აპელანტს სურდა სხვისი საკუთრების მიტაცება, რამაც მისი იმიჯი დაამცირა და მიაყენა მორალური ზიანი. აპელანტის მიერ ასევე დაზუსტებულ იქნა მოთხოვნა, რომელიც შეეხებოდა კიბის ქვეშ მდებარე ფართის გამოყოფას, კერძოდ, რომ „კიბის ქვეშ მდებარე თავისუფალი ფართიდან წილის გამოყოფა არ არის დამოუკიდებელი მოთხოვნა. ხსენებული მოთხოვნა, 15 კვ.მ ფართის გამოყოფის შესაძლებლობა არის ალტერნატიული. თავისუფალი ფართი არის აპელანტის ქვეშ განთავსებულ სარდაფშიც და მისი საცხოვრებელი სახლის საერთო ფართის ნაწილშიც». განმცხადებელმა მიუთითა, რომ აღნიშნული მოთხოვნა დაყენებული ჰქონდა ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას.

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 მაისის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა და დაევალა იურიდიული ინტერესის მითითება ამხანაგობის თავმჯდომარის – ი. ზ-ს მოქმედებების უკანონოდ ცნობის ნაწილში, ასევე გ. ფ-ს უნდა დაეზუსტებინა სააპელაციო საჩივრის ის მოთხოვნა, რომელიც შეეხება „კიბის ქვეშ თავისუფალი ფართის გამოყოფას» და იგი შესაბამისობაში მოეყვანა სარჩელით დასმულ მოთხოვნასთან.

2012 წლის 14 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა გ. ფ-ის წარმომადგენელმა მ. ფ-მა, რომელმაც განმარტა, რომ აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენდა 15 კვ.მ ფართის მისი საცხოვრებელი შენობის ნებისმიერი თავისუფალი საერთო ფართიდან გამოყოფა. ასევე მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში მისთვის უცნობი იყო, რომ სარდაფში ჩასასვლელი კიბის ქვეშ მდებარე თავისუფალი ფართი არ შედიოდა სარდაფის ფართში. რაც წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას ექსპერტის დასკვნისა და აზომვითი ნახაზების თანახმად. რაც შეეხება იურიდიული ინტერესის დაზუსტებას, განმცხადებელმა მიუთითა, რომ ი. ზ-ს მოქმედებების უკანონოდ ცნობაში მისი იურიდიული ინტერესი მდგომარეობდა მის სურვილში, აინაზღაუროს ის მატერიალური და მორალური ზარალი, რაც მისმა საქმისადმი გულგრილმა, დაუდევარმა დამოკიდებულებამ მიაყენა.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2012 წლის 14 მაისის განცხადებით აპელანტმა სასამართლოს მიერ დავალებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დააზუსტა შემდეგნაირად: „გამოეყოს 15 კვ.მ ფართის მისი საცხოვრებელი შენობის ნებისმიერი თავისუფალი საერთო ფართიდან და ი. ზ-ს მოქმედებების უკანონოდ ცნობაში მისი იურიდიული ინტერესს წარმოადგენს, რომ სურს აინაზღაუროს ის მატერიალური და მორალური ზარალი, რაც მისმა საქმისადმი გულგრილმა, დაუდევარმა დამოკიდებულებამ მიაყენა».

აპელანტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ „გამომეყოს 15 კვ.მ ფართი მისი საცხოვრებელი შენობის ნებისმიერი თავისუფალი ფართიდან» პალატამ განმარტა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმის შემდგომი მსვლელობისთვის, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს მოპასუხის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნას, რომელშიც ასახულია მხარის მოთხოვნის არსი და მოცულობა. სასარჩელო მოთხოვნა თავისი შინაარსით სარეზოლუციო ხასიათს ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა ადგენდეს მოსარჩელის ცალსახა და ერთმნიშვნელოვან მისწრაფებას კანონის საფუძველზე და კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში დაიცვას თავისი უფლება.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტის მითითება, რომ მას გამოეყოს თავისუფალი ფართი კიბის ქვეშ არსებული ფართიდან, წარმოადგენს ალტერნატიულ მოთხოვნას, რაც ეწინააღმდეგება სასარჩელო განცხადების სარეზოლუციო ხასიათს, ვინაიდან ნაცვლად ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნისა, იგი აყალიბებს სრულიად სხვა მოთხოვნას (საქმის პირველი ტომის ფურცელ 53-ზე ჩამოთვლილ სასარჩელო მოთხოვნებში გ. ფ-ე ერთ-ერთ მოთხოვნად მიუთითებს, „გამომეყოს ჩემთვის კუთვნილი წილი სარდაფიდან, რაც შეადგენს 15 კვ.მ ფართს»).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მიხედვით პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან აპელანტს პირველი ინსტანციის სასამართლოში „ნებისმიერი თავისუფალი ფართიდან წილის გამოყოფის შესახებ» მოთხოვნა არ წარუდგენია, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ახალი მოთხოვნის წარდგენა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ამდენად, განსახილველი საკითხის ნაწილში აპელანტმა დავის საგანი გაზარდა.

რაც შეეხება მეორე მოთხოვნის დაზუსტებას, რომელიც შეეხება აპელანტის იურიდიული ინტერესს (ი. ზ-ს მოქმედებების უკანონოდ ცნობით აპელანტს სურს აინაზღაუროს ის მატერიალური და მორალური ზარალი, რაც მისმა საქმისადმი გულგრილმა, დაუდევარმა დამოკიდებულებამ მიაყენა) პალატამ ჩათვალა, რომ ამ სახის მოთხოვნის მიმართ აპელანტს არ შეიძლება გააჩნდეს იურიდიული ინტერესი. კერძოდ, იურიდიული ინტერესის ცნებაში მოიაზრება არა თეორიული ინტერესი, თუ სურვილი, არამედ კონკრეტული და ეფექტური მიზანი, რომლის მიღწევა აღიარებით სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილებით შემდგომში უკვე გარდაუვალია. აპელანტის მითითება ი. ზ-ს ქმედების უკანონოდ ცნობაში იგი აინაზღაურებს მატერიალურ და მორალურ ზიანს, არ გამოდინარეობს იურიდიული ინტერესის ცნების განმარტებიდან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა, ხოლო ი. ზ-ს მომე-

დებების უკანონოდ აღიარებით სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია რეესტრში ვერ მოხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აპელანტმა ვერ შეავსო სააპელაციო საჩივრის იმ მოთხოვნაზე დადგენილი ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა მოთხოვნის დაზუსტებას, კერძოდ, მოთხოვნას „გამოეყოს გ. ფ-ს 15 კვ.მ ფართის მისი საცხოვრებელი შენობის ნებისმიერი თავისუფალი საერთო ფართიდან და ი. ზ-ს მოქმედებების უკანონოდ ცნობაში მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს, რომ სურს აინაზღაუროს ის მატერიალური და მორალური ზარალი, რაც მისმა საქმისადმი გულგრილმა, დაუდევარმა დამოკიდებულებამ მიაყენა». ამდენად, სააპელაციო საჩივარი ამ ნაწილებში დაუშვებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. ფ-მ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებული განჩინების მოტივაცია დაუსაბუთებელია, რითაც სასამართლომ უარი განაცხადა მართლმსაჯულების განხორციელებაზე. მხარემ სასამართლოს წარუდგინა ყველა საჭირო მტკიცებულება, რათა დაემტკიცებინა, რომ სარდაფში არის თავისუფალი ფართი. აღნიშნულის სანაცვლოდ, სააპელაციო პალატამ მხარის მოთხოვნები დაჰყო ნაწილებად, რადგან მისთვის საქმის მოგების ნაკლები შანსი მიეცა. უსაფუძვლოა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება სარდაფში ერთადერთ ჩასასვლელ მობინადრეთა საერთო კიბეზე მოპასუხის მიერ სადარბაზოში დაყენებული ჩაკეტილი კარის გახსნის მოთხოვნის ნაწილშიც. გ.ფ-ის მიერ მითითებული გარემოებანი დადასტურებულია სათანადო მტკიცებულებებით.

გ. ფ-მ იშუამდგომლა, რომ სასამართლომ დახმარება გაუწიოს კომპეტენტური ორგანოების წინაშე, ვინაიდან მისი ძველი ბინა აღრიცხულია ა-ის ქ.№66-ად, ხოლო მიშენებული ბინა 1938 წელს ამავე ნომრით სარგებლობდა. მოპასუხე ა-ს თავის მტკიცებულებებს იყენებს, როგორც თავისი, ისე ძველი ბინების მიმართებით, რაც იწვევს უხერხულობას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძველები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ გ. ფ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გ. ფ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში მისი დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას უკავშირებს კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობას და სასამართლოს ავალებს სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 10 დღეში შეამოწმოს, დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLV თავით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის 1-4 ნაწილებში მოცემულია ის მოთხოვნები, რასაც სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს, ხოლო ამავე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ამრიგად, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია, განსაზღვროს ის საპროცესო მოქმედებები, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და დაადგინოს საპროცესო ვადა, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები, თუმცა სასამართლოს მიერ მხარისათვის დავალებული საპროცესო მოქმედებები უნდა გამომდინარეობდეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის დადგენილი მოთხოვნებიდან და არ უნდა სცდებოდეს მათ ფარგლებს. სწორედ ასეთი საპროცესო მოქმედების დროულად შეუსრულებლობა იწვევს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა მის მიერ არაერთხელ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით, რა დროსაც სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტმა ვერ შეავსო სააპელაციო საჩივრის იმ მოთხოვნაზე დადგენილი ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა შემდეგი მოთხოვნის დაზუსტებას: „გამოეყოს გ. ფ-ს 15 კვ.მ ფართი მისი საცხოვრებელი შენობის ნებისმიერი თავისუფალი საერთო ფართიდან და ი. ზ-ს მოქმედებების უკანონოდ ცნობაში მის იური-

დიული ინტერესს წარმოადგენს, რომ სურს აინაზღაუროს ის მატერიალური და მორალური ზარალი, რაც მისმა საქმისადმი გულგრილმა, დაუდევარმა დამოკიდებულებამ მიაყენა».

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატა გასცდა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების ფარგლებს და დასახელებულ ეტაპზე იმსჯელა ისეთ გარემოებებზე, რაც სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვისას უნდა შეფასებულიყო.

სამართლებრივად გაუმართლებელია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სტადიაზე იმის გარკვევა, თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩნია აპელანტს სააპელაციო საჩივარში ასახული მოთხოვნის მიმართ და ასეთი ინტერესის არარსებობა ვერანაირად ვერ გახდება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არც 368-ე და არც სხვა რომელიმე მუხლი სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის ამგვარ პირობას არ იცნობს. კონკრეტული მოთხოვნისადმი აპელანტის იურიდიული ინტერესის არარსებობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სააპელაციო საჩივრის მხოლოდ არსებითად განხილვის დროს, მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით.

აქვე საგულისხმოა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო უპირველესად ხელმძღვანელობის ამ კონკრეტული ინსტანციისათვის დადგენილი სამართლებრივი ნორმებით და მხოლოდ ისეთ დროს იყენებს საქმის განხილვის ქვემდგომი სასამართლოსათვის დადგენილ წესებს, როდესაც სააპელაციო ინსტანციისათვის განკუთვნილ თავში განსახილველი საკითხის მარეგულირებელი ნორმა მოცემული არ არის და ეს წესები სააპელაციო სასამართლოსათვის დადგენილ სპეციალურ დანაწესებთან შესაბამისობაშია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს აღიარებითი სარჩელის აღძვრისას იურიდიული ინტერესის მითითებას, მაგრამ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უნდა შემოწმდეს ამ ინსტანციისათვის სპეციალური ნორმების საფუძველზე, სადაც ასეთი ინტერესზე მითითებლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას არ იწვევს.

გ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად არ უნდა იქნეს ცნობილი არც იმ მოტივით, რომ აპელანტის მოთხოვნა სადავო 15 კვ.მ-ის მხარეთა საერთო ფართიდან გამოყოფის ნაწილში ალტერნატიული ხასიათისაა, მანამდე წარდგენილი არ ყოფილა და ამით მხარემ თავისი მოთხოვნა გაზარდა.

აღსანიშნავია, რომ გ. ფ-ე სარჩელით ითხოვდა 15 კვ.მ-ს გამოყოფას ამხანაგობა „ნ-ის“ კუთვნილი საერთო ფართიდან. ამდენად, მოთხოვნაში მითითებული სარდაფის მდებარეობის შეცვლა (კიბის ქვეშ იქნება ის განთავსებული თუ საერთო ფართის სხვა ნაწილში) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნის გაზრდად არ უნდა შეფასდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გ. ფ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლო მოცემულ ეტაპზე ვერ იმსჯელებს გ. ფ-ის შუამდგომლობაზე მისი ბინის მისამართთან დაკავშირებულ საკითხზე, ვინაიდან მითითებული საკასაციო პალატის კომპეტენციას სცდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

გ. ფ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გ. ფ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შეგებებული სარჩელის შეტანის ვადა

### განჩინება

№ას-482-455-2011

2 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 22 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა რ. დ-მემ მოპასუხე სს «... ბანკის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა კუთვნილი ხელფასიდან სს «... ბანკის» მიერ ჩამოჭრილი თანხა მას ჩათვლოდა თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების სახით გადახდილად და ასევე გათავისუფლებულიყო პირგასამტეხლოს გადახდისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით რ. დ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოსარჩელე გათავისუფლდა სს «... ბანკთან» დადებული 2008 წლის 12 ივნისის თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2009 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით სს «... ბანკის» მიმართ დავალიანების სახით არსებული პირგასამტეხლოს 2443.74 ლარის გადახდისაგან; რ. დ-მის სახელფასო განაკვეთიდან ჩამოჭრილი თანხა, 3159 ლარი, ჩაითვალა გადახდილად მხარეებს შორის 2008 წლის 12 ივნისის თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2009 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული პროცენტის 1149.93 ლარის გადახდის ვალდებულებაში და ძირითადი თანხის 4187.95 ლარიდან 2009.07 ლარის გადახდის ვალდებულებაში.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში კრედიტორმა, სს «... ბანკმა» არ შეასრულა სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, კერძოდ, თავდებს რ. დ-მეს ძირითადი მოვალის (მ. მ-მის) მიერ ვადის გადაცილების შესახებ აცნობა ვადის გადაცილებიდან ერთი წლის შემდეგ, 2009 წლის 20 ოქტომბერს. ამასთან, სასამართლომ საქმეზე დადგენილად ჩათვალა, რომ 2009 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით დავალიანება სესხზე საურავებთან ერთად შეადგენდა ძირ თანხას 4187.95 ლარს, პროცენტს 1149.93 ლარს, ჯარიმას 2443.74 ლარს, მთლიანობაში 7781.62 ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «... ბანკმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2011 წლის 28 თებერვალს რ. დ-მემ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 მარტის განჩინებით რ. დ-მის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის ასლის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ სს «... ბანკის» სააპელაციო საჩივარი განსახილველად მიღებულ იქნა 2011 წლის 1 თებერვალს, ხოლო 8 თებერვალს საჩივრის ასლი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარე რ. დ-მეს. გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის თანახმად, აღნიშნული გზავნილი პირადად ჩაჰბარდა რ. დ-მის მამას, ა. დ-მეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. რ. დ-მემ შეგებებული სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2011 წლის 24 თებერვალს, შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 374.1 მუხლების შინაარსზე და მიიჩნია, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი, როგორც დავიანებით წარდგენილი, უნდა დარჩენილიყო განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. დ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რადგან ამავე კოდექსის 379-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე

მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის ასლის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის ასლი არც მოსარჩელეს გადაცემია და არც მის წარმომადგენელს. მართალია, სასამართლო გზავნილი ჩაბარდა მოსარჩელის მამას, მაგრამ თავად მოსარჩელე მსახურობს ჯარში, რაც სასამართლოსათვის ცნობილი იყო. ამასთან, მამამისის ოჯახი სოციალურად დაუცველია, ადრესატს ხელი არ მიუწვდებოდა თავისუფლად გადაადგილებაზე, მას არც საქმის გარემოებების გარკვევა შეეძლო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. დ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის მიხედვით, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე.

მითითებული ნორმა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს უფლებას ანიჭებს შეიტანოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას უარი აქვს ნათქვამი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე. ამასთან, ეს ნორმა ადგენს შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადას, რომელიც შეადგენს 10 დღეს და ამ ვადის ათვლა იწყება მოწინააღმდეგე მხარისათვის სააპელაციო საჩივრის ასლის გადაცემის მომენტიდან.

საქმის მასალების მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 თებერვლის განჩინებით აპელანტის – სს «... ბანკის» სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული. აღნიშნული სააპელაციო საჩივრის ასლი სარჩელეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს (მოსარჩელეს), რ. დ-მეს. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივრის ასლი 2011 წლის 10 თებერვალს ჩაბარდა რ. დ-მის მამას, დ-მეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩაბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივრის ასლი 2011 წლის 10 თებერვალს ჩაბარდა რ. დ-მის ოჯახის წევრს (მამას) ა. დ-მეს. შესაბამისად, სასამართლო გზავნილი ჩაბარებულად ითვლება ასევე ადრესატის – რ. დ-მისათვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივრის ასლი სასამართლოს უნდა გაეგზავნა ასევე მოწინააღმდეგე მხარის, რ. დ-მის წარმომადგენლისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან სააპელაციო საჩივრის ასლი გაეგზავნა და კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა თავად მხარეს – რ. დ-მეს, სასამართლო აღარ იყო ვალდებული უწყება დამატებით გაეგზავნა ასევე მისი წარმომადგენლისათვის. მითითებული მსჯელობა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან, რომლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. ამდენად, სასამართლოს აკისრია ვალდებულება უწყება გაუგზავნოს მხარეს ან მის წარმომადგენელს და არა ორივე მათგანს, ხოლო ერთ-ერთი მათგანისათვის უწყების ჩაბარება ჩაითვლება მხარისათვის უწყების ჩაბარებად.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ იგი მსახურობს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და 3 წელიწადია აღარ ცხოვრობს ქედის რაიონის სოფელ ...ში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან რ. დ-მემ

სარჩელში თავად მიუთითა ზემოაღნიშნული მისამართი მის ძირითად და ერთადერთ მისამართად. შესაბამისად, მითითებულ მისამართზე მოსარჩელის ოჯახის წევრისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება ითვლება ჩაბარებად თავად მოსარჩელისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში რ. დ-ის მიერ შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ამოიწურა 2011 წლის 21 თებერვალს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ორშაბათი. შეგებებული სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩაჰბარდა 2011 წლის 24 თებერვალს, ანუ მის შესატანად დადგენილი ვადის დარღვევით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან რ. დ-მ გაუშვა შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე, 379-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა განუხილველად დაგვიანებით წარდგენილი შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

ამდენად, კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და იგი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 მარტის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა**

#### **განჩინება**

№ას-889-835-2012

19 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** ბინიდან გამოსახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 იანვრის განჩინებით ბ. ქ-ს რწმუნებულ მ. მ-ის კერძო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველად, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ქ-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის განჩინებით ბ. ქ-ს წარმომადგენელ მ. მ-ს ხარვეზის შევსების მიზნით დაევა სახელმწიფო ბაჟის (50 ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ბ. ქ-ს უნდა წარმოედგინა შესაბამისი ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერიანი ბაზიდან რომლითაც დადასტურდებოდა შესაბამისი ქულებისა და ბ. ქ-ს მიერ შემწეობის მიღების არსებობის ფაქტი, ასევე უნდა წარმოედგინა უშუალოდ ბელა ქარჩავას ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი კერძო საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით ბ. ქ-ს რწმუნებულის მ. მ-ის კერძო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 იანვრის განჩინებაზე დარჩა განუხილველად იმ მოტივით, რომ ხარვეზის შევსების მიზნით 2012 წლის 12 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ფაქსით შემოსული ბ. ქ-ს განცხადება, კერძო საჩივარი და ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად (წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით), არ წარმოადგენდა დედან დოკუმენტებს, ამდენად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი არ ჩაითვალა შევსებულად, რის გამოც ბ. ქ-ს რწმუნებულ მ. მ-ის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2012 წლის 18 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ბ. ქ-მ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინების ბათილად ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის განჩინებით აღნიშნულ განცხადებაზე ხარვეზის შესავსებად, ბ. ქ-ს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით, დაკონკრეტება იმისა, თუ რას მიიჩნევდა საქმის წარმოების განახლების ფაქტობრივ საფუძვლად. აღნიშნული განჩინებითვე განემარტა ხარვეზის შეუსესებლობის სამართლებრივი შედეგები.

2012 წლის 2 მაისს, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ბ. ქ-მ ფაქსის მეშვეობით გააგზავნა განცხადება ხარვეზის შევსების თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის განჩინებით ბ. ქ-ს 2012 წლის 18 აპრილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩა განუხილველად იმ საფუძველით, რომ 2012 წლის 2 მაისს ხარვეზის შევსების მიზნით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ფაქსით შემოსული მასალები წარმოდგენილი იყო არა დედნების, არამედ ასლების სახით, რაც არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მოთხოვნებს. სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ქ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ზ. ე-ის კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ქ-ს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

დასახელებული ნორმა, ავალეებს სასამართლოს შეამოწმოს საქმის განახლების შესახებ გაბცხადების დასაშვებობა, რისთვისაც ავალდებულებს, შეამოწმოს პასუხობს თუ არა განცხადება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შეავსო თუ არა განცხადებელმა ხარვეზი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში (სსკ-ის 427-ე მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე ხარვეზის შესავსებად, ბ. ქ-ს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით, დაკონკრეტება იმისა, თუ რას მიიჩნევდა საქმის წარმოების განახლების ფაქტობრივ საფუძვლად. აღნიშნული განჩინებითვე განემარტა ხარვეზის შეუსესებლობის სამართლებრივი შედეგები.

იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წლის 2 მაისს, ბ. ქ-ს მიერ ხარვეზი შევსების მიზნით ფაქსის მეშვეობით გაგზავნილი მასალები წარდგენილი იყო არა დედნების სახით, რასაც მხარეს კანონი ავალდებულებს, არამედ ასლების სახით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ ნორმათა შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ბ. ქ-ს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე, სწორად დატოვა განუხილველად, რის ტყვეობაც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ბ. ქ-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## აღიარებითი სარჩელი

### განჩინება

№ას-1510-1518-2011

15 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ.თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. რ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში საბინაო ამხანაგობა «ქ-ი 17-ის» მიმართ ამხანაგობა «ქ-ი 17-ის» 2003 წლის 15 თებერვლის კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სასამართლო სხდომაზე სარჩელი არ ცნო.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. რ-ას სარჩელი 2003 წლის 15 თებერვლის ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ქ-ი 17-ის» საერთო კრების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. რ-ამ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება იმ საფუძველზე, რომ მისთვის კანონით დადგენილი წესით არ უცნობებიათ კრების ჩატარების შესახებ. მოპასუხეს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, კრება ჩატარდა კანონის დარღვევით და ასევე კანონის დარღვევით მიეკუთვნა მას 57.81 კვ.მ. ფართის ბინა, როდესაც ოფიციალურად გაწევრიანებული იყო ამხანაგობაში ოთხოთახიანი ბინის აშენების მიზნით.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ და ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის განჩინებით ნ. რ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილება და ნ. რ-ას სარჩელი დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქალაქო საბჭოს აღმასკომის 04.05.89 წლის გადაწყვეტილებით ვაკის რაიონში ჩამოყალიბდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ქ-ი 17»;

თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის ვაკის რაიონის გამგეობის 28.04.1993 წლის გადაწყვეტილებით მიღებული იქნა საბინაო საკითხთა კომისიის წინადადება და თანახმად ამხანაგობის მიერ წარდგენილი ოქმისა დამტკიცებულ იქნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ქ-ი 17»-ის წევრად ნ. რ-ა – (3 სული: თვითონ და ორი შვილი) ოთხოთახიან ბინაზე;

2003 წლის 15 თებერვალს მოწვეული იქნა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ქ-ი 17»-ის წევრთა საერთო კრება, რომელზეც გადაწყდა ამხანაგობის წევრებზე საცხოვრებელი ფართის გამოყოფის საკითხი. აღნიშნული კრების გადაწყვეტილებით ამხანაგობის წევრებს ინდივიდუალურ საკუთრებაში გამოეყო ქ. თბილისში, ქ-ის ქ. №17-ში მდებარე ბინები. მათ შორის ნ. რ-ას – ბინა №23, მეცხრე სართულზე, საერთო ფართობით 57,81 კვ.მ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საერთო საქმიანობის გაძღოლის მიზნით, პირთა გაერთიანება (ამხანაგობა) წარმოადგენს ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომლის უფლება-ვალდებულებები განისაზღვრება ხელშეკრულებით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან მეტი პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით იურიდიული პირის შეუქმნელად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) იქმნება მონაწილეთა შენატანების საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. მისი განმარტებით, შენატანის საფუძველზე განისაზღვრება ამხანაგობის წევრის წილი ამხანაგობის საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებულ შემოსავალში (თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს).

მოსარჩელე 2003 წლის 15 თებერვლის კრების ოქმის ბათილად ცნობას ითხოვს იმ მოტივით, რომ ის გაწევრიანებული იყო ამხანაგობაში ოთხოთახიანი ბინის მიღების უფლებით, ხოლო საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მასზე უკანონოდ იქნა მიკუთვნებული 57,81 კვ.მ. ფართის ბინა. სარჩელის მიმართ იურიდიულ ინტერესთან დაკავშირებით აპელანტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სარჩელის



დაკმაყოფილების შემთხვევაში აღდგება 2003 წლის 15 თებერვალს არსებული მდგომარეობა და ახალი კრების მოწვევით გადაწყდება განხორციელებული შენატანის პროპორციულად ბინების განაწილების საკითხი.

საკავალაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება დავის საგნის მიმართ იურიდიულ ინტერესის არსებობის შესახებ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, წინამდებარე სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი არ გამომდინარეობდა მოსარჩელისათვის რაიმე ქონებრივი სიკეთისა და შეღავათების მიღებაში, ვინაიდან ცხადი იყო, რომ ამხანაგობის საერთო კრების 2003 წლის 15 თებერვლის ოქმის ბათილად ცნობას რაიმე დადებითი იურიდიული შედეგი მისთვის არ მოჰყვებოდა, რადგან მოსარჩელე ვერ მიიღებდა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს. ანუ მისთვის ქონებრივი შედეგი არ დადგებოდა.

საკავალაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. რ.-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ არამართებული იყო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში აღძრული სარჩელის იურიდიული ინტერესი არ გამომდინარეობდა მოსარჩელისათვის რაიმე ქონებრივი სიკეთისა და შეღავათების მიღებაში და სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობას არ მოჰყვებოდა რაიმე დადებითი იურიდიული შედეგი, ვინაიდან არ დადგებოდა მოსარჩელის მიმართ ქონებრივი შედეგი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ნ. რ.-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე და განმარტავს, რომ დასახელებული ნორმით, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად და გახდეს აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, თუ დასაბუთებულია, ანუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე იკვეთება მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. აღიარებითი მოთხოვნის დასაბუთებულობაზე მსჯელობისას უნდა არსებობდეს სწორედ ამგვარი ინტერესი და არა ის, რასაც სუბიექტური დამოკიდებულების შედეგად მხარე საკუთარ იურიდიულ ინტერესად მოიაზრებს. ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს მხარის მიერ მითითებული ინტერესის დაკმაყოფილების წინაპირობა, საფუძველი ეცლება აღიარებით მოთხოვნას. ამდენად, აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილებაზე მსჯელობისას უნდა იქნას შეფასებული მისი იურიდიული ინტერესის მართებულობა. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადავო კრების ოქმის საფუძველზე, ამხანაგობის წევრებს გამოეყოთ კონკრეტული ბინები. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე უთითებს, რომ მისი იურიდიული ინტერესია ახალი კრების მოწვევა და ოთხთახიანი ბინის გამოყოფა ამხანაგობის ქონებიდან. თავისი იურიდიული ინტერესის ასეთი ფორმულირებით მოსარჩელემ გამოკვეთა საბოლოო მიზანი. ახალი კრების მოწვევა არ წარმოადგენს გარანტიას მოსარჩელისათვის, რომ კრებაზე მისთვის სასურველი შედეგი დადგება და შესაძლებელია დავა მხარეთა შორის გაგრძელდეს. ამ შემთხვევაშიც, მომავალში დადგება მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის აუცილებლობა. აღნიშნული მიუთითებს, რომ აღიარებითი სარჩელი არ არის ერთადერთი მოსარჩელის დარღვეული უფლებების დაცვისთვის. ასევე, დადგენილია, რომ კრების ოქმის საფუძველზე ბინები აღრიცხულია მოპასუხეთა საკუთრებაში. რაც შემთხვევებში ბინები გასხვისებულია მესამე პირებზე. ამდენად, კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში, 2003 წლის 15 თებერვალს არსებული მდგომარეობის აღდგენა მოცემულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებით ვერ იქნება მიღწეული. ამდენად, მოსარჩელის ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილება არ არის შესაძლებელი აღიარებითი სარჩელის აღძვრის გზით. მოსარჩელეს არ გააჩნია განსახილველი დავის დასაბუთებული და საფუძველიანი იურიდიული ინტერესი.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. რ.-ას კერძო საჩივარი უსაფუძველოა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. რ.-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საკავალაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის განჩინება
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის მიღებაზე უარის თქმა

### განჩინება

№ას-1574-1573-2011

1 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების განახლება. წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი უკანონოდ მიიჩნევდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 1 ივლისისა და 2011 წლის 8 ივნისის განჩინებებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-ის განცხადებას მიღებაზე ეთქვა უარი შემდეგი დასაბუთებით:

მ. მ-ე ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 8 ივნისისა და 1 ივლისის განჩინებების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას. პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი განცხადება არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე, 423-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 სექტემბრის განჩინებით განმცხადებელ მ. მ-ეს დაუდგინდა ხარვეზი. 2011 წლის 17 ოქტომბერს მ. მ-ემ, ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოში წარმოადგინა განცხადება, სადაც აღნიშნა რომ წარმოდგენილი განცხადებით იგი ასაჩივრებდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2011 წლის 8 ივნისის განჩინებას. პალატამ აღნიშნა, რომ იგივე განცხადება განსახილველად აწერია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ი. პ-ეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის და ამავე კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად პალატამ განმარტა, ვინაიდან მ. მ-ის მიერ წარმოდგენილი განცხადება, ამ განცხადების ქსეროასლი განსახილველად დაეწერა მოსამართლეებს, თ. ს-ესა და ი. პ-ეს, აღნიშნული წარმოადგენს მ. მ-ის განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ ხარვეზი არასწორად დაუდგინა, მან შეადგინა ერთი განცხადება, რომელიც განსახილველად დაეწერა მოსამართლე ი. პ-ეს, მითითებული განცხადების ქსეროასლში იგივე ეწერა, რაც დედანში და ითხოვდა საქმის წარმოების განახლებას. სასამართლოს არ ჰქონდა უფლება არ მიეღო აღნიშნული განცხადებები.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების და კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

მოცემულ საქმეზე მ. მ-ემ განცხადებით მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 ივნისისა და 2010 წლის 1 ივლისის განჩინებების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, როგორც დადგენილია, სასამართლოში წარმოებს იმავე შინაარსის განცხადების განხილვა სხვა მოსამართლესთან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას. ამავე კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად: სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მ. მ-ეს მართებულად უთხრა უარი განცხადების მიღებაზე და შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების იურიდიული საფუძველი.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და



სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა (მოსარჩელემ) პირველი ინსტანციის სასამართლოში რამდენჯერმე დააზუსტა სარჩელის მოთხოვნა. საქმის მასალების მიხედვით, 2010 წლის 26 ივლისს მოსარჩელემ საბოლოოდ დააზუსტა სარჩელის მოთხოვნა და განმარტა, რომ იგი მოითხოვდა ... №114-ში მდებარე დედა-შვილის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან მამკვიდრებლის, გ. ე-შვილის ნაწილის თანამესაკუთრედ და ამ ნაწილიდან 1/2 ნაწილის მფლობელად ცნობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მიერ განცხადებაში მოყვანილი განმარტება, რომ მ. ო-მემ მოითხოვა სადავო ქონების 2/3 წილი.

სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულ არგუმენტად არ მიიჩნია აპელანტის წარმომადგენლის მიერ 1.03.2011წ. განცხადებაში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ აპელანტი და მისი წარმომადგენელი შეიძლება ვერ ყოფილიყვნენ გარკვეულნი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, რადგან ისინი არ წარმოადგენენ იურისტებს. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ფაქტის არსებობა გავლენას ვერ მოახდენდა მოსარჩელის მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაზე. მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არასდროს მოუთხოვია სადავო ქონების 2/3 ნაწილი.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია მოსარჩელისათვის სადავო ქონების 2/3 წილის მიკუთვნების თაობაზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა აპელანტის იმ მოთხოვნაზე, რაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არ განუხილავს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმის გამო, რომ აპელანტმა ვერ შეძლო დადგენილი ხარვეზის შევსება, კერძოდ, ვერ დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლები, სახეზე იყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374.1 და 368.5 მუხლების თანახმად.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 მარტის განჩინება აპელანტმა კერძო საჩივრით გასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელე პირველი ინსტანციის სასამართლოში მოითხოვდა ... №114-ში მდებარე, დედა-შვილის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან გ. ე-შვილის კუთვნილი წილის მხოლოდ 1/2 ნაწილის თანამესაკუთრედ ცნობას. სინამდვილეში, მ. ო-მე პირველი ინსტანციის სასამართლოში მოითხოვდა აღნიშნული უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობას და გ. ე-შვილის დანაშთი დანარჩენ ქონებაზე მის შვილთან ერთად ტრანსმისიით თანამესაკუთრედ ცნობას, ანუ დანაშთი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობას. უფრო კონკრეტულად, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელემ მოითხოვა სადავო უძრავი ქონების 2/8 წილზე, როგორც მესაკუთრესთან ერთად შეძენილ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა, აგრეთვე, დანარჩენი ქონების (რომელიც შეადგენს 6/8 ნაწილს) ნახევრის 3/8-ის მესაკუთრედ ცნობა. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში კი მოსარჩელემ მოითხოვა სადავო უძრავი ქონების 1/3 ანუ 4/12 ნაწილის მესაკუთრედ ცნობა. აღნიშნული მოთხოვნის დასაბუთებლად აპელანტმა მიუთითა იმაზე, რომ პრივატიზაციის დადებისას იგი წარმოადგენდა ოჯახის სრულწლოვან წევრს, რომელსაც როგორც მემკვიდრეს უფლება გააჩნდა როგორც თავის კუთვნილ წილზე, ასევე დანარჩენი ქონების ანუ 8/12 ნაწილის ნახევარზე – 4/12 ნაწილზე. ამდენად, მ. ო-მემ მოითხოვა მისი როგორც მეუღლის წილის და არა როგორც ოჯახის სრულწლოვანი წევრის წილის მესაკუთრეობა და როგორც მემკვიდრემ ტრანსმისიით მისი მეუღლის წილზე მემკვიდრეობა.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ო-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით მ. ო-მის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული იმ საფუძველით, რომ აპელანტმა სააპელაციო სასამართლოში გაზარდა დავის საგანი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას, კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. ო-მემ თავისი სასარჩელო მოთხოვნები საბოლოოდ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

1. ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე, დედა-შვილის (გ. ე-შვილის და ნ. ბ-შვილის) თანასაკუთრებაში არსებული, უძრავი ქონებიდან მამკვიდრებელ გ. ე-შვილის კუთვნილი წილის – 1/2-ის ნახევრის, ანუ მთლიანი ქონების 1/4-ის მესაკუთრედ ცნობა;

2. ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე, დედა-შვილის (გ. ე-შვილის და ნ. ბ-შვილის) თანასაკუთრებაში არსებული, მოძრავი ქონებიდან 1/2-ის მესაკუთრედ ცნობა;

3. ქ.თბილისში, ... №7-ში მდებარე მოძრავი ნივთების 3/2-ის 1/4-ის მესაკუთრედ ცნობა;

4. ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე ქონების მოვლასა და შენახვაზე გაწეული ხარჯების ნახევრის მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ო-მის სარჩელი მოპასუხე ნ. მ-მის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

1. მ. ო-მე ცნობილ იქნა გ. ე-შვილისა და ნ. ბ-შვილის სახელზე რიცხული, ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე უძრავი ქონების 3/8 წილის მესაკუთრედ;

2. მ. ო-მეს გადაეცა ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე მოძრავი ნივთები: ტანსაცმლის კარადა ორკარიანი, დაბალი კარადა ორკარიანი, «სერვანდი» შუშებიანი, გასაშლელი ხის მაგიდა, «ტუმბოჩკა», ხის სკამი რბილი საჯდომით 6 ცალი, საკერავი მანქანა «პოდოლსკი», სასადილოს ტუმბო-სკამი, ელექტროუთო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. ო-მემ და მოითხოვა ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე უძრავი ქონების 2/3-ის მესაკუთრედ ცნობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე უძრავი ქონების მიმართ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ამ ქონების 1/4-ის მესაკუთრედ ცნობა. ეს გარემოება იმითაც დასტურდება, რომ მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟი გამოიანგარიშა და გადაიხადა სწორედ მითითებული უძრავი ქონების 1/4-ის ღირებულების შესაბამისად. ნათელია ასევე, რომ სააპელაციო საჩივრით აპელანტი მოითხოვს ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე უძრავი ქონების 2/3-ის მესაკუთრედ ცნობას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოში დავის საგანი არ გაუზრდია და, რომ ის თავიდანვე მოითხოვდა ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე უძრავი ქონების 2/3-ის მესაკუთრედ ცნობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოხსენებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კანონი კრძალავს სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის გაზრდას. სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს იმ საკითხზე, რომელიც მოსარჩელის მოთხოვნას არ წარმოადგენდა. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს, თუ გაზრდილია დავის საგანი, ანუ, თუ აპელანტი მოითხოვს იმის მიკუთვნებას, რაც მას სარჩელით არ მოუთხოვია. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ქ.თბილისში, ... №114-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4-ის მესაკუთრედ ცნობა, ხოლო სააპელაციო საჩივრით იგი მოითხოვს ამ ქონების 2/3-ის მესაკუთრედ ცნობას. ამდენად, მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოში გაზარდა დავის საგანი, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ო-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დავის საგნის გადიდების დაუშვებლობა

### განჩინება

№ას-874-820-2012

19 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობა და ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ბ-ის, ლ. ბ-ისა და ნ. ბ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა: ა) 2011 წლის 3 ივნისისა და 15 ივნისის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებების (ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ს-ს დასახლება 1, ქუჩა №7) ნაწილის ბათილად ცნობა; ბ) ქ. თბილისში, ს-ს დასახლება 1, ქუჩა №7-ში მდებარე საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10%-ის ნაწილის – 3000 ლარის ნ. ბ-სათვის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელი სადგომის ნაწილის მ. ბ-სათვის საკუთრებაში გადაცემა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 1 ივნისის ნ. ბ-სა და ე. ბ-ს შორის, ქ. თბილისში, ს-ს დასახლება 1, ქუჩა №7-ში მდებარე უძრავი ნივთის ქ-ზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 15 ივნისის ე. ბ-სა და ლ. ბ-ს შორის, ქ. თბილისში, ს-ს დასახლება 1, ქუჩა №7-ში მდებარე უძრავი ნივთის ქ-ზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება; მ. ბ-ს დაეკისრა, გადაუხადოს მოპასუხე ნ. ბ-ს ქ. თბილისში, ს-ს დასახლება 1, ქუჩა №7-ში მდებარე დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების ნაწილი – 3000 ლარი. თანხის გადახდის შემდეგ აღნიშნული საცხოვრებელი სადგომის ქ ნაწილზე საკუთრების უფლება გადაეცა მ. ბ-ს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ე. ბ-მა, ლ. ბ-მა და ნ. ბ-მ, მოითხოვეს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელის მოთხოვნათა დაკმაყოფილება 1/8 წილის ნაწილში და აღნიშნული წილის სანაცვლოდ, მ. ბ-ის სასარგებლოდ მათთვის მათ მიერ შეთავაზებული თანხის გადახდის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 მარტის განჩინებით აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე ერთ-ერთ ხარვეზად დაუდგინდათ შემდეგი: «აპელანტების მიერ დაზუსტებული უნდა ყოფილიყო მათი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ის ნაწილი, რომლითაც ისინი უთითებენ რომ «ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდება 1/8 წილის ნაწილში და ამ ნაწილის სანაცვლოდ მ. ბ-ი მიიღებს მათ მიერ შეთავაზებულ თანხას».

2012 წლის 10 აპრილს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მომართეს აპელანტებმა, რომელთაც ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაზუსტების ნაწილში განმარტეს რომ გაუქმდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდება 1/8 წილის ნაწილში და ამ წილის სანაცვლოდ მ. ბ-ი მიიღებს აპელანტების მიერ შეთავაზებულ თანხას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განჩინებით ე. ბ-ის, ლ. ბ-ისა და ნ. ბ-ს სააპელაციო საჩივრის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაზუსტებას – «გაუქმდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდება 1/8 წილის ნაწილში და ამ წილის სანაცვლოდ მ. ბ-შვილი მიიღებს მათ მიერ შეთავაზებულ თანხას – დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სსსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას – აპელანტების მიერ დავის საგნის გადიდებას, რის გამოც სააპელაციო საჩივარი ამ ნაწილში, როგორც დაუშვებელი, განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ბ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ე. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამავე კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ, საქმის მასალების თანახმად, აპელანტების მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნა იმ სახით, რომლითაც მოპასუხეების მიერ შეთავაზებული იქნებოდა თანხა სადგომის სანაცვლოდ, არ დასმულა. ამდენად, მითითებული სახის მოთხოვნა თავისი შინაარსით წარმოადგენს შეგებებული სარჩელით ან სარჩელით დასაცავ უფლებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ისეთ ვითარებაში, როდესაც აპელანტების მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში არ ყოფილა ამგვარი მოთხოვნა დასმული, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნის ამ სახით ჩამოყალიბება შეზღუდულია საპროცესო კანონმდებლობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა აპელანტების მიერ დავის საგნის გადიდებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ, სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ე. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება**

#### **განჩინება**

№ას-856-803-2012

18 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. ლ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ი-ის მიმართ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის – 5365 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ვანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 მაისის განჩინებით ზ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემული სამოქალაქო საქმე ვანის რაიონულმა სასამართლომ განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილი, ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესით და 2012 წლის 12 აპრილს გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და მოსარჩელე ზ. ლ-ს პირადად ჩაბარდა 2012 წლის 26 აპრილს, რომელმაც სააპელაციო საჩივარი ვანის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2012 წლის 4 მაისს 10:00 საათზე.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>21</sup> მუხლზე, რომლითაც ამ წესით განხილულ საქმეებზე სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის ითვალისწინებს 7 დღეს. სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 71-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ვანის რაიონ-

ნული სასამართლოს 2012 წლის 12 აპრილის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა და ჩაბარდა რა პირადად ზ. ლ-ს 2012 წლის 26 აპრილს, შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2012 წლის 3 მაისი. ვინაიდან მხარეს სასამართლო გადაწყვეტილება გაეგზავნა დადგენილი წესით და ჩაბარდა პირადად, ხოლო მან სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის დაარღვია კანონით გათვალისწინებული 7-დღიანი ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და განუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ზ. ლ-მ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

ზ. ლ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონი, საერთაშორისო ხელშეკრულებით გარანტირებული მხარის უფლებები და საქართველოს კონსტიტუცია, რადგანაც ვანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეს სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის საპროცესო ვადა განესაზღვრა 14 დღით, მან სააპელაციო საჩივარი წარადგინა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან მე-8 დღეს, სააპელაციო პალატამ კი, უსაფუძვლოდ არ მიიღო სააპელაციო საჩივარი განსახილველად და არასწორად დააკისრა მხარეს იმის ცოდნა, რომ, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე სარჩელებზე, სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა 7 დღეს შეადგენს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეცდომა დაშვებულ იქნა სასამართლოს მიერ და მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადად მიეთითა 14 დღე, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით მხარის მიმართ უხეშად დაირღვა კანონი. საყურადღებოა, რომ სასამართლო მის მიმართ მსგავს შეცდომებს ხშირად უშვებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ლ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემული საქმის მასალების შესწავლით დასტურდება და ამას არ კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს სადავოდ, რომ ვანის რაიონული სასამართლოს მიერ მოცემული სამოქალაქო საქმე განხილულ იქნა გამარტივებული წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილი წესის შესაბამისად. სადავო არ არის ის გარემოება, რომ ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელე თავისი ინიციატივით გამოცხადდა სასამართლოში და პირადად ჩაიბარა ვანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება მისი გამოცხადებიდან მე-14 დღეს – 2012 წლის 26 აპრილს, ხოლო საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის სარეგისტრაციო შტამპის შესწავლით დასტურდება, რომ ზ. ლ-მ სააპელაციო საჩივრით რაიონულ სასამართლოს მიმართა 2012 წლის 4 მაისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>21</sup> მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნული წარმოადგენს სპეციალურ ნორმას მოცემული კატეგორიის საქმეების მიმართ და მისი იმპერატიული დათქმა გასაჩივრების ვადის მიმართ სავალდებულოა როგორც მხარეების, ისე სასამართლოსათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ ზ. ლ-მ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება პირადად ჩაიბარა 2012 წლის 26 აპრილს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების 7-დღიანი ვადის დენა დაიწყო მოვლენის დადგომის მომდევნო დღეს – 2012 წლის 27 აპრილს და ამოიწურა 2012 წლის 3 მაისს. საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრისა და კერძო საჩივრის ავტორის განმარტების თანახმად კი, მან სასამართლო მიმართა 7-დღიანი ვადის დარღვევით, 2012 წლის 4 მაისს, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან მე-8 დღეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი მოცემული კატეგორიის საქმეების მიმართ წარმოადგენს სპეციალურ ნორმებს და ამ საქმეებზე საპროცესო კანონმდებლობის ზოგადი დანაწესები მხოლოდ მაშინ ვრცელდება, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სპეციალური ნორმის დათქმებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპე-



ლაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>21</sup> მუხლით და სწორად მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზ. ლ-ის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის საფუძველს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის საპროცესო ვადა განუსაზღვრა 14 დღით და მან სწორედ ამ ვადის დაცვით შეიტანა სააპელაციო საჩივარი, ამასთან, მხარე არ იყო ვალდებული, სცოდნოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, ხოლო სასამართლომ, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით, მის მიმართ უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გარანტირებული უფლებები, პალატა აღნიშნულს ვერ გაიზიარებს და ვერ ჩათვლის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>21</sup> მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას, რომელიც გასაჩივრების ვადასთან მიმართებით შეიცავს იმპერატიულ დათქმას. ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებით მხარეს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადად 14 დღე მიეთითა და სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო ამ საფუძველით დაეშვა სააპელაციო საჩივრი, უსაფუძვლოა, რადგანაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მითითება, შესაძლოა გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მიერ, უსწორობის გასწორების საფუძველი გახდეს და არა დარღვეული საპროცესო ვადის საპატიოდ მიჩნევის წინაპირობა (სსსკ 59.4 მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია), რაც შეეხება სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის მხარის საწინააღმდეგოდ გამოყენებასა და მის მიმართ კანონმდებლობით აღიარებული უფლებების დარღვევას, პალატა აღნიშნულის ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რადგანაც მოქმედი კანონმდებლობით, კონსტიტუციითა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის დარღვევის ფაქტი მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება, ზემდგომ სასამართლოში სამართალწარმოებაზე მხარეს სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი იმ ვადის დაუცველობის გამო ეთქვა უარი, რომლის დარღვევაც კანონმდებლობით აღიარებული სააპელაციო საჩივრის დაშვების ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ ზ. ლ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების წინაპირობა.

რაც შეეხება კერძო საჩივარზე დართულ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილების ასლს, პალატა თვლის, რომ აღნიშნული უნდა დაუბრუნდეს მის წარმომდგენს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლისა და 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ხოლო საქმეში უკვე არსებული მტკიცებულების განმეორებით წარდგენა, საქმის წარმოების მიზნებიდან არ გამომდინარეობს, ვინაიდან მხარის პრეტენზიის ფარგლებში, სასამართლო მას აძლევს შესაბამის სამართლებრივ შეფასებას იმ სახით, როგორითაც ისინი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ არის მიღებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ლ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილება 7 ფურცლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზ. ლ-ე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. ზ. ლ-ს დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულება 7 ფურცლად.
4. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.